

# ბურია REGION

უცხოეთში ჩემი სამუშაო

ფასი 1,80 ლარი

№5, 2014, ივლისი

ალექს  
ინჟინირველი -  
ხარბი მეურნე

„სანდოში“-  
ყველაზე  
ტაბილი  
ზღაპარი

ნათელ ნუსხაში  
შესული  
კონტოს მუხის  
ხის-ქორეოები

ირაკლი ტულუში -  
ვინისის  
მსოფლიო  
რეკორდსმანი

„ავის  
რეზისტანტი“-  
ჯანმრთელობის  
გარანტი

ლანხუთის „გურია“ - ფეხბურთი  
თუ კოლიტი

**ბახმარო – ყველაზე  
მაღალი რანგის კურორტი**

უზნაბე მჭედლიძეების შპს-სა და შპს მელაძეები

მათეში



# კაფე „მდინა“ ზღვის პირას



ვბრუნდებით იქ, სადაც მუდმივად ჩვენი ადგილი იყო	2	ქეთევან უზნაძე-მჭედლოიშვილმა ასეულობით ჰაციენტის კიდურები გადააჩრჩინა	17
მერების მეორე ტური ოზურგეთში და ოცნების ჯანდიდატის წინააღმდეგ გაერთიანებული ოპოზიცია	4	„მივალ გურიაში, მარა“...	19
ლოანჩხუთში გამოცხადებული მეორე ტური და შედეგით უქმყოფილო მხარეები	4	ალოეჯო ინწკირველო-მეურნე ჯაცი	23
ქალოაქ ოზურგეთის საჯრებულო ახალი წევრებით	6	ბახმარო	24
პრემიების გამო ერთმანეთს დაპირისპირებული საჯრებულო და გამგეობა	8	ვინ შეარქვა ანზორ თალოაჯაძეს ასჯანელი?	28
ომის ვეტრანის პენსიაზე დამოკიდებული შექირვებული ოჯახი	9	აპის რეზისტენტი ჯანმრთელობის გარანტი	30
„რაც ბრწყინავს ყველოაფერი, ოქრო არ არის“	10	ჯურიოხები	31
„ბახმარო“ ყველოაზე მაღალი რანგის ჯურორტია	12	დათო ასჯურავამ საჯართველოს ახალი რეჯორდი დაამყარა	32
გადაშენების პირას მყოფი პონტოს მუხის ხის ჯორომები	13	ლოანჩხუთის გახმაურებული საქმე, სტადიონის დემონტაჟის შემდეგ გამქრალი ჯართი, რომლის ირგვლოვ სიახლოე არაფერია	33
მეთევხეები დიდგულოდ ვეღარ გაპყურებენ პალოასტომს	14	ტრიო „შალოვა ჩემო“ ლიტვაში გაემგზავრება	34
პროფესიული განვითარების ჯვლოვის პროგრამა	15	ანსამბლი „დაბლოაციხე“	35
		ღვანლომოსილი	36
		რატომ უნდა ყოფილოიყვნენ რუსეთის მმართველოები მხოლოდ თათრები?	37

<p><b>ღაფუქნაბალი - ანა თოხაძე</b>  <b>მთავარი რადაქტორი - ლელო სურაბია</b>                  მისამართი: თბილისი, ვ.გაბაშვილის 5 №38                  ბალო: 558 25 65 50; 555 55 98 44; 790 46 48 01                  ელოფოსბა: <a href="mailto:Guriaregion14@mail.ru">Guriaregion14@mail.ru</a></p>	<p><b>აპირფასო აპითხველო!</b>                  მოგვანოდეთ თქვენი პუბლიკაციები, მოთხრობები, ჩანახატები, ლექსები, ისტორიები, იდეები, გაგვიზიარეთ თქვენი პრობლემები და მოგვიყვეთ საინტერესო ამბები. გაითვალისწინეთ, მონოდებული მასალის ჟურნალოში განთავსება ფასიანია.</p>
---	--

რადაქვიანი ჟამოსული მასალების სიუბაბა პასუნს აზაბს აპტორი, სოლო საჩალოამო ბაქსბა პასუნისგვაბლობა რალოამის ჟამაპითს ეანსრაბა.

# ვბრუნდებით იქ, სადას მუდმივად ჩვენი აღბილი იყო

„მე არ ვიცი, ვის უყვარს საქართველო ჩემზე მეტად“ – წერდა ნიკოლო მინიშვილი. სასონარკვეთილება და ნიპილიზმი იმ დიდმა სიყვარულმა წარმოშვა, რომელმაც ილია ჭავჭავაძეს „ბედნიერი ერი“ დააწერინა. 300 წლის მანძილზე საქართველოს გეო-პოლიტიკური მდებარეობა რუსეთის მთავარი ინტერესი იყო, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მათი გავლენა დღემდე გადაუჭრელ პრობლემად რჩება. აფხაზეთთან დამაკავშირებელი ერთადერთი პლაცდარმი, კოდორის ხეობა დაკარგულია. მეოცე საუკუნეში რუსების მიერ ქართველების ეთნოწმენდამ ბარბაროსული ფორმა მიიღო. დამორჩილება, დასუსტება, საუკეთესო გენო ფონდის განადგურება, ასეთია უახლესი ისტორია, „მოყვარედ მოსულმა მტერმა“ ქართველის ფსიქოტიპი რადიკალურად შეცვალა, ეროვნული თვითმყოფადობის განცდა თანდათან გაქრა, ქართველი ყველა ვითარებას შეეგუა, ფიქრის და ბრძოლის უნარი დაკარგა. მომავალი თაობისთვის, რომელიც უკეთეს საქართველოს იმსახურებს, ახალი სივრცის კარი გაიღო. თავისუფლებას მათ ვერ ვასწავლით. ეს ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობა და აზროვნების მასშტაბურობაა, რომლის ერთადერთი წიაღი მართლმადიდებლობაშია. რა სიკეთეს მოუტანს ქვეყანას ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა? საქართველოში წარმოებული პროდუქცია საერთაშორისო სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს, პროფესიონალიზმის ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების გარეშე ევროპულ ბაზარზე ქართულ პროდუქტს ვერ გავყიდით.



ბელგიის სამეფოში, ლუქსემბურგის მოედანზე გამოფენილი იყო საქართველოსა და ევროკავშირის დროშები. ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზომ საქართველოსთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას მთელი ევროპისთვის ისტორიული ნაბიჯი უწოდა. 27 ივნისს, თბილისის დროით 11.00 საათზე ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის ცერემონია გაიმართა. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა, ევროკომი-





სიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზომ, ევროპის საბჭოს პრეზიდენტმა ჰერმან ვან რომპუიმ და ევროკავშირის წევრი ქვეყნების პირველმა პირებმა.

სალამოს თბილისში ევროპის მოედანზე ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი გაიმართა. შეკრებილ ხალხს სიტყვით საქართველოს პატრიარქმა, პრემიერ-მინისტრმა, პრეზიდენტმა და პარლამენტის თავმჯდომარემ მიმართეს.

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე** – „ჩვენ, როგორც არასდროს, ვუახლოვდებით ევროპის კულტურას, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოსთვის ეს არის არა მარტო დიდი პატივი, არამედ დიდი პასუხისმგებლობა. საქართველომ უნდა აჩვენოს ევროპას და მთელ მსოფლიოს ჩვენი უძველესი კულტურა, ჩვენი საგალობლები, ჩვენი სიმღერა, ჩვენი წარსული, ფასეულობა. ღმერთმა დალოცოს ყოველი ადამიანი, რომელიც ამ დღისთვის შრომობდა“.

**ირაკლი ღარიბაშვილი** – „მივესალმები ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს, გილოცავთ ამ ისტორიულ დღეს, ამ დღით მრავალი წლის მანძილზე ვიამაყებთ. ეს გამარჯვება დიდ ილიას, ჩვენ დიდ წინაპრებს ეკუთვნით. ეს საქმე მათი წამოწყებულია. ხალხის ოცნება რეალობად იქცა, რაც დიდი გამარჯვების დასაწყისია. ჩვენ, ქართველი ხალხი, ჩვენი დიდი კულტურით, დიდი ტრადიციებით უნდა შევიდეთ ევროპულ ოჯახში“.

**დავით უსუფაშვილი** – „მოგესალმებით ქართველო ევროპელებო. ასრულდა მრავალი თაობის ქართველთა ოცნება და საქართველო არის თავისუფალი. მან თავისუფალი არჩევანი გააკეთა და ევროპისკენ გადადგა ნაბიჯი. მოგეხსენებათ, ევროპა არ არის სრულყოფილი, არ არის ამქვეყნიური სამოთხე, მაგრამ ისიც ვიცით, რომ ევროპა არის ყველაზე თავისუფალი, სამართლიანი და უსაფრთხო. ევროპა ის ადგილია, სადაც ეროვნული თვითმყოფადობა ყველაზე მეტად არის დაცული, მცირე ერებისთვისაც კი. ეს ისტორიული, შეგნებული არჩევანია და ვუერთდებით ევროპას. დღევანდელი ევროპის 28 წევრი სახელმწიფოდან ტერიტორიით 13 ჩვენზე პატარაა. 9 ჩვენზე მცირერიცხოვანი. სწორედ, ამ მცირერიცხოვანმა ერებმა გაერთიანებულ ევროპაში ჰპოვეს მშ-

ვიდობა და ხელსაყრელი პირობები განვითარებისთვის. ეს არჩევანი ჩვენც გავაკეთეთ. ჩვენ ევროპაში გველოდება 40 მილიონი ერთმორწმუნე მართლმადიდებელი და სხვა რელიგიური მიმდინარეობების წარმომადგენლები. ჩვენ არ მივდივართ უცხო გარემოში, ვბრუნდებით იქ, სადაც ცივილიზაციურად ყოველთვის იყო ქართველების ადგილი. ჩვენ გავაგრძელებთ კეთილმეზობლურ ურთიერთობას ყველა მეზობელთან, ვისაც ამის სურვილი ექნება. მიუხედავად მათი და ჩვენი არჩევანის სხვადასხვაობისა. ჩვენ ვიღვანებთ, რომ კავკასია იყოს მშვიდობიანი, რასაც ევროპა შეუნყოფს ხელს.“

**გიორგი მარგველაშვილი** – „ეს ისტორიული დღეა, ხელშეკრულება ბევრ სიკეთეს მოუტანს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს, ჩვენს სახელმწიფოს. საქართველო გახდა პირველი ქვეყანა სამხრეთ კავკასიის რეგიონში, რომელმაც ასეთი რანგის ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. ჩვენი ქვეყანა ბუნებრივი ნაწილია ევროპული კულტურისა, საუკუნეების განმავლობაში ამ კულტურის თანაშემოქმედნი ვიყავით. დღეს, ჩვენ ვხვდებით ნაწილი ერთა იმ ოჯახისა, რომელსაც თანაბრად ეძლევა შესაძლებლობა, განავითაროს თავისი კულტურა, სახელმწიფოებრიობა. ასოცირების ხელშეკრულების სიკეთეები მოხმარდება ყველა ოჯახს, თითოეულ მოქალაქეს. ამ ხელშეკრულების ხელმოწერით ჩვენ ვხვდებით ევროპული ბაზარის ნაწილი, ეს არის მსოფლიოში ყველაზე დიდი ბაზარი, რომელიც 500 მილიონამდე მსყიდველუნარიან მოქალაქეს აერთიანებს, რომლის მთლიანი შიდა პროდუქტი 13 ტრილიონ ევროს აღწევს. რაც საინტერესოა ქართველი ბიზნესმენებისთვის. მათ ახალ იმპულსს მისცემს. საქართველოში დამზადებული პროდუქტი იქნება ევროპული ხარისხის. ხელშეკრულების შედეგად ტრანსპორტის, ენერგეტიკის, ეკოლოგიის მიმართულებით გადადგმული დადებითი ნაბიჯი, უფრო დაგვაახლოვებს ევროპულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცესთან. ხელშეკრულების ამოქმედების კვალდაკვალ 2016 წლიდან ჩვენ გვექნება ევროკავშირთან თავისუფალი უვიზო მიმოსვლა. ჩვენი ევროპელი პარტნიორები მზად არიან დაგვეხმარონ თავიანთი გამოცდილებით. სწორედ, ასოცირების ხელშეკრულების სიკეთეებს შევთავაზებთ ჩვენ აფხაზ და ოს ძმებს. საქართველოში დაცული იქნება ნებისმიერი ეთნიკური, პოლიტიკური და სოციალური ჯგუფის ინტერესები.“

ლელა სურმაკა



# მერების მეორე ტური ოფორბათში და ოცნების კანდიდატის წინააღმდეგ ბაერთიანებული ოპოზიცია

**ცესკო-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ქალაქ ოზურგეთის 13 უბნიდან, ამ ეტაპზე 9 უბანის მონაცემებია ცნობილი, რომლის თანახმად მეორე ტურია მოსალოდნელი.**

მეორე ტური გურიაში ლანჩხუთსა და ოზურგეთში დაინიშნა, ოზურგეთში 50%-იანი ბარიერი მერობის კანდიდატმა, ბეგლარ სიორიძემ ვერ გადალახა. ბეგლარ სიორიძე („ქართული ოცნება“) 35.15%, შოთა გოგიბერიძე („საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“) – ბრძოლას, ეს ორი კანდიდატი გააგრძელებს.



შოთა გოგიბერიძე

არჩევნების დასრულებიდან, რამდენიმე დღეში, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, ქალაქ ოზურგეთის მერობის კანდიდატთა მიერ გამართული ბრიფინგის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ მერობის ყოფილი კანდიდატები შოთა გოგიბერიძის გვერდით იბრძოლებენ. ბრიფინგს ესწრებოდნენ – „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ მერობის კანდიდატი კახა ჩავლეშვილი, ასევე „სალომე ზურაბიშვილი – საქართველოს გზის“ მერობის კანდიდატის ივანე ტაბატაძის საარჩევნო შტაბის წარმომადგენ-

ლები და „ლეიბორისტული პარტიის“ მერობის კანდიდატი მირზა ჩხიკვიშვილი.

უმორჩილესი თხოვნით მიემართავ აშშ-ს ელჩს საქართველოში, რომელიც დიდი ყურადღებით აკვირდება არჩევნების მეორე ტურის მიმდინარეობას, გავაკეთოთ ყველაფერი სამოქალაქო დაძაბულობისა და დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით, – განაცხადა შოთა გოგიბერიძემ.

შოთა გოგიბერიძე მიიჩნევს, რომ „ოცნების“ კანდიდატი ქალაქ ოზურგეთის მერის

პოსტზე ბეგი სიორიძე წარმატებული ბიზნესმენია, მაგრამ მერობა მისი ამბიციის დასაკმაყოფილებლად სჭირდება და ურჩევს, კანდიდატურა გოგიბერიძის სასარგებლოდ მოხსნას:

„ჩემს კონკურენტს მივმართავ – რამდენად უღირს მას, როგორც წარმატებულ ბიზნესმენს, თავისი ამბიცია ქალაქის მერის პოსტის დასაკავე-

ბლად?! ვთხოვ ბატონ ბეგლარს, კარგად გაანალიზოს შექმნილი ვითარება და მიიღოს ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება თავისი კანდიდატურის მოხსნის შესახებ“, – ამბობს გოგიბერიძე.

მან რამდენჯერმე აღნიშნა, რომ პირველ ტურში დამარცხებული მერობის კანდიდატები ერთიანდებიან.

ბეგლარ სიორიძე თავის მხრივ გამარჯვებაში დარწმუნებულია. რაც შეეხება „ერთიან ნაციონალური მოძრაობას“, აცხადებენ, რომ ოზურგეთის მერობის კანდიდატთა მეორე ტურში გადასულ ორ სუბიექტს შორის არც ერთს მხარს არ დაუჭერს:

ჩვენმა ამომრჩეველმა ერთხელ უკვე გააკეთა არჩევანი და ძალთა ასეთი გადანაწილების შემდეგ არ გვაქვს სურვილი, ისინი მეორე ტურში მივიყვანოთ უზნებზე. არჩევნებთან დაკავშირებით აღვნიშნავ, რომ საკმაოდ მაღალია გაბათილებული ბიულეტენების რაოდენობა, ის



ზვი სიღბიძე და ტამაზ ნიუღლაიშვილი

15 %-ს მაინც შეადგენს. ვფიქრობ, რომ ეს ჩვენი ხმებია, რომელიც ხელისუფლებამ წაგვართვა“ – ამბობს გურიის კოორდინატორი, პაატა მანჯგალაძე.

თამარ მღვინისვილი

## ლანჩხუთში გამოსხადებული მეორე ტური და შედეგით უკმაყოფილო მხარეები

ლანჩხუთში, გამგებლის ასარჩევად მეორე ტური გაიმართება. პირველი ადგილი „ქართული ოცნების“ კანდიდატმა ზაზა ურუშაძემ აიღო, ხოლო მეორე – „პატრიოტთა ალიანსის“ კანდიდატმა – ბარნაბ ჭყონიამ.

პროცენტული მაჩვენებელი კი ასე გამოიყურება: ზაზა ურუშაძე „ქართული ოცნება“ – 44%, ბარნაბ ჭყონია „პატრიოტთა ალიანსი“ – 37%, რამაზ გვარჯალაძე „ნაციონ-

ნალური მოძრაობა“ – 12%, დარეჯან ესართია „ბურჯანაძე-გაერთიანებული ოპოზიცია“ – 6%.

შედეგებით უკმაყოფილო დარჩა მმართველი პარტიის შტაბი. მეორე ტურის გამოცხადებამ „ქართულ ოცნებაში“ დიდი ხმაური და დაპირისპირება გამოიწვია, კულუარულად საუბრობენ, რომ დღე ისე არ ჩაივლის, რომ შტაბში ერთმანეთს ფიზიკურად, ან სიტყვიერად არ დაუპირისპირდნენ. ამას წყაროც გვიდასტურებს და ამბობს, რომ შტაბში მეორე ტურის გამოცხადებას ორად გახლეჩილი კოალიცია ერთმანეთს აბრალებს. საარჩევნო შტაბის ნაწილი და მათ შორის გამგებლობის კანდიდატი, ზაზა ურუშაძე მიიჩნევს, რომ შტაბის ხელმძღვანელმა – გიორგი ხელაძემ ცუდად იმუშავა და მის მოხსნას მოითხოვს, ნაწილს კი, გადახალისებას არასწორად მიიჩნევს.

არჩევნების პირველადი შედეგების გამოცხადების შემდეგ, ოცნების საარჩევნო შტაბში „თავისუფალი დემოკრატების“ რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ, ელგუჯა



ჩხაიძემ ბრიფინგი გამართა და ყველა იმ მიზეზზე ისაუბრა, რამაც მეორე ტურის ჩატარების საჭიროება გამოიწვია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბრიფინგს არ ესწრებოდა სა-არჩევნო შტაბის ხელმძღვანელი, გიორგი ხელაძე, გაჩნდა კითხვები და ეჭვი იმაზე, რომ დაპირისპირება შტაბში სიმართლეს შეესაბამებოდა. ბრიფინგს ესწრებოდნენ დეპუტატობის კანდიდატი, ალექო სარიშვილი და ურუშაძის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი, ლევან ჩხაიძე.

**– არჩევნების შემდეგ ჩავთვალე საჭიროდ ვისაუბრო არსებულ შედეგებზე. ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ჩატარებულიყო დემოკრატიული არჩევნები. ბოლო 16 წლის მანძილზე პირველად მოხდა ის, რომ საკრებულოში გავიდა 12 ოპოზიციონერი დეპუტატი, – განაცხადა ელგუჯა ჩხაიძემ.**

ისაუბრა მიზეზებზეც, რის გამოც პირველ ტურშივე ვერ მოხერხდა მათი კანდიდატის გამარჯვება:

– სამწუხარო ფაქტია, რომ პირველ ტურშივე ვერ მოახერხა არჩევნების მოგება ზაზა ურუშაძემ. საყურადღებო იყო ის, რომ მთელი წინასაარჩევნო პერიოდში მონინალმდეგო მხარე ეწეოდა ურუშაძის დისკრედიტაციას, იყო ცრუ ბრალდებები, მათი მხრიდან ზედმეტი დაპირებების გაცემა, ისეთის, რაც ეწინააღმდეგება მათ ფუნქციებს, იძლეოდა დაპირებებს, რომლის შესრულებასაც დარწმუნებული ვარ, ვერ მოახერხებს, ამბობდა, რომ ბიზნესმენ თემურ ჭყონიასთან ახლობლობს და ლანჩხუთში გაიხსნება კოკა-კოლას ქარხანა, ასევე მაკდონალდსი და, რაც მთავარია, აღარ იქნება სალარო აპარატები, რაც წარმოუდგენელია, – ამბობს ჩხაიძე.

ზაზა ურუშაძემ ჩვენ დაგვანახა, რომ შეძლო მუნიციპალიტეტის მართვა, კარგად დაამყარა კომუნიკაცია ზემდგომ ხელისუფლების წარმომადგენლებთან, რამაც განაპირობა დიდი რაოდენობით თანხის მოზიდვა რაიონის სასარგებლოდ. მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ ზაზა ურუშაძე „ქართული ოცნების“ კანდიდატია და ბიძინა ივანიშვილის კურსის გამტარებელი. – ამბობდა ჩხაიძე.

ელგუჯა ჩხაიძემ ჭყონიას შესახებაც ისაუბრა და განაცხადა, რომ მისი წარმატებას ხელი ისევ კოალიციამ შეუწყო:

– რაც შეეხება მიმდინარე პროცესებს, ასეთი თავისუფალი საარჩევნო გარემო არ ყოფილა, იყო ბრალდებები, თითქოს ვინმეზე ზენოლა მიდიოდა, მაგრამ მინდა განვაცხადო, რომ მსგავს ფაქტს ადგილი არ ჰქონია. ერთადერთი, რაზეც უნდა იზრუნოს კოალიციამ, ეს არის ზაზა ურუშაძის კანდიდატის გასამარჯვებლად ბრძოლა. ჭყონიამ ერთი თვის მანძილზე საკმაოდ ბევრი ამომრჩეველი მიიზიდა, რაც ძალიან გასაკვირია. 2048 ბიულეტენი ბათილად იქნა ცნობილი, რაც საკმაოდ დიდი ციფრია – ამბობს ელგუჯა ჩხაიძე.

ელგუჯა ჩხაიძის ამ განცხადების შემდეგ გია ფირცხალაიშვილმა, რომელიც შტაბში მუშაობს, დარბაზი პროტესტის ნიშნად დატოვა და ელგუჯა ჩხაიძეს შეახსენა, რომ მეორე ტურის დანიშვნის მიზეზი კოალიციაა და არა „ქართული ოცნება“. მოგვიანებით კი ჩხაიძის მისამართით გია ფირცხალაიშვილმა განაცხადა, რომ მას პოლიტიკის არაფერი გაეგება და სჯობს კამეჩებს მიხედოს.

ელგუჯა ჩხაიძემ ღიად დასდო გურიის გუბერნატორსაც ბრალი და განაცხადა, რომ ზაზა ურუშაძის ასეთი შედეგის მიზეზი გუბერნატორის, გიორგი ჩხაიძის ფაქტორიცაა, რომელიც თავისი ახლობლებით, ნათესავებითა და სამეგობროთი ზაზა ურუშაძის ოპონენტის სასარგებლოდ მუშაობდა.

ოცნების შტაბში გამართულ ბრიფინგს მალე „პატრი-

ოტა ალიანსის“ შტაბში გამართული ბრიფინგი მოჰყვა, სადაც კანდიდატმა – ბორის ჭყონიამ მის მიმართ გავრცელებულ ინფორმაციას გასცა პასუხი:

– არ მითქვამს, რომ ოცნების წევრი ვარ, ასევე არასოდეს მითქვამს, რომ გაიხსნება კოკა-კოლას ქარხანა, მაკდონალდსი და არც სალარო აპარატების გაუქმებაზე მისაუბრია ამომრჩეველთან. ეს მტკნარი სიცრუეა.



– რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ბიზნესმენი თემურ ჭყონია მაფინანსებს, არც ეს შეესაბამება სიმართლეს, თემურ ჭყონიასთანაც არავითარი კავშირი არ გამაჩნია, უბრალოდ საგვარეულო შეხვედრაზე ვყოფილვარ და იქ მინახავს. ბატონ თემურთან არ მაქვს ისეთი ახლო ურთიერთობა, რომ დაფინანსება ვთხოვოთ. ვერც იცლის ჩემთვის, თვეში ორი კვირა საზღვარგარეთაა, რეალურად მისი ნახვა შეუძლებელია.

„პატრიოტთა ალიანსის“ გამგებლობის კანდიდატმა ბრიფინგზე შტაბის გადახალისებაზე ისაუბრა:

ცნობილი გახდა, რომ შტაბის უფროსად დამოუკიდებელი კანდიდატი, ალექო ჭყონია დასახელდა, მთავარი კოორდინატორი გიორგი იმნაიშვილი ამირან კვაჭაძემ ჩანაცვალა, თუმცა იმნაიშვილს შტაბი არ დაუტოვებია. რაც შეეხება დანარჩენი შტაბის წევრებს, ისევ ძველი შემადგენლობით განაგრძობენ ბრძოლას: იურისტ-ფინანსისტად ისევ ავთო სარჯველაძე დარჩა, პრესასთან ურთიერთობა დარეჯან ბურჭულაძე, საზოგადოებასთან ურთიერთობალაი ორმოცაძე, ადმინისტრატორი საოლქოსთან ურთიერთობის დარგში – სოსო შეიზაშვილი.

მეორე ტურის გამოცხადებით უკმაყოფილოა ჭყონიას საარჩევნო შტაბიც და ამბობენ, რომ ზოგ უბანზე არჩევნები გაყალბდა, თუმცა ამბობენ, რომ დროული რეაგირება ვერ მოხერხდა:

– ვიცით, რომ არათანაბარ პირობებში მოგვინია ბრძოლა, ოფიციალური მონაცემებით ერთ უნაბზე, ლესაში ძალიან დიდი აქტივობა დასახელდა 17 საათიდან 20 საათამდე 250 ამომრჩეველი დაფიქსირდა, რაც პრაქტიკულად წარმოუდგენელია, აღნიშნული ფაქტი გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ კარუსელი დატრიალდა, ჩვენი წარმომადგენლის თქმით, ამომრჩეველი ისე გადიოდა კენჭსყრის პროცედურას, რომ მარკირებას საერთოდ არ იკეთებდა. არავინ არ იყო ამის გამკონტროლებელი, მსგავსი ვითარება იყო ჩოჩხათში, გულიანში. – განაცხადა ბრიფინგზე „პატრიოტთა ალიანსის“ საარჩევნო ადმინისტრატორმა – სოსო შეიზაშვილმა. აქვე ისიც დაამატა, რომ მეორე ტურში სიტუაცია შეიცვლება და დამკვირვებლების რაოდენობას გაზრდინა.

# ქალაქ ოზურგეთის საკრებულო ახალი წევრებით

2014 წლის 15 ივნისს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა. ქალაქ ოზურგეთის თვითმმართველი ქალაქის სტატუსი მიენიჭა და ქალაქის თავი მერი იქნება. თუმცა მერის ვინაობა ჯერ არ არის ცნობილი. ოზურგეთში მეორე ტური გაიმართება, „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატ ბეგლარ სიორიძესა და „პატრიოტთა ალიანსის“ მერობის კანდიდატ – შოთა გოგიბერიძეს შორის მოუწევს ოზურგეთის მოსახლეობას არჩევანის გაკეთება. სიტუაცია საკმაოდ არაპროგნოზირებადია, ორივე კანდიდატს აქვს შანსი, რომ გახდეს თვითმმართველი ქალაქ ოზურგეთის მერი. ოზურგეთის საკრებულოს წევრების ვინაობა უკვე ცნობილია.

კოალიცია „ქართული ოცნება“ – მედია მახარობლიძე (სიის პირველი ნომერი), ნინო გოგუაძე(რესპუბლიკური პარტია), თემურ სალუქვაძე (თავისუფალი დემოკრატები – ირაკლი ალასანიანი), გელა კობალაძე, კახა კვაჭაძე(მაჟორიტარი).

არასაპარლამენტო ოპოზიციის: თამარ ნადირიძე („ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიცია“), ირინა საჯაია (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), გოჩა ძიმისტარიშვილი (დავით თარხან – მოურავი – პატრიოტთა ალიანსი), შალვა დოლიძე (დავით თარხან – მოურავი – პატრიოტთა ალიანსი), ნინო ტაბატაძე (საქართველოს გზა), ნათია შარაშენიძე (ლეიბორისტული პარტია).

დამოუკიდებელი ხანდილაბაძე: **ლევან მგელაძე (მოიდანახე)**  
**ლევან თოიძე (სერის უბანი)**  
**გოჩა მგელაძე (ცენტრის ოლქი)**  
**ლავრენტი ბიგვავა (ანასეული, ექაღია).**

საკრებულოს 15 წევრიდან ხუთი წევრი ეყოლება „კოალიცია – ქართული ოცნებას“, ექვსი წევრით შევა საკრებულოში არასაპარლამენტო ოპოზიციიდან და ოთხი დამოუკიდებელი კანდიდატიც მოხვდა საკრებულოს წევრების სიაში. „გურია REGION“ დაინტერესდა როგორი პროგნოზები აქვთ საკრებულოს ახალ წევრებს საკრებულოს მუშაობასთან დაკავშირებით. სიტუაცია, მართლაც, არაპროგნოზირებადია, ასეთი სიტყვლე საკრებულოს

არ ახსოვს. რა გეგმები აქვთ, რას ფიქრობენ, აპირებენ თუ არა ფრაქციების შექმნას და ასე შემდეგ.

**ლევან მგელაძე** – საკრებულოს წევრი, დამოუკიდებელი კანდიდატი  
– როგორ გეხსებათ მომავალი საკრებულოს მუშაობა?



– მე პირველად გავხდი საკრებულოს წევრი და აქედან გამომდინარე, სტრუქტურასაც არ ვიცნობ. თან, ოზურგეთი პირველად გახდა დამოუკიდებელი თვითმმართველი ქალაქი და ჯერ რთულია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

– შეიქნება თუ არა ფრაქციები, შევალთ თუ არა თქვენ რომელიმე ფრაქციაში, რამდენად შესაძლებელია არასაპარლამენტო ოპოზიციამ და დამოუკიდებელმა კანდიდატები გაერთიანდნენ და ცალკე ფრაქცია შექმნან?

– რადგანაც მე დამოუკიდებელი კანდიდატი ვარ და იმისთვის, რომ გავმხდარიყავი საკრებულოს წევრი, აქედან გამომდინარე ჩემს ამომრჩევლებს ვეტყვი, რომ ძალიან აქტიური ვიქნები საკრებულოს მუშაობაში. ფრაქციასაც შევქმნით და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ქალაქში იყოს ნორმალური სიტუაცია.

– როგორ ფიქრობთ, ვინ შეიძლება გახდეს საკრებულოს თავმჯდომარე. აპირებთ თუ არა საკუთარი კანდიდატურის წამოყენებას ამ პოსტზე და ამ შემთხვევაში, რამდენად შესაძლებელია მოიპოვოთ დანარჩენი წევრების მხარდაჭერა?

– ჯერჯერობით, ჩემთან ამაზე

საუბარი არ ყოფილა. ცოტა უხერხულია ამ ეტაპზე, სანამ მეორე ტური არ ჩატარდება, წინასწარ რაიმეს თქმა.

– „პატრიოტთა ალიანსიდან“ გოჩა ძიმისტარიშვილი აცხადებს, რომ სურს, გახდეს საკრებულოს თავმჯდომარე და რამდენად რეალურია მისი კანდიდატურა, ექნება მხარდაჭერა?

– გოჩას განცხადება მხოლოდ პრესით და სოციალური ქსელით გავიგე. ეს ისეთი თემაა, ამას აუცილებლად მოლაპარაკებები, შეთანხმება სჭირდება. ვნახოთ, დავილაპარაკებთ და მხოლოდ ამის შემდეგ გეტყვით მომავალში რა იქნება.

**ირინა საჯაია** – საკრებულოს წევრი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა როგორ დაკომპლექტება საკრებულო, შეიქმნება თუ არა ფრაქციები?

– ფრაქციას შექმნის მმართველი ძალა. იმიტომ, რომ უმრავლესობა „ქართული ოცნების“ წევრია. მართალია, მათ არ აქვთ მთლიანი უმრავლესობა, კოალიციაში შემავალ პარტიებს თითო სუბიექტი ჰყავთ საკრებულოში. რთულია, წინასწარ განსაზღვრო, როგორ მოხდება გადანაწილება. სამწუხაროდ, „ნაციონალურ მოძრაობას“ მხოლოდ ერთი წარმომადგენელი ჰყავს საკრებულოში, სხვა შემთხვევაში შეიძლებოდა ფრაქციის შექმნაზე ფიქრი.

– თუ საკრებულოში წარმოდგენილი წარმოდგენილი ოპოზიციური პარტიები შექმნიან ფრაქციას, გაერთიანდებით თუ არა მასში?





- არა, მე არა. ახლა რა ძალებიც არის საკრებულოში, „ნაციონალური მოძრაობა“ არ აპირებს მათთან თანამშრომლობას, განსაკუთრებით „პატრიოტთა ალიანსთან“.

**- ვის მოიაზრებთ მომავალი საკრებულოს თავმჯდომარედ?**

- მოგეხსენებათ, ახლა კენჭისყრა ფარულია და პირველ სხდომაზე უნდა აირჩიონ საკრებულოს თავმჯდომარე. ამ შემთხვევაში ძალიან ძნელია, პროგნოზს ვერ ვაკეთებ. როგორი არაპროგნოზირებადი სიტუაციაა ქვეყანაში, ისეთივეა თვითმმართველობებში. მეორე ტურის მერე იქნება პირველი სხდომა, თუ მანამდე, ეს კანონშიც არ არის აღნიშნული. ვაკუუმი საერთოდ და ამიტომ, ჩვენ ველოდებით მოვლენების განვითარებას, ვაკვირდებით მოვლენებს. როგორც ოპოზიციური ძალა, ვერ ვხვდები, ვინ შეიძლება დააყენოს კანდიდატურა. არ ვაპირებ კენჭისყრას გამოვეთიშო, მივიღებ მონაწილეობას და ჩემს აზრსაც დავაფიქსირებ.

**- „პატრიოტთა ალიანსიდან“ გოჩა ძიმისტარიშვილი აპირებს ამ პოსტზე საკუთარი კანდიდატურის წამოყენებას და რამდენად აქვს მას რეალური შანსი?**

- თუ ოპოზიცია დაუჭერს მხარს, შეიძლება მასაც ჰქონდეს შანსი. წინასწარ ვერაფერს ვიტყვი.

**- როგორ გეხსენებათ მომავალი საკრებულოს მუშაობა?**

მომავალი საკრებულო იქნება ძალიან ჭრელი, ეს კარგია დემოკრატიისთვის. ვილატებს აქ მუშაობა ძალიან მარტივი ჰგონია, მაგრამ ეს ასე არ არის. დიდი პასუხისმგებლობაა და ვინც ამას აცნობიერებს, მისთვის ძალიან რთულია. მით უმეტეს, ამ სიტუაციაში, როცა ქვეყანაში ტემპი შენელებულია.

**თამარ ნადირიძე - „ნინო ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია“**

- როგორ ფიქრობთ, შექმნის თუ არა ოპოზიცია ფრაქციას და გაერთიანდებით თუ არა მასში?

- ამის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია. ოპოზიცია საკმაოდ მრავლადაა წარმოდგენილი, ჩემი პარტიიდან ვარ მხოლოდ მე. ჯერ უნდა ვნახო ადამიანები, გავეცნო მათ მოსაზრებებს და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გარკვეული სამომავლო გეგმების დასახვა. საკმაოდ ჭრელი სიტუაციაა და არ ვიცი, როგორ წარიმართება. არავის ისე არ ვიცნობ, რომ უკვე რამე გეგმებზე დავინწყოთ ფიქრი. შეიძლება რაღაც საკითხებში



მქონდეს განსხვავებული აზრი. ხედვები ჩვენს ქალაქთან დაკავშირებით უნდა იყოს ერთიანი. მე პირველად შევედივარ საკრებულოში, ვეცნობი დებულებას. ძალიან ბევრი რამ მექნება სასწავლი, ვცდილობ, უკეთესად გავერკვე. მთავარია, ყველა წევრთან დავამყარო კომუნიკაცია, ჩვენ უნდა ვაკეთოთ საერთო საქმე სანამ მერი არ იქნება არჩეული, წინასწარ საუბარი რთულია.

ფრაქციაში ალბათ შევალ, რასაკვირველია თანხმობის შემთხვევაში. მაგრამ, ზუსტ პასუხს ვერ ვიტყვი. ყველაფერს გადავწყვეტ სიტუაციის გაცნობის, შეფასების შემდეგ. თუ ჩემი პარტიისთვის მისაღები იქნება, ჩემი ქალაქისათვის აუცილებელი, რა თქმა უნდა, მე ამ შემთხვევაში ფრაქციაში შევალ. ჩვენი, როგორც საკრებულოს წევრების გადაწყვეტილებებზე, უკვე დამოკიდებულია ადამიანების სვალინდელი ბედი და ამას ძალიან სერიოზული დაკვირვება სჭირდება.

**- გოჩა ძიმისტარიშვილის კანდიდატურაზე საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე, რა აზრის ხართ?**

- ვერაფერს ვერ ვიტყვი, იქედან გამომდინარე, რომ გოჩას მხოლოდ გამარჯობით ვიცნობ. ძალიან ბევრს შეიძლება ჰქონდეს ამის სურვილი, მაგრამ ეს იმდენად საპასუხისმგებლოა, კარგად უნდა ერკვეოდეს პრობლემებში. მიმაჩნია, რომ მომავალი საკრებულოს თავმჯდომარე უნდა იყოს ადამიანი, რომელიც აუცილებლად ოპონირებას გაუწევს მთავრობას.

**გოჩა ძიმისტარიშვილი - საკრებულოს წევრი, „დავით თარხან მოურავი - პატრიოტთა ალიანსი“**

**- ამ ეტაპზე როგორ გეხსენებათ მომავალი საკრებულოს მუშაობა?**

- საკრებულო, უპირველეს ყოვლისა, უნდა ემსახურებოდეს ოპოზიციას. ეს არის მთავარი და რაც შეეხება მუშაობას, ალბათ, შეიქმნება

ფრაქციები. ჩემი მოსაზრებით, აქ ძირითადად სამი ძალა იქნება წარმოდგენილი - კოალიცია „ქართული ოცნება“, დამოუკიდებელი კანდიდატები და არასაპარლამენტო ოპოზიცია. „ოცნებაში“, ფაქტობრივად, არჩევნები წააგო, მას საკრებულოში მხოლოდ ხუთი წევრი ჰყავს, ეს კი მათთვის ძალიან ცოტაა. რეალურად, როგორ მოიქცევიან დამოუკიდებელი კანდიდატები, ამას დრო გვიჩვენებს. სანამ მათ არ გავიცნობ, არ გავიგებ მათ მოსაზრებებს, მანამდე ვერაფერს ვიტყვი. ვაპირებ საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე წარვადგინო საკუთარი კანდიდატურა. ოპოზიციისთვის მოგვეცეს ამის საშუალება ოპოზიციას. ჩემი აზრით, ოცნებას არ აქვს არანაირი მორალური და იურიდიული უფლება, რომ წარადგინონ თავმჯდომარე კოალიციიდან.

**- გაქვთ მხარდაჭერის იმედი?**

- როგორც იცით, კენჭისყრა იქნება ფარული და ყველაფერი დამოკიდებული იქნება საკრებულოს წევრების ნებაზე. იმედია, ქვეყნისთვის საზიანოდ არ განვითარდება მოვლენები. კიდევ ვამბობ, „ოცნებას“ არა აქვს უფლება, ჰყავდეს თავმჯდომარე კოალიციიდან.

**კომენტარისთვის „ქართული ოცნების“ სიის პირველ ნომერს მედია მხარობლიძესაც დავუკავშირდი. ქალბატონმა მედემ საუბარზე უარი განაცხადა. ვიდრე ოპოზიციის მერის ვინაობა არ იქნება ცნობილი. სამწუხაროა, რომ მისი აზრი არ დაფიქსირდა ჟურნალის ფურცლებზე. „გურია REGION“ იმედოვნებს, რომ მომავალში მაინც შევძლებთ ქალბატონი მედიას მოსმენას.**

თათია სამსონიძე



# პრემიის გამო ერთმანეთს დაპირისპირებული საქართველო და საქართველო

სულ ცოტა ხნის წინ, ლანჩხუთს თავს სტიქია დაატყდა, მოსახლეობის დიდ ნაწილს უხვი ნალექის შედეგად მოვარდნილი წყალი საყანე ფართობებსა და ეზოებში შევიდა.

მიუხედავად შექმნილი სიტუაციისა, საკრებულო პრემიებს ითხოვს, საუბარია 36 ათას ლარამდე თანხაზე, რომელიც უნდა გაიცეს, როგორც შტატთან, ასევე უშტატო საკრებულოს თანამშრომლებზე.

ბრძანება საკრებულოს თავმჯდომარის მიერ 20 მაისს დაინერა, რომელზეც ხელი უნდა მოეწერა გამგებელს, საქმე შემდეგში მდგომარეობს, თანხის აღება უნდა მოხდარიყო გამგეობის ბიუჯეტიდან, რაზედაც გამგებლის მოვალეობის შემრულებელმა, ვახტანგ ზენაიშვილმა ხელი არ მოაწერა და საკრებულოს წევრების რისხვაც დაიმსახურა.

18 ივნისს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, საკრებულოს ბიუროს სხდომა გაიმართა. პირველი საკითხის განხილვის შემდეგ, რომელიც ლანჩხუთის გერბისა და დროშის საკითხს შეეხებოდა, ყურნალისტებს დასწრების უფლება მიე-

ბასთან შეხვედრისას ხშირად ამბობდა, რომ საკრებულომ მას ხელი შეუშალა:

– გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის, ზაზა ურუშაძის მხრიდან ხშირად ჰქონდა ადგილი საკრებულოს ღირსების შელახვას. დადასტურებულად, ხუთი წყაროდან მაქვს ინფორმაცია, რომ ბატონი ურუშაძე შეხვედრებზე, თან არა ერთზე, ამბობდა, რომ საკრებულო ხელს უშლიდა საქმეში, თორემ ძალიან ბევრს გააკეთებდა ლანჩხუთისთვის. როცა საკრებულოს თავმჯდომარედ მოვედი, იმავე დღეს მოვიყვანე გამგებლად ურუშაძე საკრებულოს 100%-იანი მხარდაჭერით. შემდეგ შემოიტანა გამგეობის რეორგანიზაციის პროექტი – უპირობოდ დაუჭირეთ მხარი. მას არც ერთი სამსახურის უფროსის და არც მისი მოადგილის მოყვანის დროს კონსულტაცია არ გაუვლია ჩვენთან, არ გაუვლია კონსულტაცია არც შინ ნასული რწმუნებულების ადგილზე ახლების შერჩევისას, განსაკუთრებით, ამ ტერიტორიული ერთეულიდან არჩეულ მაჟორიტარებთან. მოდით, ავიღოთ ა(ა)იპ-ები, ამბობდნენ, რომ ყველა სახლში უნდა გავუშვათ და ჩვენ უნდა დავნიშნოთ. ვნახოთ იმ ა(ა)იპ-ში, სადაც მათ შეცვალეს ხელმძღვანელობა, რა ხდება – ყველგან სიტუაცია აირია. შიდა აუდიტის სამსახურს რაც შეეხება, მან თავის თავზე აიღო მოსამართლის, პროკურატურის ფუნქცია, რაც არ არის სწორი.

**რამი დასჭირდათ იმის თქმა, რომ საკრებულო ხელს უშლიდათ, თორემ ყველა ბუჩქის ძირში ია იყავილებდა. ვერ გვხვდები, – ამბობს ამირან გიგინეიშვილი.**

– რაც შეეხება ავადსახსენებელი პრემიების საკითხს, ბრძანება პრემიის გაცემის შესახებ 20 მაისს გავეცი. საუბარია საკრებულოს თანამშრომლებზე. მოტივი ისაა, რომ ეს ადამიანები 4 წელია მუშაობენ. ჩემი თავმჯდომარეობის პერიოდში მხოლოდ ერთხელ მიიღეს პრემია, რამდენიმე დღის შემდეგ 99%-ი სახლში მიდის. მოტივი ისაა, რომ მაღლობა გადავუხადო თანამშრომლობისთვის და წარმატებები ვუსურვო. ასევე, ერთი თვით მაინც გავატანინო თავი. ყველა კანონი დაცულია, ყველა ამ პრემიის თანხა ჯამურად არ აჭარბებს ერთი ადამიანის პრემიას, რომელიც თბილისში გაიცა. კანონები „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, „საჯარო სამსახურის შესახებ“, ჩვენი დადგენილება „ბიუჯეტის შესახებ“ და სუფთა ადამიანური მომენტი მაძლევს ამის საშუალებას. ამ ადამიანებს მივეცი პირობა და მინდა, შევუსრულო. მე გამოვდივარ კორპორაციული ინტერესებიდან, ქუჩაში მყოფი ადამიანების პრობლემაც ვიცი და ისიც ვიცი, მალე ვინ აღმოჩნდება ქუჩაში. ამიტომ, ყურადღების გამახვილება, რომ ხალხს უჭირს და შენ არ გასცე პრემია, ჩემთვის მისაღები არ არის. გავარკვიეთ, რომ პრემიის გაცემას წინასაარჩევნო პერიოდში შტაბი ბლოკავდა, ვითხოვე გარანტია, რომ არჩევნების შემდეგ მოაწერდნენ ხელს, მაგრამ მაინც მომაცუყეს. მოგვიანებით გავიგე, რომ სარჩელი შეუტანიათ სასამართლოში, რომ თურმე ბიუჯეტი დეფიციტურია, შესრულებულია 35%-ი და ასე შემდეგ ვილატეები წამომიძახებენ, ალბათ, „ნაციონალმა“ თავმჯდომარემ პრემიები გასცაო. ცნობისთვის, „ნაციონალების“ მთავარმა ოფისმა ცესკოში მიჩივლა „ეტალონში“ ბიუჯეტში არარსებული თანხის გაცემაზე შეპირება მისცა გამარჯვებულსო! – დასძინა ამირან გიგინეიშვილმა.



ცათ, რაც შეეხება სხვადასხვა საკითხს, საკრებულოს თავმჯდომარემ ბიუროს წევრების თანხმობით სხდომა დახურა და ყურნალისტებს დარბაზი დაატოვებინა.

სხდომიდან, რომელიც საკრებულოს თავმჯდომარის კაბინეტში გაიმართა, ხმაური გამოდიოდა. როგორც მოგვიანებით გავარკვიეთ, საკრებულოს ფრაქციის წევრები – მაკა კვიციანი და მარიკა თურნავა გამგებლის მოადგილეს, ვახტანგ ზენაიშვილს სიტყვიერად დაუპირისპირდნენ. წყარო ჰყვება იმასაც, რომ გამგებლის მოადგილეს საკრებულოს წევრმა ქალბატონებმა ტენდერები შეახსენეს და მისი მისამართით უშვერი სიტყვები არ დაიშურეს.

ხმაური და დაპირისპირება დახურულ კარს მიღმა ნახევარი საათი გაგრძელდა, რის შემდეგს საკრებულოს თავმჯდომარემ ყურნალისტები ისევ თავის კაბინეტში მიიხმო და სხდომის დახურვის მიზეზი განუმარტა. მისი თქმით, ბიუროზე განხილულ იქნა პრემიების საკითხი. 20 მაისის ბრძანების თანახმად, საკრებულოს თავმჯდომარე გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს თხოვდა, ხელი მოეწერა საკრებულოს წევრებისთვის პრემიის გაცემის საკითხზე. თუმცა, ვახტანგ ზენაიშვილმა უარი განაცხადა.

დაპირისპირებაც, სწორედ, პრემიების საკითხს მოჰყვა. საკრებულოს თავმჯდომარემ იმ მოტივზე ისაუბრა, რის გამო პრემიის გაცემა გადაწყვიტა. მანამდე კი მან ზაზა ურუშაძის შესახებაც განაცხადა, რომ შევბუღებაში გასული გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი, მოსახლეო-

გიგინეიშვილმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ცვლილება უკვე შესულია და საკრებულოს წევრებზე პრემიების გაცემის შესახებ ბრძანებაც გაცემულია, მიუხედავად გამგეობის მხრიდან სასამართლოში შესული საჩივრისა, პრემიების გაცემა მაინც მოხდება. მისივე თქმით, ეს გამგეობა პრემიების გაცემაზე უარის თქმით ქულების დაწერას ცდილობს.

რაც შეეხება გამგებლის მოადგილეს, ვახტანგ ზენაიშვილს, მისი განმარტებით, მან უარი განაცხადა პრემიების გაცემაზე იმ მიზეზით, რომ არის მძიმე სოციალური ფონი, ამას ემატება ისიც, რომ ლანჩხუთს თავს სტიქია დატყდა:

**– დაზარალებული მოსახლეობა დარჩა მოსავლის გარეშე და ასეთ ფონზე პრემიის გაცემას მხარს ვერ დაუჭერ, – აცხადებს ზენაიშვილი.**

ადასტურებს იმასაც, რომ პრემიების საკითხთან დაკავშირებით სასამართლოს მიმართა:

**– საკრებულოს თავმჯდომარის მხრიდან ადგილი ჰქონდა მუქარას, რომ მომხსნიდა სამსახურიდან, თუ ხელს არ მოვანერდი პრემიების გაცემას და მოხსნის შემდეგ 3 წელი საჯარო სამსახურში ვერ ვიმუშავებდი. ამიტომ, გადავწყვიტე, საჩივარი შემეტანა სასამართლოში. სასამართლომ გარკვიოს, ვინ არის ჩვენ შორის მტყუან-მართალი, – ამბობს ვახტანგ ზენაიშვილი.**

მიუხედავად საკრებულოს მოთხოვნისა, პრემიების გაცემის ბრძანებაზე გამგეობის მხრიდან ჯერ ხელი არავის მოუწერია.

ვერც საკრებულოს ბოლოს წინა სხდომაზე ასცდა ზაზა ურუშაძე საკრებულოს წევრების რისხვას, ამ ეტაპზე, საკი-

თხ სხვადასხვაში, მისი მისამართით უკმაყოფილება საკრებულოს წევრმა, ლევან ჩხაიძემ გამოხატა და მოითხოვა იმ მიზეზების დაკონკრეტება, რის გამოც ურუშაძე აცხადებდა, რომ მას საკრებულომ საქმიანობაში ხელს უშლიდა:



– ზაზა ურუშაძე ამბობს, რომ ხელს ვუშლიდით, მოვითხოვ დააკონკრეტოს, რას გულისხმობდა! დავინწყით ფეხბურთით, ვეუბნებოდი ბატონ ზაზას, რომ მიგვეცა ადგილობრივებისთვის საშუალება, ეთამაშათ კლუბში, მაგრამ წავიდა სასტიკი წინააღმდეგი, ადგილობრივ ახალგაზრდებს არ მისცა თავის გამოვლენის შესაძლებლობა, ბატონო ზაზა, ბიზნესის წარმოებისთვის რომ შეიქმნა გამგეობა, იმას მიხედეთ, არ დავაკონკრეტებ ვის ვგულისხმობ! – ამბობდა ლევან ჩხაიძე.

თამარ მღვინეიშვილი

# რომის ჰაუარანის პენსიაზე დაბოკობა უნდა შეწყვიტოს



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აცანის მკვიდრი, მაყვალა ჩხაიძე მეუღლესთან და მამამთილთან, 92 წლის ომის ვეტერანთან ერთად, გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს. ჩხაიძეების ოჯახის ერთადერთი შემოსავალი პენსიაა, სახლიც მძიმე მდგომარეობაშია. ჩამონგრეული და დაზარალებულია კედლები, დაზიანებულია სახურავი. ეზოში მინა დაწეულია, როგორც მაყვალა ჩხაიძემ გვითხრა, მუდმივი

საფრთხის ქვეშ უნევს მის ოჯახს ცხოვრება, რადგან ადგილი, სადაც ცხოვრობენ, მენყერსაშიმ ზონაშია.

**შინით ისე წვიმს, როგორც გარეთ, უამინდობის დროს თუ კი რამ ჭურჭელი მოგვეპოვება, ყველაფერი იატაკზე გვინყვია, – ამბობს ჩვენთან მაყვალა ჩხაიძე.**

ჩხაიძეების ოჯახს, ცოტა ხნის წინ სოციალური დახმარება მოუხსნეს. როგორც მაყვალა ჩხაიძე ამბობს, მისმა მეუღლემ 12 დღის განმავლობაში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე იმუშავა და ხელფასის სახით 200 ლარი დაერიცხა. სწორედ, ამ თანხას უკავშირებს ქალბატონი მაყვალა დახმარების მოხსნას.

– სახლის სახურავის მასალაზე სამი წელია ვიბრძვი და ყურადღებას არ მაქცევენ. სოციალური დახმარება გვექონდა და ისიც მოგვისხნეს. მარტში, დახმარების შეწყვეტის მიზეზად ჩემი მეუღლის სამსახური დამისახელებს. არადა, ჩემს მეუღლეს 8 წელიწადია არსად უმუშავია. 12 დღის განმავლობაში იმუშავა გზის დაგებაზე და აიღო 200 ლარი. შემოსავლების სამსახურიდან ამონაწერიც კი მაქვს, რომ მთელი წლის განმავლობაში ჩემს ოჯახში იმ 200 ლარის გარდა, სხვა თანხა არ შემოსულა. მაისიდან მთელი სამი თვის განმავლობაში ჩემთან აგენტი არ მოსულა. მერე მოვიდა, შეავსო დეკლარაცია, ჩაწერა ერთი ძროხა, 8 ქათამი, 172 ლარი პენსია და მომივიდა 60 ათასი ქულა. თებერვალში ვიყავი გამგებელთან, ავუსხენი ჩემი მდგომარეობა. გამოგზავნა ინფრასტრუქტურის სამსახური, გადაიღეს ფოტოები, მაგრამ შემდეგ უფრო დაინგრა ჩემი სახლი. მერე



ორჯერ მივაკითხე, მაგრამ როგორც კი შევედი ჩანერაზე და გაიგეს რა საკითხზე მინდოდა ურუშაძესთან შეხვედრა, არ შემიშვეს – ბიუჯეტში თანხა არ არის და ვერ დაგეხმარება გამგებელიო. დახმარების საკითხზე ერთი წლის შემდეგ მოვა აგენტი, შეგამონებებს და თუ გეკუთვნის, მოგცემენო. სოფლის რწმუნებულმა ყველაფერი შეამონმა, თავდებშიც ჩაგვიდგა და ურუშაძესთან მიიტანა ეს ამბავი, მაგრამ არავითარი შედეგი არაა. დაშლილი სახურავის გამო კი, სახლი თავზე მენგრევა, გთხოვთ, მიშველეთ რამე! – ამბობს მაცყვალა ჩხაიძე.

სოციალური სააგენტოს ლანჩხუთის ფილიალის ხელმ-

ძღვანელის, მაკა გოგიჩაიშვილის თქმით, მაცყვალა ჩხაიძეს სოციალური დახმარება მას შემდეგ შეუწყდა, რაც შემოსავლების სამსახურიდან ცნობა მოვიდა და მოხდა აღნიშნული ოჯახის თავიდან გადამონმება:

– აღნიშნულ ბენეფიციარს მარტში, შემოსავლების სამსახურის ცნობით, შეუწყდა სოციალური დახმარება, გადამონმების შედეგად ქულა მოუვიდა მაღალი. ჩვენ, სამსახუროდ, ვერ გაგცემთ პასუხს, რატომ მიენიჭა მაღალი ქულა. თუმცა, კარგად გვესმის მისი ოჯახური მდგომარეობა.

– **მაცყვალა ჩხაიძე ამბობს, რომ მას აქვს შემოსავლების სამსახურის ცნობა, სადაც მითითებულია, რომ მისმა მეუღლემ ხელფასის სახით მხოლოდ ერთხელ აიღო 200 ლარი.**

– ვისაც კი ჰქონდა იმ პერიოდში დაფიქსირებული მსგავსი თანხა, ყველა ბენეფიციარი თავიდან გადამონმდა და სოციალური დახმარება შეუწყდა, – გვითხრა მაკა გოგიჩაიშვილმა.

თამარ მღვინიშვილი



## „ყველაფერი რას ბრწყინავს, ოქრო არ არის“



„ვერაფერს აგისხნიან და დიდ პროცენტებს ვიხდით, სამართალი აღარაა?! ჩოხატაურს არც ჰყავდა და არც ეყოლება პატრონი. კიბეებზე ჩამომავალი გაბრაზებული ქალბატონი შემომხვდა.

– **რა ხდება ქალბატონო?**

– პენსიის სესხი გამოვიტანე, რიგში დგომამ დამალა. სული შემეხუთა, ისეთი სივიწროვეა, ორი ადამიანი ერთმანეთს გვერდს ვერ აუვლის.

– პენსიონერების სესხების მაღალ პროცენტებზე უნდა გითხრა, მოხუცები ოჯახებს პენსიით არჩენენ, რაიმე შელავათი მიეცი, ან პროცენ-

ტი დაუკელი, დროის გასატარებლად არცერთ მათგანს არ უნდა საპენსიო სესხი. ჩოხატაურში ან სხვა ბანკი შემოიყვანონ და გადააბარონ პენსიები – შემოწყრა ქვეყანას პირველი შემხვედრი მამაკაცი.

ჩვენი ჟურნალის მკითხველს, ალბათ, ახსოვს, პირველ ნომერში დაბეჭდილი „ლიბერთი ბანკის“ მომსახურებით უკმაყოფილო ხალხის აზრი, თუმცა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში რთულია ეს თემა დაივიწყონ. „ლიბერთი ბანკმა“, საბანკო სექტორში საკმაოდ მსხვილმა მოთამაშემ, მედიასივრცეში ახალ ჟურნალთან ურთიერთობა ულტიმატუმის ენით დაიწყო. როცა ადგილობრივების პოზიცია საჯარო გახდა, სათაო ოფისმა ჩოხატაურის ბანკის ფილიალის გარემონტების გადაწყვეტილება დააჩქარა. ჩვენმა რედაქციამ, კი,

„სასურველი შეთავაზება“ – ერთი წლის მანძილზე ჟურნალში რეკლამის განთავსება და ფილიალის გახსნის ექსკლუზიური უფლება დაეკარგეთ. ალბათ, კომერციულ ბანკს ტენდერში მუდმივად გამარჯვების ეიფორიით ერთგვარი დამსჯელის ფსიქოლოგია ჩამოუყალიბდა. რატომ არის მათთვის ბანკის შენობაში ჟურნალისტიც გამოჩენა უსიამოვნო ფაქტი?

**ჩოხატაურში ყოფნის დროს მეც გამოიჩინა სურვილი და ახლადგარემონტებულ ბანკში შევედი. სურათებიც გადავიღე, თუ როგორ ემსახურებიან კლიენტებს. არის თუ არა ისევ დიდი რიგი. ბანკის მმართველს, ლაშა ასათიანს მოთმინების ფიალა აევსო. მკაცრად მომმართა.**

– ვინ მოგცათ უფლება კომერციულ ბანკში ჩვენთან შეთანხმების გარეშე კლიენტებს ფოტოებს რომ

**უღებო?**

– მოწმობა მივანოდე, თუმცა არ გამომართვა.

– დაასრულეთ საუბარი.

– პასუხი არ გამცა. რიგში მდგომმა ქალბატონებმა ჩუმად გაიღიმეს. მმართველთან პოლემიკის გამართვის სურვილი არ მქონდა, ამიტომ არასახაბიელო გარემო მალე დავტოვე.

რამდენიმე დღის წინ ბანკის ფილიალი დიდი ფიარით გახსნეს, გურიის გუბერნატორი გიორგი ჩხაიძე, საკრებულოს თავმჯდომარე ანტონ ხუნდაძე, გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი თამაზ ჯინჭარაძე მიიწვიეს. მათ გვერდით მმართველი გუნდიდან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვებული კანდიდატებიც იყვნენ.

„ხელი ხელს ბანს, ორივე კი პირსო“. ასეთი სათაურით დაიბეჭდა ჟურნალში მეორე სტატია. „ლიბერთი ბანკის“ ჩოხატაურის ფილიალის მმართველ ლაშა ასათიანსა და კლიენტ



ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს (ხელს აწერს საკრებულოს თავმჯდომარე ანტონ ხუნდაძე) შორის დადებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულებაში ვკითხულობთ.

**3.3. კლიენტი იღებს ვალდებულებას.**

**3.3.1. ექსკლუზიურად ისარგებლოს მხოლოდ „ლიბერთი ბანკის“ მომსახურებით, მათ შორის მუნიციპალიტეტის თანამშრომლების სახელფასო პროგრამის მომსახურებით.**

**5. მხარეთა პასუხისმგებლობა.**

**5.1. კლიენტის მიერ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის ან წინამდებარე ხელშეკრულების 3.3.1. პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია დაარიცხოს კლიენტის კუთვნილ მიმდინარე ანგარიშებზე არსებულ ნაშთს სარგებელი წლიური 2%-ის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ კლიენტს უკვე მიღებული აქვს სარგებელი, ბანკი**

უფლებამოსილია გამოქვითოს ზედმეტად გადახდილი სარგებლის თანხა, კლიენტის ანგარიშებზე არსებული ნაშთიდან.

**9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ანგარიშების დახურვა.**

**9.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2013 წლის 9 ივნისიდან და მოქმედებს 2 წლის ვადით. ხელშეკრულების მოქმედება ავტომა-**

**ტურად გაგრძელდება ყოველ ჯერზე იგივე ვადით, თუ მისი ვადის გასვლამდე 1 თვით ადრე რომელიმე მხარე არ გამოხატავს მისი შეწყვეტის სურვილს მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გავზავნით.**

„მიმდინარე ანგარიშზე სარგებლის დარიცხვა საშუალო დღიურ ნაშთზე წლიური 14,5% (თოთხმეტხანჯვარი პროცენტი). ჩოხატაურის საკრებულო, ხალხის წარმომადგენლობითი ორგანო, ვალდებულია საჯარო გახადოს, თუ სად დაიხარჯა დაგროვილი (ჩვენი წყაროს ინფორმაციით) საკმაოდ სოლიდური თანხა.

სახელფასო პროგრამით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაში ვკითხულობთ.

**5.1.1. კლიენტი ვალდებულია ექსკლუზიურად ისარგებლოს სს ლიბერთი ბანკის მომსახურებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ბანკს არ შეუძლია მომსახურების გაწევა.**

**7.4. ხელშეკრულების ვადამდე**

შეწყვეტის შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით განაგრძოს შრომის ანაზღაურების ბანკში გახსნილ საბარათე ანგარიშზე ჩარიცხვა იმ თანამშრომლებისთვის, ვისაც ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის ბანკის წინაშე ერიცხებათ არაუზრუნველყოფილი საკრედიტო დავალიანება, აღნიშნული დავალიანების სრულ დაფარვამდე.

**9. პასუხისმგებლობა.**

**9.1. კლიენტის მიერ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის, მუნიციპალიტეტის თანამშრომლების კუთვნილი ხელფასის სხვა ბანკებში მთლიანად, ან ნაწილობრივ ჩარიცხვის, ან წინამდებარე ხელშეკრულების 5.1.1. და 7.4 პუნქტების დარღვევის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია დააკისროს პირგასამტეხლო ბანკის სასარგებლოდ ორმოცდაათი ათასი ლარი.**

მაღალი საზოგადოე-

ბრივი ინტერესიდან გამომდინარე ვსვამთ კითხვას – რა კომერციული გარიგება შედგა სს „ლიბერთი ბანკის“ ჩოხატაურის ფილიალის მმართველ ლაშა ასათიანსა და ჩოხატაურის საკრებულოს თავმჯდომარე ანტონ ხუნდაძეს შორის? ამ კითხვაზე პასუხს ჩვენ აუცილებლად მოვიპოვებთ, ორივე ხელშეკრულების მთავარი პუნქტები უკვე გაგაცანით. ექსკლუზიური უფლება, თუ თავისებური მონოპოლია. რატომ ვერ შედის სხვა ბანკები ჩოხატაურში?! მიზეზი მარტივია „ლიბერთი ბანკს“ ეს ბაზარი ათვისებული აქვს.

საბანკო „ოაზისზე“ უარს არცერთი მხარე იტყვის, მით უფრო, თუ ფილიალის გახსნის ფიარს ზურგს ადგილობრივი ხელისუფლება და გუბერნია გაუმყარებს. რატომ არ მოეწონათ ჟურნალისტების ამ თემით დაინტერესება?! სათანადო დასკვნა მკითხველმა გამოიტანოს.

ლელა სურმავა

# ბახმარო - ყვანაფა მალაღი რანგის კურორტი

საქართველოში 103 კლიმატური და სამკურნალო კურორტი. სამკურნალო ტურიზმის განვითარებას დიდი პერსპექტივა აქვს. ჟურნალ „გურია REGION“-ის ჟურნალისტებმა გურიაში გაბნეული მარგალიტების თავმოყრა დავისახეთ მიზნად.

„ბახმარო“ თითოეული გურულის იდენტობას უკავშირდება. საქართველოში ერთადერთი კურორტი, სადაც ყოველ საღამოს კოცონს ანთებენ, მის ირგვლივ ოჯახის წევრები, ახალგაზრდები იკრიბებიან. ურთიერთობის ასეთი ფორმა დღემდე გრძელდება. ამბობენ, „ბახმაროში“ დამეგობრებულები, მთელი სიცოცხლის მანძილზე მეგობრებად რჩებიან.



დავით საკვაია

„გურულს ყველაზე მეტად ესაჭიროება მდიდარი მატერიალური ყოფა“ – წერს გრიგოლ რობაქიძე. გურიის რეგიონის ტურიზმის დიდ ინდუსტრიაში ჩართვა ეკონომიკური განვითარების წინაპირობაა. „ბახმარო“ საქართველოში ყველაზე მაღალი კურორტი, „ბახმარო“ კურორტებშიც რანგირებულია, ალბათ, საკრალური სიტყვაა, რომელშიც გურულების მომავალი აისახება.

კურორტი ზღვის დონიდან 2,050 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, მაღალი მთების კალთებიდან მოჩანს მთელი გურია, იმერეთის ნაწილი, ნახევარი სამეგრელო და აფხაზეთი, მთელი შავი ზღვა. ჰავის პირობებზე ეკუთვნის მაღალი მთის კლიმატს, სადაც დამატებით დიდ გავლენას ახდენს ფილტვებზე შავი ზღვის ჰავა. კურორტის სამკურნალო თვისებებია – დიდ გავლენას ახდენს ფილტვების, პერიტონიტებით, მალარია, მეორადი ანემიით დაავადებულებზე, აქ დიდი რაოდენობით მატულობს სისხლის წითელი ბურთულების რიცხვი და ჰემოგლობინის რაოდენობა. საუკეთესო კლიმატურ პირობებს უნიკალური რელიეფური ფიჭვი ქმნის.

კურორტი განსაკუთრებული კლიმატური პირობებით გამოირჩევა, ზაფხული ზომიერად გრილი, ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 1869მმ. მზის ნათების ხანგრძლივობა 1975სთ. წელიწადში, შეფარდებითი სინოტივე 73%. 2014 წელს მსოფლიოს ყველა ზამთრის კურორტზე სეზონი ჩაიშალა. წელს „ბახმაროში“ თოვლის საფარი 6 მეტრი იყო. სამთო-სათხილამურო ტურიზმის განვითარებას დიდი პერსპექტივა აქვს. „ბახმაროს“ განაშენიანების გენერალური გეგმის განხორციელება ხელისუფლების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, თუმცა კურორტზე სხვა ბარიერებიც არსებობს, რომელიც დროულად უნდა მოწესრიგდეს.

„ბახმაროს“ გზაზე მთამსვლელი ტურისტები შეგვხვდა, ძლიერი ნისლის გამო, რაც კლიმატურ პირობებში ხშირია, ჩვენთან ერთად იმგზავრა. „ბევრ ქვეყანაში ვიმოგზაურე, დავრწმუნდი ჩვენი ბუნება განსაკუთრებულია, იცით რატომ? წყლით მდიდარია“. ბახმაროს შესასვლელთან, დამშვიდობების დროს აღნიშნა – „ასეთი კურორტი, სამწუხაროდ, სათანადოდ არ არის განაშენიანებული“.

მოედანზე, ფერისცვალების ეკლესიასთან კურორტის დირექტორი დავით საკვაია დაგვხვდა.

– რას ჰპირდებით ახალ სეზონზე დამსვენებლებს?

– ყველა სეზონისგან გამორჩეული საკურორტო სეზონი გვექნება. თქვენი თანდასწრებით მოედნის შემოღობვის პირველი სამუშაოები იწყება. მოენყობა საბავშვო ატრაქციონი, დაიგება ასფალტი, დაიდგება სკამები. დამსვენებლებს აქ სულ სხვა გარემო დახვდება.

– რა სამუშაოები ტარდება კურორტზე კომუნიკაციების მონესრიგებისთვის?

– წელს წყლის სისტემის რეაბილიტაცია იგეგმება, მოვანსრიგეთ დასუფთავების საკითხი, გაიხსნება ახალი სასტუმრო, ამბულატორია, სპორტული ცენტრი. მთელი სეზონი იქნება სასწრაფო დახმარების ბრიგადა. გაუმჯობესდება ელექტროენერგიით მომარაგება. ყველა პრობლემას აქ, ადგილზე ვაგვარებთ, ვცდილობთ, ყოველგვარი ბარიერი შევზღუდოთ. გვეხმარება გუბერნია, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა.

– მასშტაბური პროექტები ყოველთვის დროში იყო განვლილი. ცენტრალური ხელისუფლება თუ იჩენს ინიციატივას, კურორტის განაშენიანების გენერალური გეგმა მომზადებულია. რატომ არის შეჩერებული?

– სამწუხაროდ, კოტეჯების მესაკუთრეების მიწის 70%-ი დაუკანონებელია. „ბახმაროსთვის“ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მათი სწრაფად დაკანონება, აუქციონის წესით შეიძინონ ეს მიწები, შემდეგ მშენებლობის უფლებას მოაპოვებენ, რაც ხელს შეუწყობს იერსახის მონესრიგებას, „ენერგო-პრო-ჯორჯია“ დაიწყებს აბონენტების გამრიცხველიანებას.

– ადგილობრივებს შეუნარჩუნდებათ თუ არა თავიანთი სახლები?

– რა თქმა უნდა, დღესდღეობით „ბახმაროში“ 1100 კოტეჯია. დანამდვილებით გეტყვით 95%-ს მსგავსი საფრთხე არ ემუქრება. განაშენიანების გეგმა სახლებს ხელს არ უშლის, ყველა ბიუროკრატიული ბარიერი უნდა შევამციროთ და წამოწყებული საქმე ერთობლივად დავაჩქაროთ. ეს კურორტის მომავლისთვის მნიშვნელოვანია, რომ ინვესტორისთვის მიმზიდველი გახდეს. სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოდიან ტურისტები, ისინი აღფრთოვანებას ვერ ფარავენ.

ჩვენი საუბრის შემდეგ იმ ადგილას მივედით, სადაც „ბახმაროს“ განაშენიანების გენერალური გეგმა უნდა განხორცილდეს. ირგვლივ ლამაზი სივრცე გამოჩნდა. მონუსხულებმა ვთქვით-საოცრებაა. ეს ის ადგილია, სადაც სიტყვაც, კი, თავის ძალას კარგავს.

ლელა სურმავა

# გადაუმართავი პირველი პონტოს მუხის ხის კორომბა



## დაცული ტერიტორიების სააგენტო

საქართველოს მცენარეთა სამყარო (ფლორა) მდიდარი და მრავალფეროვანია. იგი დაახლოებით 13300 სახეობას ითვლის. გურიის მაღალი ქედები, მათი კალთები და განშტოებები ტერიტორიას იცავენ სამი მხრიდან კონტინენტური კლიმატის ჰაერის მასების შემოჭრისგან, ხოლო მეორე მხრივ ხელს უწყობს თბილი შავი ზღვის კლიმატური გავლენის გავრცელებას. (კურორტ „ბახმაროს“ შესასვლელთან 3000 მინის ფართობზე ნითელ ნუსხაში შეტანილი გადაშენების პირას მყოფი პონტოს მუხის ხის კორომბია და მარტო იმ მონაკვეთზე ხარობს. დეკორატიული მცენარე 10-12მ. სიმაღლისაა. ნიფლისებრთა ოჯახს მიეკუთვნება. კირქვიან კლდეებსა და თიხნარ ნიადაგზე ზოგჯერ ქმნის წმინდა კორომს. ზამთრის მკაცრი პირობების გადატანა უხდება თოვლის მძლავრი საფარის ქვეშ. ყინვაგამძლეა, ნორჩი ყლორტები ზრდას ამთავრებს გაზაფხულზე და ყინვამდე ასწრებს გამერქვას. არასამთავრობო ორგანიზაციამ ამ მონაკვეთის პირველადი შესწავლა ჩაატარა. კურორტის მახლობლად 3000 მინის ფართობი სულ მალე შესაძლოა დაცულად გამოცხადდეს).



პონტოს მუხა

გურიის რეგიონის მცხოვრებლები სათანადოდ არ არიან ინფორმირებულები, რა არის დაცული ტერიტორია, მათი აზრით, ეს სარგებლობის აკრძალვას ნიშნავს. ჩვენ ამ თემატიკით დავინტერესდით და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარეს ლაშა მოისწრაფიშვილს გავესაუბრეთ.

**- საზოგადოებას აუხსნათ რა არის დაცული ტერიტორია?**

- ჩვენი მთავარი დანიშნულებაა არსებული ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა იყოს დაცული. გვაქვს სხვადასხვა სახის კატეგორიები-ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ალკვეთილი, ბუნების ძეგლი, დაცული ლანდშაფტი, ISN-ის გარემოს დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტების დაცვით ვქმნით დაცულ ტერიტორიას. რუსეთის იმპერატორის დადგენილებით საქართველოში პირველად 103 წლის წინ შეიქმნა ლაგოდეხის ნაკრძალი. საბჭოთა კავშირის დროს მხოლოდ ერთი კატეგორია-ნაკრძალი და სამონადირეო მეურნეობა არსებობდა, 1996 წელს შეიქმნა და ამოქმედდა ახალი კანონი - „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“. მართვის სისტემა უფრო მრავალფეროვანი გახდა. 2007 წელს დაცული ტერიტორიების სააგენტომ მიღებულ კანონთან შესაბამისობაში დავინყეთ და-

ცული ტერიტორიის რეკლასიფიკაცია. ნაკრძალი არის ის ხელუხლებელი ტერიტორია, სადაც ნადირობა, ტურისტის გადაადგილება არ შეიძლება.მხოლოდ ეკოსაგანმანათლებლო ბილიკი უნდა მოეწყოს. რაც შეეხება ეროვნულ პარკს, ერთ-ერთი მოქნილი სამართავი კატეგორიაა.

**- რა განსხვავებაა ეროვნულ პარკსა და ალკვეთილ შორის?**

- ყველა დაცული ტერიტორია იმართება მენეჯმენტის გეგმით, სადაც განისაზღვრება ზონირებები, ტრადიციული გამოყენების ზონა ეს ის ტერიტორიაა, სადაც ეროვნული პარკის შექმნამდე, ადამიანი თიბავდა, შეშა გამოჰქონდა, კენკრას მოიპოვებდა, კიდევ არის ისტორიული ზონები, ტურიზმის განვითარებისთვის ვიზიტორთა ზონები, მკაცრი დაცვის ზონა. მცენიერული შესწავლის შემდეგ მენეჯმენტის გეგმა ადგილობრივებთან შეთანხმებით იწერება.

(კანონში არის ჩანერილი-დაცული ტერიტორიის შექმნაში ხალხმა უნდა მიიღოს მონაწილეობა, რადგან ყველაზე კარგად მათ იციან სად, რა ხდება). ისინი ფიქრობენ, რომ დაცული ტერიტორია მხოლოდ ნაკრძალია და იქ შესვლა შეზღუდულია, რაც მცდარი ინფორმაციაა). დღესდღეობით აქტიურად ვართ ჩართული ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობაში. ეროვნული პარკი ვცდილობთ იმ ტერიტორიაზე შევქმნათ, რომელიც აკმაყოფილებს დაცული ტერიტორიის მოთხოვნებს. დაცული ტერი-

ტორია არის კანონის აღმასრულებელი უწყება, რომელიც იცავს ტერიტორიას, რომ მდგრადი სარგებლობა მოხდეს, არ გადაშენდეს ის სახეობები, რომლებიც ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეა. ტყეებში მეჯოგეობას ეწევიან, ჰყავთ კამეჩები, ამოჰყავთ ყველი. ის გარემო საუკუნეების მანძილზე ადაპტირებულია. დაცული ტერიტორია ტრადიციების დაცვას უწყობს ხელს. ის კერძო მფლობელობაში ვერ შეიქმნება, მინა ტყის ფონდის, ან ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში უნდა იყოს.

**- ფშავ-ხევსურეთში ხალხი კარგად გამოგებმაურათ, რა გეგმები გაქვთ გურიაში?**

- იქ სადაც პონტოს მუხის ხის კორომბია სულ მალე მოხდება კომისიური ჯგუფის, სამეცნიერო წრეების წარმომადგენლების და ექსპერტების გასვლა, ადგილზე უნდა მოხდეს შესწავლა. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებთან მოეწყობა შეხვედრები. კომისია იმსჯელებს, რომელ კატეგორიას მივაკუთვნოთ, გადაწყდება ეს ბუნების ძეგლი იყოს, თუ ალკვეთილი. შემდეგ დაინყება კანონპროექტის შემუშავება. ზოგადად გურია ეკოკორიდორში ჯერ კარგად არ არის შესწავლილი.

**- ჩვენი მიზანია ამ პროცესში რედაქციაც ჩაერთოს.**

- ძალიან კარგი, პონტოს მუხით დავინყოთ, ვნახოთ ხალხი როგორ გამოგებმაურება. როცა ბუნების ძეგლი იქმნება, ეს საერთაშორისო აღიარებაა, ბევრი ტურისტი ჩამოვა და იმ ტერიტორიას დაათვალიერებენ.

**- პოპულარიზაციის გარდა რა სარგებლობას მოუტანს**



პანფილ მუხა

**ადგილობრივებს?**

– თუშეთში ეროვნული პარკის შექმნის შემდეგ სასტუმროების, კვების ობიექტებმა მოიმატა, როცა მსოფლიო ბანკმა დაგვაფინანსა მხოლოდ 7 სასტუმრო იყო, ახლა 55-ზე მეტია. აღვადგინეთ ლუდსახარში, გამოვეცით ბუკლეტები. სოფლის პროდუქტებზე მოთხოვნა გაჩნდა. ვინც გურიაში დაცული ტერიტორიის დამხმარე ზონაში ცხოვრობს, მათი საყოფაცხოვრებო პირობები გაუმჯობესდება, შეიქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები, დაიწყება ადგილობრივი პროდუქციის წარმოება და გაყიდვა. შემცირდება მაღალი მთის მოსახლეობის მიგრაცია. მეც გურული ვარ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ არჩეულიდან, გული მწყდება, გურიაში არცერთი დაცული ტერიტორია რომ არ გვაქვს. ყველა პროცესში ადგილობრივები უნდა ჩაერთონ, ასე უფრო გაუადვილებათ დაცული ტერიტორიის სიკეთის დანახვა.

ლელა სურმავა

# მეთევზეები დიდგულად ველარ გაჰყურებენ პალიასტომს

გურიისა და სამეგრელოს შორის პალიასტომის ტბაა. 1924 წლამდე ის მტკნარი წყლით იყო სავსე, იშვიათი შემთხვევაა ზღვასთან ასე ახლოს, მტკნარი წყლის ესოდენი დიდი ტბა იყოს სადმე. სწორედ, ამ წელს სპეციალურად გათხრილი არხით პალიასტომი ზღვას შეუერთეს. დიდი ღელეების და ზვირთების შედეგად არხი გაფართოვდა და უკვე დიდი სრუტით უკავშირდება ზღვას. თევზის სახეობა – კეფალი პალიასტომში ზღვიდან შემოდის, როცა ერთი კვირა გაჩერდება, მარილი ეცლება, მას შემდეგ ხდება გემრიელი. ტოფობის, ქვირილობის დროს არ შეიძლება თევზს მიეკარო.

მეთევზეებს უწყლოდ სიცოცხლე არ შეუძლიათ. ძალიან აზარტულია, როცა თევზაობ, დროის შეგრძნებას კარგავ. დღეს, კი, ისინი დიდგულად ვერ გაჰყურებენ პალიასტომის ტბას. ჩვენი მარშუტი სოფელ გრიგოლეთიდან დაიწყო. საუკუნის წინ ამ ტერიტორიაზე სტაროვერები დაასახლეს, მათ მოეწონათ ეს ადგილი და დარჩნენ. კარგი მეურნეები არიან, ჩითილები გამოიყვანთ, განთქმულია სუფსის კიტრი. თევზაობაც უყვართ. დიდი მცდელობის მიუხედავად ისინი ვერ ვიპოვეთ. მხოლოდ მათი უცნაური სახლები მოვინახულეთ. სად არიან მეთევზეები, როგორია მათი ყოველდღიური ცხოვრება, ისინი თავიანთ საიდუმლოს მხოლოდ პალიასტომს უმხელენ? ეს კითხვები არ გვასვენებდა, ამიტომ მათი ძებნა გავაგრძელეთ და ნინოშვილის დასახლებაში მივედით. ტბის ნაპირზე ძველი ნაგებობები დაგვხვდა. მამაკაცები არსად ჩანდნენ. უცხო პირების მისვლით ქალბატონი დაინტერესდა. ყურადღება ძალიან გაუხარდა.

– სად არიან მეთევზეები?

– ამ დასახლებაში მეთევზეები ცხოვრობენ, ოჯახები ლუკმა – პურს თევზაობით ვმოულობთ, სხვა საარსებო საშუალება არ გვაქვს. ახლა აკრძალვაა (ზაპრეტი) ორი თვე უმუშევარი ვართ, ველოდებით, როდის გაგვიშვებენ.

– აკრძალვის დროს მიდიან სათევზაოდ?

– ასეთი შემთხვევებიც იყო, გაუშვეს და იმ საღამოს დაიჭირეს. 2 – 4 ათას ლარიანი ჯარიმია, ვინ წავა სათევზაოდ? არავინ გვეხმარება, სამუშაო არ გვაქვს, ხალხი პურის ფულს ვერ შოულობს.

ტბის ნაპირთან ორი მამაკაცი დაგვხვდა. როცა ერთ – ერთს მივუახლოვდით, წამოდგა და საუბარი არ ისურვა.

– გაგესაუბრებით, იქნებ შევძლოთ დახმარება?

– მე მამამ ვერ დამეხმარა, ყველაფერს გაფიცებ, არაფერი მკითხო, მე რომ სიმართლე ვთქვა.

– რა სიმართლე?

– უკეთესობას ვერ ვხედავ.

– ორი თვის შემდეგ გაგიშვებენ?

– არა, საერთოდ არ უშვებენ, არც ტბაზე და არც ზღვაში.

– იცით თუ არა, ეს ტერიტორია კოლხეთის ეროვნული პარკის შემადგენლობაშია.

– კანონებში კარგად ვერ ვერკვევი.

შვილი თავჩარგული იჯდა და ჩვენ საუბარს ისმენდა. ისევ ქალბატონმა იაქტიურა.

– როგორ არ ვიცით, ეს ნაკრძალია, საერთოდ არ შეიძლება შესვლა. შევარდნაძის დროს ქალაქ ფოთის მერი თხოვდა მას, ხალხს უჭირს, სათევზაოდ გავუშვათო, ვეცოდებოდით და გვიშვებდნენ. ახლა სათევზაოდ წასვლასაც არა აქვს აზრი, ტბაში თევზი აღარ არის.





- ნაკრძალის არსებობა თქვენთვის არის დადებითი ფაქტორი?

- არა, ჩვენ ისევ გაჭირვებული ვცხოვრობთ. იქ გაუვალი ტყეა, ნადირობაც აკრძალულია, ახლა რაღაცეებს აკეთებენ ისევ უცხოელი რომ ჩამოვა, გაასეირნონ და დაასვენონ. ხალხზე ვინ ზრუნავს? ნინოშვილის დასახლებაში 3000 ოჯახი ცხოვრობს, აქ 6 ქარხანა იყო, დაანგრეეს, თავიანთი წილი წაიღეს. ბევრს არ ვითხოვთ, დასაქმება გვინდა, კიდევ კარგი ეს თურქეთი რომ გვაქვს, თორემ რა გვეშველებოდა ქართველებს?! გუშინ 20 ახალგაზრდა წავიდა.

- თურქეთში ჩაის პლანტაციებში მათ კატორღულ პირობებში უნევთ შრომა.

- რა ვქნათ, უსახსროდ ყოფნას ხომ ვჯობია.
- ხელისუფლების წარმომადგენლები მოდიან თქვენთან?
- წინასწარჩვენოდ გვსტუმრობენ.
- რას გეუბნებიან?

- ცხრა წელი წინა ხელისუფლების დროს ხომ ელოდებოდით, ეს აქვთ სალაპარაკო, ახლა კონკრეტულს არავინ გვეუბნება, მთავრობის შეცვლა ამას რას უშველის. ჩვენთან ბრძანდებოდა ფოთის მაჟორიტარი დეპუტატი



ეკა ბესელია. მხოლოდ დაპირებები, სხვა სიკეთე არ ჩანს. „როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო“ – ასეთია ჩვენი ცხოვრება.

- ჩვენ ჟურნალს გავუგზავნით თქვენს დეპუტატს.

- ძალიან კარგი, ყველამ მიგვატოვა და დაუცველები ვართ. მესმის დასაქმება გლობარული პრობლემაა და მისი მოგვარება რთულია, ასე რომ იმედით ვცხოვრობთ.

*რთული ეკონომიური პირობების მიუხედავად, ნინოშვილის დასახლების მცხოვრებლები დასაქმების საკითხს მასშტაბურად განიხილავენ. პალიასტომზე ქვირილი პერიოდს რეინჯერები იცავენ, მცირე მეთევზეები დიდი საჯარიმო სანქციის გამო თევზაობას ვერ ბედავენ. მკაცრი კონტროლი იცავს თუ არა ნაკრძალს ბრაკონიერებისგან, ამ დრომდე მათ ნაკლებად იჭერდნენ და მარტო სუსტს ჩაგრავენ. კოლხეთის დაბლობის დაცულ ტერიტორიაზე ჩვენ აბოლუტურად დაუცველ ხალხს ვესაუბრეთ, მამაკაცები თავჩარგული იხდნენ და თავიანთ დარდს ისევ პალიასტომს უმხელდნენ. ტბას, რომელიც ყოველ დროს ადამიანების საიდუმლოს კარგად ინახავს.*

ლელა სურმავა



## პროფესიული განვითარების კვლევის პროგრამა

გვესაუბრება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო საბჭოს უფროსი მანანა მინდაძე

- ქალბატონო მანანა, თქვენ ახლახან პროფესიული განვითარების პროგრამით იმყოფებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, გვესაუბრეთ ამ ვიზიტის შესახებ.

- დიას, გახლდათ პროფესიული განვითარების კვლევის პროგრამა, რომელსაც უძღვებოდა ილინოისის უნივერსიტეტი MEAS პროექტი და ბორლეუგის ინსტიტუტი, ტეხასის საერთაშორისო ექსტენციის ცენტრი. მოწვევა გაგვიკეთა USAID-ის პროექტმა, რომლის, მიზანიც საქართველოში ექსტენციისა და საკონსულტაციო მომსახურების გაძლიერება, ადმინისტრაციული შესაძლებლობების ხელშეწყობა ექსტენციისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობაში.

ჩემთან ერთად დელეგაციის წევრები გახლდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმომადგენლები და სამტრედიის, ოზურგეთის, ქარელის, ყვარლის, ადიგენის, ნინოწმინდის სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსები.

ვიზიტი ქალაქ ვაშინგტონით დაიწყო. შეხვედრები გაიმართა როლანდ რეიგანის სახელობის შენობაში. სემინარის მიზანი იყო ექსტენციისა და საკონსულტაციო სერვისების სისტემების მიმოხილვა, საკონსულტაციო სერვისების სისტემების გაუმჯობესება, ირიგაცია და სხვა პროექტები, რომელსაც მსოფლიო ბანკი საქართველს სოფლის მეურნეობაში ახორციელებს. სემინარებს გვიტარებდა პროფესორი მერლინ ივერტი, მსოფლიო ბანკის მდგრადი განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენელი პიტერ გელმენი.

14 დღე დავყავით ამერიკაში რომელიც მთლიანად დეტვირთული იყო სასწავლო სემინარებით და პრაქტიკული კვლევითი ცენტრების გაცნობით. შეხვედრები გვქონდა USAID-ის საერთაშორისო პროგრამების დირექტორთან, აშშ-ს სატყეო სერვისების საერთაშორისო პროგრამების ხელმძღვანელთან, ასევე ტეხასის A&M-ის აგროლიფის ლიდერებთან, ტეხასის ბორლეუგის უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან. საინტერესო შეხვედრა გაიმართა ადამიანებთან, რომლებიც ჩვენი სამსხურის სტატუსით საქმიანობენ ამერიკაში. გულლიად და საინტერესოდ გვი-

ზიარებდნენ თავიანთ გამოცდილებებს. ასევე ფერმერებთან, მენარმებთან, ღვინის ქარხნის მესაკუთრებთან საკუთარ მარნებში. კოოპერატივის წარმომადგენლებთან. ეს ვიზიტის ოფიციალურ მხარეა. რაც შეეხება ჩემს შთაბეჭდილებებს, ახალს არაფერს ვიტყვი, თუ განვაცხადებ რომ ამერიკა არის ქვეყანა, რომელიც ზრუნავს თავისი მოქალაქეების კეთილდღეობისთვის. ეს შეიმჩნევა ყველგან და ყველაფერში. ნებისმიერი ფერმერი, რომელიც დაკავებულია სოფლის მეურნეობის განვითარებით, მასზე ზრუნავს სახელმწიფო, კანონები არის შექმნილი, ინსტიტუტები, რომლებიც ფერმერებზე მუშაობენ რათა ნახონ კომერციული მოგება ფერმერებმა. მთელი ინსტიტუტები, კვლევითი ცენტრები, რომლებიც ათასგვარ ცდებს ატარებენ ახალ ჯიშებზე, ახალ პრეპარატებზე, აგროტექნიკის გაუფრთხილებასზე, რათა მიიღონ მაღალი მოსავალი.

**- თუ შეიძლება ჩვენთანაც განვითარდეს ეს ახალი ჯიშები?**

- ძალიან ბევრი რამის გადმოტანა შეიძლება ჩვენს პირობებში. მაგალითად, შეიქმნას სადემონსტრაციო ნაკვეთები ყველა რაიონისათვის, რათა მოხდეს ადგილობრივი ფერმერებისათვის ჯიშთა გამოცდები. პრეპარატები რომლებსაც ხმარობენ ჩვენი ფერმერები ადგილზე გამოიცადოს... არ დამავიწყდება ერთ-ერთი ფერმერი ტეხასის შტატში რომლის 12 ჰექტრთან ფართობს ოჯახის 3 წევრი ამუშავებს. 8 წელია აწარმოებენ პომიდორს, დაიწყეს 60 ძირი პომიდვრის ნერგით და დღეს 8 ჰექტარზე მარტო პომიდორი აქვთ 30 სხვადასხვა ჯიშის. დაკვირვების შედეგად მომხმარებელს რომელი ჯიშიც მოსწონდა, ის გააფართოვეს. იმისათვის რომ კარგი მოსავალი ჰქონდეს ფერმერებს, ეხმარება ექსტენციის, ანუ საკონსულტაციო ცენტრები. საოცარი იყო ჩითილების სარგავი გუთანის, რომელიც ტრაქტორზე ებმება და ერთ საათში 1200 ცალი ნერგი ირგვება. ამას აკეთებს ორი ადამიანი.

**- როგორ ფიქრობთ, მაინც რაში მდგომარეობს განვითარებული სოფლის მეურნეობის მთავარი პრინციპი?**

- კარგად განვითარებული სოფლის მეურნეობის მთავარი პრინციპია ჩამოყალიბებული და ძლიერი კოოპერატივები, ასოციაციები, რომლებიც თანამშრომლობას ეწევიან საკონსულტაციო სამსახურებთან. ამ დარგის სახელმწიფო ყველა მოხელე ზრუნავს რითი დაეხმაროს ფერმერს, რომ ფერმერმა მოგება ნახოს. პრობლემების იდენტიფიცირება ხდება ფერმერების მიერ. რამდენიმე ძლიერი ფერმერი შეიკრიბება და ერთმანეთს უზიარებს ყველა იმ პრობლემას, რის გამოც მოხდა არასათანადო მოსავლის მიღება. შემდეგ ისინი ქმნიან ერთიან დოკუმენტს, სადაც ყველაფერია ზედმინევნილი ჩამოთვლილი და მიაქვთ ექსტენციის სამსახურში. შემდეგ ხდება ექსტენციის სამსახურის მიერ მთელი წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება და თანდათან განხორციელება, რაშიც მათ უკვე სამეცნიერო ნაწილი ეხმარებათ (ამ შემთხვევაში ტეხასის ბორლოგის უნივერ-



სიტეტი). კვლევის შედეგები ექსტენციის სამსახურის საშუალებით ვრცელდება ფერმერებში, რომლებიც მომავალში ინტენსიურად ნერგავენ ახალ ტექნოლოგიებს და ამით აგვარებენ პრობლემებს. სახელმწიფოს მთავარი ფუნქციაა ექსტენციის, კვლევების ჩატარება უკეთესი პროდუქციის მიღებისათვის. სახელმწიფო არ ერევა მათ საქმიანობაში. კოოპერატივის ძირითადი დანიშნულებაა მოგება ყველა წევრისათვის. მაგალითისათვის ერთ-ერთი კოოპერატივი, რომელიც შეიქმნა 1943 წელს ტრანსპორტის პრობლემების გამო. მეცხოველეობის ფერმები და მარცვლეულის წარმოება იყო ერთმანეთისაგან დაცილებული და თითოეულ ფერმერს ცალ-ცალკე უხდებოდა ტრანსპორტის დაქირავება. მეზობლები შეიკრიბნენ და უფრო იაფი დაუფრადთ ერთიანი ტრანსპორტის (მატარებელი) დაქირავება ამან მისცა პირველი მოგება, რომელიც მთლიანად არ გადაინაწილეს და თანდათანობით დაიწყეს განვითარება - საქმიანობა, ბიზნესი. ამ ბიზნესის მართვა ხდება თვითწევრების მიერ. ახლა ამ კოოპერატივს 77 მილიონის ბრუნვა აქვს.

ჩვენი ფერმერებისათვის საუკეთესო რჩევა იქნება, რაც შეიძლება მალე დაიწყონ გაერთიანება, განსაკუთრებით ერთი დარგის ფერმერებმა. მათ ინტერესებიც და პრობლემებიც ერთი აქვთ, ეს გამოიწვევს მეტი დროის და თანხების დაზოგვას.

არ შემიძლია მაღლობა არ გადავუხადო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, USAID-ის პროგრამის კოორდინატორს ბატონ როლანდ სმიტს, ქალბატონ ლიზი ბასიშვილს, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი თვალსაჩინოება გვენახა რათა თითოეული ჩვენთაგანი, ვინც ვიზიტით ვიმყოფებოდით, კარგად დავფიქრდეთ და ვიზრუნოთ რა შეიძლება ამერიკაში ნანახი გადმოვიღოთ ჩვენი პირობებისათვის, რა გვჭირდება, როგორ დავეხმაროთ ადგილობრივ მოსახლეობას.

**- კიდევ ერთხელ რას ეტყვიტ ჩოხატაურელ ფერმერებს?**

- ჩემო საყვარელო ჩოხატაურელო ფერმერებო გთხოვთ, შევიკრიბოთ მევენახეები, მეთხილეები, მეცხოველეები, მეციტრუსეები, მეფუტკრეები, ჩვენს სამსახურთან ერთად ვიფიქროთ, თუ როგორ დავძლიოთ ის სიძნელეები რაც ჩვენს წინაშეა, როგორ განვავითაროთ სახელმწიფოსთან ერთად ჩვენი რაიონის წამყვანი დარგები. ძალიან გახარებული ვარ, ჩვენი მცდელობები გაითვალისწინა ფერმერთა ნაწილმა და ორმა სუბიექტმა გადალახა საგრანტო დაფინანსების პირველი ეტაპი მე დარწმუნებული ვარ ისინი მიიღებენ სათანადო ღირსეულ დაფინანსებას. მეფუტკრეებს გაერთიანებისაკენ მოვუწოდებ, რადგან ჩვენს რაიონს ამ დარგში კარგი გამოცდილება აქვს, მათ სჭირდებათ სათანადო დახმარება სახელმწიფოსგან, ეს კი შესაძლებელია კოოპერატივების ჩამოყალიბების შემდეგ.

*ქეთევან კუკულავა*

# ქეთევან უზნაძე-მჭედლიშვილი ასეულობით პაციენტის კიდურები გადაარჩინა



ქეთევან უზნაძე

ჭიათურის მუნიციპალიტეტში მალ-ლობზე ლამაზი სოფელი გუნდაეთია, რომელიც ყველა სოფელს ზემოდან გადაჰყურებს. იქ დაიბადა და გაიზარდა ქეთევან უზნაძე-მჭედლიშვილი. ჭიათურის სკოლის დასრულების შემდეგ საშუალო ტანის გოგო თბილისში ჩამოვიდა და სამედიცინო ინსტიტუტში ჩააბარა. თავდაპირველად პედიატრიის დარგი აირჩია, სულ მალე სამკურნალო სფეროს დაეუფლა. მომავალმა ქირურგმა ინსტიტუტი წარჩინებით დაამთავრა, ქირურგიული კათედრის გამგეს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ ეფრემ ზაქარაიას ნიჭიერი სტუდენტი შეუმჩნეველი არ დარჩა. ქეთევანი ქირურგიულ კათედრაზე დატოვეს. მოქმედი ქალი ქირურგი იმ დროს იშვიათი იყო, ის ქალაქის №3 ჰოსპიტალში მუშაობდა. მეორე მსოფლიო ომიდან ჩამოყვანილ დაჭრილ მეომრებს კუჭნაწლავზე, თორმეტგოჯა წყლულზე, ელენთის, ღვიძლის ოპერაციებს უტარებდა. მუცლის ღრუს ქირურგმა ისეთ კორიფებთან გაიარა სკოლა, როგორებიც იყვნენ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწეები – ეფრემ ზაქარაია, აკადემიკოსი ეგნატე ფიფია, მიხეილ ჩაჩავა, დავით იოსელიანი, გოგი ბოჭორიშვილი და გივი გონჯილაშვილი.

ქეთევან უზნაძე-მჭედლიშვილი 52 წელი იმუშავა სამედიცინო ინსტიტუტის ქირურგიულ და ჰოსპიტალურ კათედრაზე, ჯერ ორდინატორად, შემდეგ ასისტენტად და პროფესორად. სა-

მედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე მომავალ მკურნალებს ზოგად ქირურგიაში უკითხავდა ლექციებს.

1954 წელს ქეთევანმა აიღო სამეცნიერო თემა კიდურების არტერიათა მობლიტირებული ენდარტერიიტის, შემდგომ განგრენის დაავადების შესახებ. აღნიშნული დაავადება ძლიერი ტკივილებით მიმდინარეობს, რასაც ინვეს იშემიური კიდურების ნევროზული ქსოვილების ნერვულ რეცეპტორთა ძლიერი გაღიზიანება. როდესაც დასტაქარი პაციენტებს ძლიერ იშემიურ ტკივილებს უყურებდა, განგრენის წინააღმდეგ გადაწყვიტა ბრძოლა. **ქეთევანმა ორი პარტიის, სხვადასხვა წამლისგან შემდგარი მედიკამენტური ნარევი შექმნა, რომელთა მეშვეობით ფეხის არეში სისხლძარღვებში დატრომბილი ადგილები გაათავისუფლა, გაიხსნა გზა და სისხლმა დაიწყო დენა. დიდი კვლევებისა და დაკვირვების შემდეგ პროფესორმა მიაღწია მიზანს და შექმნა უზნაძე-მჭედლიშვილის მალამო №1. ორგანიზმში მედიკამენტური ნარევის შეყვანის დროს, სწორედ, ამ მალამოს დახმარებით დანეკროზებული ადგილების მოჭრის შემდეგ, კიდურები ამოძრავდა და ტკივილებმაც იკლო. ასე გადაარჩინა ასეულობით პაციენტი კიდურების ამპუტაციას.** მიღწეული შედეგი 70%-მდე გაიზარდა, რაც არა მარტო საქართველოში, მაშინდელ საბჭოთა კავშირშიც, უპრეცედენტო იყო. 1961 წლიდან უზნაძე-მჭედლიშვილის ტკივილგამაყუჩებელი მალამო №1 ფართოდ გამოიყენება განგრენული იარების, დამწვრობის (განსაკუთრებით პირველ პერიოდში), ჰერპეს ზოსტერის, მწვავე ბუასილისა და ძლიერი ტკივილებით მიმდინარე ქრონიკულად შეუსორცებელი წყლუ-

ლების დროს. №1 მალამოს ეფექტურობაში დარწმუნებულმა მეცნიერმა №2 მალამოს დამზადება გადაწყვიტა, რომელიც ეფექტური სამკურნალო საშუალება აღმოჩნდა ყველა სახის დამწვრობის, წითელი ქარის, ტროფიკული წყლულების, ნაწოლებისა და ყველა სახის ჩირქოვანი ჭრილობების დროს. უზნაძე-მჭედლიშვილის №1 და №2 მალამოები 1963-1965 წლებში გამოიცადა სამ ქირურგიულ კლინიკაში, სამკურნალო ფაკულტეტის ზოგადი ქირურგიის კლინიკაში (პროფესორი დ. იოსელიანი), სამკურნალო ფაკულტეტის ჰოსპიტალური ქირურგიის კლინიკაში (პროფესორი დ.მურვანიძე). 1965 წელს სამივე კლინიკამ დადებითი რეცენზიები დაწერა და ჯანდაცვის სამინისტროსთან არსებულმა ფარმაკოლოგიურმა კომისიამ აკადემიკოს ვ. ასათიანის ხელმძღვანელობით დაამტკიცა მონოდებული მალამოების დადებითი სამკურნალო თვისებები და ეფექტურობა. იმ დროს ცნობილი რუსი დასტაქარების-ვიშნესკის, არემინის და შნიროვის მალამოები იშემიურ ტკივილებს ოდნავ აყუჩებდა, თუმცა ეს არ იყო საკმარისი. **ქართველმა მეცნიერმა ქეთევან უზნაძე-მჭედლიშვილი მედიცინაში ნოუჰაუ შექმნა. მისი მალამოები ბევრად უკეთესი აღმოჩნდა. მეცნიერმა მალამოებს 17 წელი მოახლოდა.**

უზნაძე-მჭედლიშვილის მალამო №1-ს აქვს ანთების საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი და ანტი-სეპტიკური მოქმედება, აცილებს ნეკროზულ ქსოვილებს, ხელს უწყობს ქრონიკული ჭრილობების შეხორცებას, ოპერაციის შემდგომი სხეულის ზედაპირის შეხორცებას. გამოიყენება განგრენული იარების ინფიცირებისას,



განგრენით დაავადებულის კიდურზე მკურნალობისას მკურნალობის შემდეგ





დავით მჭედლიშვილი და ივლით კუხიანიძე დაჯილდოების ცერემონიაზე

მწვავე ბუასილის, მსუბუქი და მძიმე ხარისხის დამწვრობის (განსაკუთრებით პირველ პერიოდში), ჰერპეს ზოსტერის, ფურუნკულის (ყურში, ცხვირში, სხეულის ზედაპირზე), სურდოს, მასტიტის მკურნალობისას, კოლოს ნაკბენის დროს. №1 მალამოს გამოყენების შემდეგ ავადმყოფს მომენტალურად ეხსნება ძლიერი ტკივილები.

უზნაძე-მჭედლიშვილის მალამო №2-ს აქვს ანთების საწინააღმდეგო, ძლიერი ანტისეპტიკური და სწრაფი რეგენერაციული მოქმედება, აჩქარებს რბილი ქსოვილების აღდგენასა და გრანულაციური ქსოვილების განვითარებას. გამოიყენება მსუბუქი და მძიმე ხარისხის დამწვრობის, ტროფიკული წყლულების, წითელი ქარის, კოლპიტის, ენდოცერვიციტის, საშვილოსნოს ყელის ეროზიის, ეგ ზემის (მშრალი, სველი), გამოყველის (განსაკუთრებით ახალშობილებში), ნაწილების, სტომატიტის, კბილის ექსტრაქციის (ამოღების), ალვეოლოტიტის, ყველა ფორმის პარადონტიტის, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთების დროს, სახის კანის ინ-

ფიცირების შემთხვევაში. პირის ღრუმში სოკოვანი დაავადებების დროს.

მალამოებმა აპრობაცია გაიარა თბილისის ონკოლოგიურ საავადმყოფოში. სწორწინის განყოფილების გამგემ, პროფესორმა ილია ბაქრაძემ მალამოებს ასეთი შეფასება მისცა – „ონკოლოგიური ავადმყოფები ძლიერ ტკივილებს განიცდიან, სიმსივნის ამოჭრის შემდეგ, მალამოების გამოყენებით სწრაფად ისრუტავს ჩირქს, მიმდინარეობს დაზიანებული ქსოვილების აღდგენა და შეხორცება“. კისრის სიმსივნის განყოფილების უფროსი ან გარდაცვლილი ილია ლოღელიანი წერდა – „№1 და №2 მალამოები შესაძლებელია გამოყენებული იქნას ყველა ქირურგიულ კლინიკაში, მეორადი შეხორცებისთვის დადებითი შედეგებით“. მალამოები გამოდის თეთრ კოლოფში. ინახება გრილ ადგილას.

1962-1963 წლებში ქეთევან უზნაძე-მჭედლიშვილმა შექმნა მალამო №3, რომელიც სააფთიაქო ქსელში არ გაუშვეს. მალამო №3 ზღუდავს დამწვრობის და ოპერაციის დროს წანაზარდებს. მა-

ლამოს ქირურგები იყენებენ, ის თრგუნავს ჭარბ რეგენერაციას.

90-იანი წლებიდან ქეთევან უზნაძე-მჭედლიშვილის საქმიანობა შეიღმა ტექნიკურ-მეცნიერებათა დოქტორმა დავით მჭედლიშვილმა გააგრძელა. 1997 წელს მის სახელზე დარეგისტრირდა ინდ. საწარმო „დავით მჭედლიშვილი-ჰიპოკრატე“. სამკურნალო პრეპარატები ერთადერთი ორიგინალია, პირველადი და ნამდვილი მალამოება. 2002-2004 წლებში №1 და №2 უზნაძე-მჭედლიშვილის მალამოები და მისი მწარმოებელი დაჯილდოვდა ოქროს, პლატინისა და ბრილიანტის პრიზებით ლონდონში, პარიზსა და ნიუ-იორკში „საუკეთესო ხარისხისათვის და ლიდერობისთვის მსოფლიოში“. 2011 წელს რომში დაჯილდოვდა „ოქროს გლობუსით“ სამკურნალო პრეპარატებს მსოფლიოში, მართლაც, ანალოგი არ აქვს. ქეთევან უზნაძე-მჭედლიშვილი ბუნებით და მოწოდებით ქირურგი იყო. დასტაქარმა მედიცინაში დანერგილი ნოვაციით საქართველოს კიდევ ერთ წარმატებას დაუდო საფუძველი.

ნატალია შარაშენიძე



უზნაძე-მჭედლიშვილის №1 და №2 მაღალმომხმარებლის პრიზები

# „მივად ბურიაში, მარა“...



სიმონ ჯანაშია

ჟურნალის რედაქტორმა მაკვანეთზე რეპორტაჟის მომზადება დამავალა, ვალიარებ, ძალიან გამიხარდა. ცოცხალი არ იყოს დიდი პასუხისმგებლობაც დამეკისრა – საზოგადოებისთვის უნდა გამეცნო სოფელი, სადაც დიდი დრო მაქვს გატარებული. ჩემზეა დამოკიდებული, რამდენად კარგად გავაცნობ ამ სოფელს ხალხს და მთავარია, როგორ მოეწონებათ

ლი შენობა, მეორე მსოფლიო ომისადმი მიძღვნილი მემორიალი, რომლის ავტორიც ამავე სოფელი – ზურაბ ბერსენაძეა.

სოფლის სკოლა აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელს ატარებს. აკადემიკოსის მშობლები ამ სოფელში ცხოვრობდნენ. სიმონის დედა – ელენე, მაკვანეთელი იყო, მამა – ნიკო ჯანაშია აფხაზეთიდან გახლდათ. იგი მაკვანეთში მასწავლებლად მუშაობდა. სწორედ, აქ გაიცნო ნიკომ ელენე, მცირე ხანში ისინი შეუღლდნენ. ახალგაზრდა წყვილს ბავშვი არ უჩნდებოდათ, ისინი მცირე ასაკში ელუპებოდათ. 1900 წელს მათ ვაჟი, სიმონი შეეძინათ. ძველი ჩვეულების თანახმად, ნიკომ და ელენემ გადაწყვიტეს, პატარა სიმონი „გაეძიებინათ“. პატარა სიმონის დედობილი ელესაბე-

ეს მაკვანეთელებს! კიდევ უამრავი ინფორმაცია მექონდა მოსაპოვებელი სოფლის შესახებ. გთავაზობთ მაკვანეთს, ისეთს, როგორიც მე დავინახე და ისეთი, როგორიც თვითონ არის – ლამაზი, მდიდარი ისტორიით, კულტურით და ურთიერთობებით.

ყველა ადგილს აქვს თავისი ლეგენდა, ისტორია. მათ შორის მაკვანეთსაც. ბევრი ვეძებე, ვიკვლიე და მაკვანეთის სახელწოდების შესახებ შემდეგი ინფორმაცია მოვიპოვე:

„ძველთაგანვე ამ ადგილის მცხოვრებნი განთქმულნი იყვნენ აკვანების კეთებით და ამის გამო ადგილმა მიიღო სახელწოდება „აკვანეთი“. ეს სახელწოდება დროთა განმავლობაში გადაკეთდა „მაკვანეთად“ და დღემდე ამ სახელითაა ცნობილი. არსებობს მეორე ვარიანტიც – მაკვანეთი მდებარეობს ორ მაღლობს, ბურღანასა და ყყაფშანას შორის, რომელიც მარაოსავით არის გაშლილი და აკვანით ჩანოლილი. სწორედ ამათგან შეიძლება წარმოდგებოდეს სახელწოდება „მაკვანეთი“. ბევრი ვეცადე, მაგრამ ზუსტ, დანამდვილებულ ცნობებს ამ სოფლის სახელწოდების შესახებ ვერ მივაგენი. არსებობს ლეგენდები და ნებისმიერ მაკვანეთელს რომ ჰკითხოთ, თუ რატომ ჰქვია მაკვანეთს მაკვანეთი, ამ ორი ლეგენდიდან ერთ – ერთს მოგიყვებინან.

მაკვანეთი პატარა სოფელია. სოფლის ცენტრში არის სკოლა, საბავშვო ბაღი, სოფლის კლუბი, ადმინისტრაციუ-



დი გახდა, მაკვანეთელი გაბრიელ სიხარულიძის მეუღლე ელისაბედსა და გაბრიელს ოთხი შვილი ჰყავდათ. მათი შვილი სიმონი, ნაშვილებ სიმონზე რამდენიმე თვით იყო უფროსი. ასე რომ, გაბრიელი და ელისაბედი ოთხ საკუთარ და ერთ ნაშვილებ შვილს ზრდიდნენ.

როცა სიმონი (ჯანაშია) წამოიზარდა, მშობლებთან დაბრუნდა, რომლებიც უკვე აფხაზეთში ცხოვრობდნენ. თუმცა, ჯანაშიების ოჯახი არ წყვეტდა ურთიერთობას მაკვანეთთან, სიხარულიძეებთან. ელისაბედის და გაბრიელის შთამომავლების ოჯახებში ახლაც ინახება აკადემიკოსის ავტოგრაფიანი „საქართველოს ისტორიის“ წიგნი, რომლის ავტორი სიმონთან ერთად იყვნენ – ნიკო ბერძენიშვილი და ივანე ჯავახიშვილი.

სწორედ, სიმონ ჯანაშიას ამ კავშირის გამოა, რომ სოფლის სკოლა მის სახელს ატარებს.

## საბაბირო გზა

გაზეთ „ლენინის დროშაში“ ერთ საინტერესო ცნობას წავეწყვი მაკვანეთზე. 1962 წლის 16 თებერვლის ნომერში საუბარია მაკვანეთი-გოგიეთის მთას შორის დამაკავშირებელ საბაბირო გზაზე. მიზეზი ის იყო, რომ გოგიეთის მთაზე მოსახლეობას ჰქონდა ციტრუსის და ჩაის პლანტაციები, რომელიც უგზობის გამო მოწყვეტილი იყო სოფლიდან. ამიტომ აპირებდნენ საბაბიროს გაყვანას. ფაქტია, რომ პროექტი ვერ შედგა. ვერსად ვნახე ის ადგილი, სადაც სა-



ვარაუდოდ საბაგიროს საწყისი სადგური შეიძლება ყოფილიყო. არც არავინ მოიძებნა ისეთი, ვისაც ამის შესახებ ინფორმაცია ექნებოდა. სოფლის უზრუნველი მცხოვრებლებიც კი გაოცებით იჩენენ მხრებს, მსგავსი ინფორმაციის შესახებ არაფერი სმენიათ.

### ფოლკლორი

მაკვანეთი ცნობილია ხალხური სიმღერების ისეთი შემსრულებლების სახელებით, რომელთა სახელებიც საუკუნეებს გაუძღვებენ.

ერქომაიშვილების გვარი და გურული ფოლკლორი განუყოფელია. ამ გვარის წარმომადგენლებს უდიდესი ღვაწლი აქვთ გურული ხალხური სიმღერის გადარჩენაში, შენახვაში. ისტორია გიგო ერქომაიშვილიდან იწყება მაკვანეთში. გიგოს შვილის, არტემის შვილიშვილია სწორედ ქართული ფოლკლორის უდიდესი მოამაგე, ანსამბლ „რუსთავის“ ხელმძღვანელი, ანზორ ერქომაიშვილი. საოცარია მაკვანეთელების სიყვარული ამ გვარის წარმომადგენლების მიმართ. ერქომაიშვილებს უდიდესი წვლილი მიუძღვით გურული სიმღერის გადარჩენაში, სიმღერების აღდგენასა და უძველესი ვარიანტების შენახვაში. —

ერქომაიშვილების გარდა, ცნობილია ისეთი სახელები, როგორიცაა: გიორგი ბაბილოძე, გიორგი იოშიშვილი, ივლიანე კეჭაყმაძე, ნანიკო ბურძღლა, ლუკა თოიძე და სხვ. გაბრიელ სიხარულიძის შთამომავლები ახლაც ცნობილი მომღერლები არიან არა მარტო გურიაში, არამედ მთელს საქართველოსა და მსოფლიოშიც. გური და ტრისტან სიხარულიძეების სახელი საქვეყნოდაა ცნობილი. მათ ტრიო „შალვა ჩემო“, მომღერალ მერაბ კალანდაძის დამატებით, მოგზაურობს მთელს მსოფლიოში და გურულ ფოლკლორს აცნობს სამყაროს. ანზორ ერქომაიშვილის დიდი ხელშეწყობით, ისინი ცდილობენ არ დაკარგონ წინაპრების მონაპოვარი, გადასცენ მომავალ თაობებს თავიანთი ცოდნა. უფროსი დედაბიძანი წინაპრებისგან ბოძებულ უდიდეს განძს. გურულ პოლიფონიას მთელი მსოფლიო აღტაცებაში მოჰყავს.

### გოგიეთი

ლეგენდის თანახმად, ამ ადგილას ცხოვრობდა ვინმე გოგია, რომელსაც თხის ჯოგი ჰყავდა. იგი ტყეში ჭრიდა ხეს, ამზადებდა შეშას, ნახშირს და ყიდდა, ამით ირჩენდა თავს. ხალხი ამბობდა, გოგიესთან მიედივარო და სწორედ, ამ ისტორიას უკავშირდება სახელწოდება გოგიეთი.



### ჯანვერდი ცეცხლაძის ტყე – პარკი გოგიეთში



გოგიეთში ერთი ძალიან ცნობილი, ტურისტებისთვის მიმზიდველი ადგილია. ბუნების მოამაგე ჯანვერდი ცეცხლაძეს თავის საცხოვრებელ ტერიტორიასთან რამდენიმე ჰექტარ ფართობზე გაშენებული ტყე – პარკი. ტყე – პარკში უამრავი სახეობის ხე, მცენარე, ბუნებრივი ჩანჩქერი, ხელოვნურად გაკეთებული მარანი, ულამაზესი ხედები, ნაძვის ხეივნები, იშვიათი ჯიშის სხვა ხეები და არაჩვეულებრივი ბუნებაა. მიუხედავად მდიდარი ბუნებისა, ტერიტორიას ოფიციალური სტატუსი არ აქვს მიანიჭებული. არც ტურიზმის სააგენტოსგან მხარდაჭერა და არც რომელიმე ოფიციალური უწყებისგან არ აქვს გამოხმაურება. ტყე-პარკს ნამდვილად აქვს იმის პოტენციალი, რომ ტურიზმის განვითარებისთვის უფრო მიმზიდველი, კომფორტული გარემო შექმნას. ტყე – პარკის ტერიტორიაზე აშენებულია რამდენიმე შენობა, სადაც ბატონ ჯანვერდის ეთნოგრაფიული კუთხეც აქვს მოწყობილი. ასევე გეგმავს პატარა კოტეჯების ჩადგმას ველურ ბუნებაში, მისი ინფრასტრუქტურის მოწყობას და უზრუნველყოფას ყველაფრით, რაც ამ პირობებში ტურისტს შეუქმნის კუთილმოწყობილ გარემოს. ახლა ყველაფერი შეჩერებულია. დიდი თანხები საჭირო, რასაც ამ ეტაპზე ტყე – პარკის მეპატრონე მარტო ვერ განედეგა სახელმწიფო კი ჯერჯერობით არ ზრუნავს. თუმცა, არის რაღაც სასიკეთო ძვრებიო – გვიხარა ბატონმა ჯანვერდმა. მას იმედი აქვს, რომ უახლოეს მომავალში შეძლებს თავისი გეგმების განხორციელებას, იქ არსებული გარემო ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას და ძალიან მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება მაკვანეთისთვის.

ჯანვერდი ცეცხლაძე, გარდა იმისა, რომ ამ არაჩვეულებრივი გარემოს შემქმნელია, უკვე წლებია, გურიის მეფუტკრეთა კავშირის თავმჯდომარეა. ტყე – პარკში მას ფუტკარიც ჰყავს მრშენებული. მას დიდი შიშა აქვს განუული ქართული ფუტკრის ჯიშის ჩამოყალიბებაში და მის შემდგომ განვითარებაში. მისი თაოსნობით ჩამოყალიბდა სასწავლებელი, სადაც მეფუტკრეობას ასწავლიდნენ. ამჟამად ეს სასწავლებელი არ ფუნქციონირებს.

ტყე – პარკს უამრავი უცხოელი ტურისტი სტუმრობს. ჩანანერების წიგნში ირანელი, იაპონელი, იტალიელი, ინგლისელი, გერმანელი და კიდევ უამრავი სხვა ქვეყნის წარმომადგენლის აღფრთოვანებულ ჩანანერს ნახავთ. არაფერს ვამბობ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოსულ დამთვალიერებელზე. თავისი კვალი ჩანანერების წიგნში „გურია REGION“-მაც დატოვა.



ბის შემდეგ, ძველი ეკლესიის ფუნდამენტზე კვლავ ეკლესიის აგება გადაწყვიტეს. 1996 წლის 7 ივლისს, მშენებლობა დაიწყო. მაკვანეთს უკვე რამდენიმე წელია ხარების სახელობის ეკლესია აქვს.

### ნაკაშიძის გორა

„სოფლის ცენტრის იქით, მალლობზე, მდებარეობს ნაკაშიძის გორა. ის ტერიტორია, სადაც ახლა ზემო მაკვანეთის სასაფლაოა, ადრე თავად ნაკაშიძეებს ეკუთვნოდათ, აქ იყო მათი საზაფხულო რეზიდენცია. ნაკაშიძეებს იქ ჰქონდათ საზაფხულო დასასვენებელი სახლი, მრავალნაირი გასართობითა და სათამაშოებით. ზაფხულობით იმ ეზოში ბევრი სტუმარი იყრიდა თავს. მათ შორის უცხოელებიც. იყო ერთი მხიარულება. გიგო ერქომაიშვილი ჯერ კიდევ იმ დროს აცნობდა მსოფლიოს გურულ ფოლკლორს.

ანზორ ერქომაიშვილი, „მივალ გურიაში, მარა...“, ჩემი წინაპარი, გვ. 32-33

### აზიდაყვა

მდინარე აზიდაყვა ჩამოუვლის გოგითსა და მაკვანეთს და უერთდება აჭისწყალს. მდინარის სახელწოდება დაკავშირებულია ლეგენდასთან, რომლის თანახმადაც ბავშვი, რომელსაც აგია ერქვა, მოიტაცეს თურქებმა. მშობლებმა დაუნყეს ძებნა შვილს. მგზავრმა, რომელმაც დაინახა ეს ფაქტი, მშობლებს უთხრა, „აქეთ დაყვაო“ და მიუთითა მდინარის მიმართულებით. მეორე თქმულების თანახმად, ერთხელ მდინარემ ზემოდან ქაბუკის გვამი ჩამოატარა. ხალხი მიცვივდა სანახავად. იმდენი ადამიანი მისულიყო მდინარის პირას, რომ რიგი იდგა. უკან მდგომნი იძახდნენ, ერთი მაჩვენეთ, ვინ დაყვა მდინარეს, ჩემიანი ზომ არ არის. წინ რომ გააღწევდნენ, მოტირალეები ქაბუკის გვამზე მიუთითებდნენ და შესძახებდნენ – აგია იგი უბედური, აგი დაყვაო.



### ხარების სახელობის ეკლესია

XX საუკუნის დასაწყისში სოფელში ეკლესია ააშენეს, თუმცა 60-იან წლებში ტაძარი დანგრეულა. 90-იანი წლებში

დღეს, ამ ადგილას სასაფლაოა. 2014 წლიდან კი ალდგომის სახელობის პატარა ეკლესიაც ფუნქციონირებს, რომლის აშენებაში დიდი წვლილი მაკვანეთელ ბიზნესმენს – შალვა(კოკი) ცეცხლაძეს მიუძღვის.


ნაკაშიძის გორა ულამაზესი ადგილია. თუ ყოველდღიური რუტინით გადაღლილი ხართ და ბუნებაში, ქალაქგარეთ გასვლა გესაჩიროებთ, ეს ადგილი იმედს ნამდვილად არ გაგიცრუებთ. ნაკაშიძის გორიდან უზარმაზარი სივრცე იშლება, ერთი წერტილიდან და კარგ ამინდში ზღვის დონახვაც კი შესაძლებელია. დგახარ ამ ადგილას და თავი სამყაროს მბრძანებელი გგონია საუკეთესო განტვირთვის საშუალებაა.

ეკლესია ამშვენებს და ახალისებს მიდამოს. დაღლილი მგზავრისთვის მშვენიერი დასასვენებელი ადგილია, პატარა შენობა, რომელშიც სიცხესაც შეგიძლია შეაფარო თავი და წვიმასაც. დატკბე გარემოთი, სინყნართი, უბრალოდ გარემოს სილამაზით.

ნაკაშიძის გორაზე დაკრძალულია გიგო ერქომაიშვილი, არტემი, დათრკო და მისი მეუღლე, გიორგი ბაბილოძე. გიგო ერქომაიშვილის განსასვენებელი ეკლესიასთან ახლოსაა. გალავანზე მიმაგრებული მარმარილოს ფილიდან თეთრწვერა, ჩაქურაში გამოწყობილი, ყაბალასმემოხვეული მოხუცი შემოგტყერით. მოხუცი, რომელიც ზუსტად ერთი საუკუნე იღწვოდა იმისთვის, რომ გურულ ფოლკლორს დღემდე ეცოცხლა – იგი 107 წლის ასაკში გარდაიცვალა.


იქვე ახლოს ატმის ხეა, რომელიც გიგოს შვილს, არტემს დაურგავს. ეს ატმის ხე ახლაც ხარობს, ახლაც ყვავის, ახლაც ხმება და მერე ისევ თავიდან ყვავის. ფოტოსწორედ ატმის ყვავილობის დროსაა გადაღებული, ულამაზესია.





2012 წლის 15 ივნისს გაიხსნა საკონდიტრო საწარმო „სანდომი“, რომელიც ქალაქ ოზურგეთის სოფელ მაკვანეთში მდებარეობს. საწარმო ფართო ასორტიმენტის, სხვადასხვა სახის ფუნთუშეულსა და ტაბილეულს აწარმოებს თანამედროვე დასავლური ტექნოლოგიებით, დანადგარები იტალიიდან არის ჩამოტანილი და საუკეთესო სპეციალისტების მიერ არის დამონტაჟებული. აქ ხდება დაახლოებით 40-50 სახის პეჩნიის წარმოება. ასე რომ მყიდველს მრავალფეროვან პროდუქციას ვთავაზობთ.

საკონდიტრო ქარხანა „სანდომი“ შპს „ვასაძის პურის“ ეუთვნილებაა, საწარმო კერძო ინვესტიციით ამოქმედდა და მისი ტირებულება დაახლოებით 400 ათას აშშ დოლარს შეადგენს. ქარხანაში 50-მდე ადგილობრივია დასაქმებული და წარმოების გაზრდის პარალელურად, დასაქმებულთა რაოდენობაც იზრდება. ეომპანია შპს „ვასაძის პური“ გურიაში საკუთარ პურის ქარხანას და თანამედროვე სტანდარტების სავაჭრო ცენტრს ფლობს, სადაც ჯამში 150-მდე ადგილობრივი მოსახლეა დასაქმებული.





# აღიკო ინჰიკრევილი-მეურნე კუსი



აღიკო ინჰიკრევილი - კაჭვი მეურნე

საქართველო პატარა ქვეყანაა, მის ნებისმიერ კუთხეში, თუ იკითხავთ, ვინ არის ბათუმელი ალეკო ინჰიკრევილი ყველა გეტყვის; მის სასტუმროს მიგასწავლის და თან დააყოლებს კაცური კაციაო.

მისი ფესვები გურიის ულამაზეს სოფელ ვაკიჯვრიდ არის. თუმცა ბათუმში დაიბადა, და აქვე დაფუძნდა.

მას დიდი ხანია ვიცნობ. აჭარის ვაჭრობის სამინისტროში ვმუშაობდი, როცა ალეკო მაშინდელი ბათუმის საზოგადოებრივი კვების ტრესტის ერთ-ერთი ჩამორჩენილი გაერთიანების გამგედ დანიშნეს. მისი უნარი და ხელმძღვანელობის ნიჭი გახდა იმის საწინდარი, რომ სულ მალე კაფე „ნექტარის“ დირექტორად გადაეყვანათ. აქედან დაიწყო მისი, როგორც ბიზნესმენის ტალანტის გაფურჩქვნის ხანა. მანამდე არაფრით გამორჩეული კაფე, ქალაქის საუკეთესო ობიექტად აქცია. თუ ვინმე ცნობილი, გამორჩეული სტუმარი გვეწვევოდა, ამ კაფეში მიგყავდა და ალეკოს მასპინძლობით დამტკბარნი, მას მეგობრების რიცხვში რიცხავდნენ. ასე გახდა იგი ცნობილი და პოპულარული, არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში.

მისმა ნიჭმა კიდევ მაშინ გაიელვა, როცა ყოფილი სასტუმრო „მედეას“ დაუსრულებელი რესტორანი ჩავაბარეთ. სულ რაღაც 6 თვეში ამ მაღლივი შენობის ბოლო ორი სართული შესანიშნავად მოაწყო და არაფრით გამორჩეული საზვევების ობიექტი, ქალაქში საუკეთესოდ წარმოაჩინა. ეს ყველაფერი ყოფილ საბჭოთა პერიოდში ხდებოდა.

როცა დაიწყო ჩვენი, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის შენება, ალეკომაც ფრთები გაშალა. ისე ნუ გამიგებთ, რომ მას ხელს კომუნისტები უშლიდნენ. არა ბატონო, ახალ დროს ალლო აულო, ახლებურად დაიწყო მუშაობა. მის კაფეს სართულები დააშენა და ასე დაიბადა ქალაქში 4 ვარსკვლავიანი თანამედროვე სასტუმრო „ალიკი“. მე მის კაი კაცობაზე ბერს არ შევჩერდები, რადგან ჩემს გარემოც იციან. მინდა ერთ ბოლოდროინდელ ფაქტს შევხებო.

**ბათუმის ბულვარი, რომ გამორჩეული ადგილია, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ასევე ჩამოსული სტუმრებისათვის სადაო არაა, ყოფილი მთავრობის დახმარებით ამ საუკეთესო ადგილები უმედესობა თურქებმა ჩაიგდეს ხელში. ნაცვლად აკრძელებისა 2-3 ისეთი კაპიტალური შენობა ააგეს, ცენტრალური პლიაყი თითქმის დაფარეს და ხალხისათვის მიუწვდომელი გახადეს.**

ასევე ბათუმელებს ახსოვთ საზაფხულო თეატრის გასწ-


ვრივ მდებარე ნაძვანარში ჩაფლული ბუნგალო, რომელსაც აბაშიძეების კლანი განაგებდა. მათი წასვლის შემდეგ, ეს ადგილი გავერანდა და გაპარტახდა. ამჯერადაც გამოჩნდა ალეკო ინჰიკრევილის ალლო და ეს ცარიელი ადგილი იჯარით აიღო, შესანიშნავი პროექტი მოამზადა და მშენებლობასაც შეუდგა. მაგრამ, როგორც ყოველთვის მოიქცნა ეგრეთ წოდებული არამკითხველ მობილები და ატეხეს ადგილობრივ ტელევიზიაში ერთი ამბავი, ინჰიკრევილმა ტყე-პარკი გაჩეხა და ბულვარი მისაკუთრაო. ჩემთვის და ჩემისთანა უამრავი ბათუმელისათვის მისასალმებელია აღნიშნულ ადგილზე ახალი, ორსართულიანი, მსუბუქი კონსტრუქციის კაფეს აშენება, ვინაიდან ეჭვი არ მეპარება მისი მეპატრონე იქაც გამოიჩენს ჩვეულ მარიფათს და ობიექტს მოაწყობს თანამედროვე დონეზე, დანერგავს კერძების მრავალფეროვან ასორტიმენტს, სიაფითა და გამოშვებული პტოდუქციის ხარისხით თურქებსაც აჯობებს და ახლომახლო განლაგებულ ობიექტებსაც. ზაფხულის სეზონის დამთავრების შემდეგ ამ შესანიშნავ ობიექტში შესაძლებელი იქნება მრავალრიცხოვანი სარიტუალო ღონისძიებების ჩატარება. როგორც ალეკომ განაცხადა, აქ ახალგაზრდა წყვილები ხელს მოაწერენ და თან ახალ დაქორწინებულებს ჰპირდება პირველი ღამე, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, მის სასტუმროში მიიღოს. აი, ეს არის თანამედროვე სერვისი.

რაც შეეხება ხეების მოჭრას, პირიქით ნარგავები დარგო და ეს ადგილი უფრო წარმტაცი გახდა. თუ არ გჯერათ, ადგილზე მიზრძანდით და თავად დარწმუნდებით. ამას გარდა სასტუმროსთან ერთად 130 კაცის დასაქმებას გვპირდება.

მეტი რა გვინდა ბათუმელებს! განა ალეკო მოგებას მინაში ჩაფლავს, ან თურქებზე თურქეთში გაიტანს? არა ბატონებო, ის კიდევ გააფართოებს თავისი მუშაობის არეალს და უფრო მაღალ დონეზე მოემსახურება, როგორც ჩვენს მოსახლეობას, ასევე ჩამოსულ სტუმრებს.

ღმერთმა ხელი მოგიმართოს ჩემო ძმაო.

**ჯონი ბარამიძე**



შემდგომის ვაჭრის მიდრეპლოვი იოსებ კვიციანი და ჯონი ბარამიძე

# ბახმარო

„მაოცებს მთანი დაჯანღებული,  
და ცაში მათი ღამის თევანი...  
მთა არის მინა აჯანყებული  
დედამინაზე დაუტევარი“.

**ზ. ბოლქვაძე**

კურორტი ბახმარო ყველაზე მაღალი კურორტია საქართველოში. კურორტი გაშენებულია მდინარე ბახვისწყლის ორივე სანაპიროზე. შემოფარგლულია მაღალი მთებით, რომელიც იცავს ქარებისაგან, მთები დაფარულია ხშირი ტყით (ნაძვისებრთა ოჯახი). მთის მწვერვალებზე არის ალპური საძოვრები.

**საზღვრები:** აღმოსავლეთი – განდრეკილის მთა (ზ.დ. 2722მ), დასავლეთი – საყორნიის მთა (ზ.დ. 2752მ), ჩრდილოეთი – ეგრეთ წოდებული ბახვისთავი (ზ.დ. 2752მ), სამხრეთი – ფაფარას მთა (ზ.დ. 2616მ).

**მთლიანი ფართობი შეადგენს 2651 კვ. კმ. დაბის ცენტრიდან დაშორებულია 50 კმ-ით.**

რესპუბლიკური მნიშვნელობის მაღალმთიანი კლიმატური კურორტი ჩოხატაურის რაიონში, მესხეთის ქედზე, მდინარე ბახვისწყლის ხეობაში, ტყის ზონის ზემო ნაწილში. ზ.დ. 1926-2000მ, შავი ზღვის სანაპიროდან პირდაპირი ხაზით 50 კმ. უახლოესი რკინიგზის სადგურ სამტრედიიდან 80 კმ. კლიმატური თავისებურებები: ზღვისა და მთის მასების შერწყმა, მზის რადიაციის, განსაკუთრებით ულტრაიისფერი გამოსხივების, მაღალი ინტენსივობა. სუსტი უმეტესად ზღვიური ქარები. ზამთარი ზომიერად რბილი, ზაფხული ზომიერად გრილი, ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 1869 მმ. მზის ნათების ხანგრძლივობა 1975 სთ. წელიწადში, შეფარდებითი სინოტივე 73%. სამედიცინო ჩვენება: სუნთქვის ორგანოთა არატუბერკულოზური დაავადებები, სისხლნაკლებობა, ნევრასთენია, ლიმფადენიტი (თბ. 1977გ, გვ. 254).

ბახმაროს სააგარაკო ადგილს, როგორც თ. სახოკიას კვლევებიდან ჩანს დაახლოებით 1879 წლიდან მიაქციეს ყურადღება (თ. სახოკია; 127; 1985).

ცნობები „ბახმაროს“ სახელწოდების წარმოშობაზე საისტორიო ლიტერატურაში არ მოიპოვება. მასალა ფოლკლორზე დაყრდნობით ტყვეთა გატაცების პერიოდს უკავშირდება. გარეშე მტერი, ტყვეთა მტაცებლობითაც გვაკვირვებდა. პროცესმა ფართო ხასიათი XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში მიიღო. ოსმალო დამპყრობლებისაგან აღმოსავლეთ გურიის (ჩოხატაურის) მთიანი ნაწილი უფრო მეტად ზარალდებოდა. მტერი შემოდიოდა მდინარეების – სუფსისა და გუბაზეულის ხეობებით. იტაცებდნენ ახალგაზრდა ქალ-ვაჟებს და ჰყიდდნენ ოსმალეთში, უმეტესად სტამბოლის ბაზარზე. სხვადასხვა რაიონებიდან უამრავი შესყიდული და მოტაცებული ტყვე მიჰყავდათ ოსმალეთში. ქართველების გაყვანა სამშობლოდან ზღვით იყო მოსახერხებელი, ამიტომაც ტყვეთა ტაცების სიმძიმე მეტად იგრძნობოდა გურია-სამეგრელოსა და აფხაზეთში.

ქურდულად, თუ აშკარად შემოსულ მტრული ძალების წინააღმდეგ ბრძოლა ხორციელდებოდა ყველაზე მამაცი და გაბედული გლეხების ხელმძღვანელობით. გლეხობის წრიდან გამოსულ სახალხო გმირთაგან ზოგი მოხსენიებულია ისტორიულ წყაროებში, ზოგიც დღემდე ცოცხლობს



ხალხურ გადმოცემებში. ზეპირსიტყვიერებით შემონახული მასალა უკავშირდება კურორტის სახელწოდებას და ვფიქრობ, სიმართლეს არ უნდა იყოს მოკლებული.

ჩოხატაურში ერთ-ერთი ასეთი სახალხო გმირი გახლდათ ბულარა მამალაძე. მკვლევართა ნაშრომებსა და ზეპირგადმოცემებში მოთხრობილია რამდენიმე გმირული ეპიზოდი ბულარა მამალაძის ცხოვრებიდან. ბულარა მამალაძე ცხოვრობდა სოფელ ხევი არც თუ ისე შორს ბახმაროდან და სინამდვილეს არ იქნება მოკლებული ლეგენდის შინაარსი, რომელიც ბახმაროს სახელწოდებას უკავშირდება. ბულარას ჰყავდა ძმები, რომელთაც ბულარასთან ერთად თავგამეტებით იბრძოდნენ მტრების წინააღმდეგ. ტყვეთა გამტაცებლები გურიაში მალულად შედიოდნენ ან სავაჭროდ. სავაჭროდ შესულები უფრო მეტად საშიში იყვნენ, ისინი სწავლობდნენ ყველა ოჯახს, სოფლიდან და ხევიებიდან გასასვლელებს და ემზადებოდნენ საუკეთესო შემთხვევისათვის დაგეგმილი გატაცება ხშირად მტრის გამარჯვებით მთავრდებოდა.

**გავიხსენოთ ლეგენდა კურორტის სახელის წარმოშობაზე:** – თათრებს გაუტაციათ ლამაზი ქალი სახელად მარო, ქალის პატრონმა გამტაცებლებს მდევერები დაადევნა. გამტაცებლები მიხვდნენ მდევარი ფეხდაფეხ რომ მიყვებოდა, ქალის დაკარგვის საშიშროება იგრძნეს. მოკლეს მარო, საკინძე გაუხიეს და მკერდზე დაანერეს თავისივე სისხლით „ბახ-მარო“. ქარულად „ნახე-მარო“ („ბახ“-ნახე, ოსმალურიდან ასე ითარგმნება). მდევარმა იყვირა ნახე მოუკლავთ მარო. ხალხმაც უდანაშაულო ქალის საპატივცემულოდ ადგილს ბახმარო შეარქვა. ლეგენდა დღესაც არ დავიწყებიათ და პოპულარობით სარგებლობს საზოგადოებაში. ისტორიკოსები გატაცებულის სიკვდილით დასჯას იმით ხსნიან, რომ გამტაცებლებში ოჯახის ახლობლებიც იყვნენ ჩარეული და საიდუმლოს გამჟღავნების კვალს დატყვევებულის სიკვდილით მალავდნენ.

მეორე ვერსია ბახმაროს სახელწოდების წარმოშობაზე სვანურ დიალექტს უკავშირდება. „ბახ“ – გადასასვლელი, „მარ“ – კაცი. ესე იგი კაცის გადასასვლელი. ბახმაროს ტერიტორია, სწორედ, ზემო აჭარისა და აღმოსავლეთ გურიის სასაზღვრო ზოლში მდებარეობს. აქედან გადაჰყავდათ ოსმალეთისათვის განკუთვნილი ტყვეები და გადაჰქონდათ ნადავლი. სიტყვა „ბახ“-ი ძველი ქართველური (სვანურ) სი-

ტყვა უღელტეხილის (გადასასვლელის), აღმნიშვნელია (ი. სიხარულიძე; გვ.5; 1998).

ბახმაროს იალაღები განთქმული იყო გურიაში თავისი საზაფხულო ალპური საძოვრებითა და მდიდარი ტყეებით. მთელი ეს სიმდიდრე იყო გურიის ერისთავების გვარად შერვაშიძეების საკუთრება, რომლებიც ცხოვრობდნენ სოფელ გორაბერეულოში. აფხაზეთის თავადების გურიაში გაერისთავებასაც საინტერესო შინაარსის ლეგენდა უდევს საფუძვლად. გურიის თავადებს გურიელებს (გვარად ვარდანიძე) ტყვეთა გატაცების პერიოდში შვილი მოსტაცეს, გურიელი ყველგან დაეძებდა შვილს, ამბავი აფხაზეთამდე ჩავიდა. აფხაზეთის თავადმა ბავშვი ერთ-ერთ გემზე იპოვა. ტყვეების ზღვით გადაყვანა მარტივი ხერხი იყო, თავადმა ბავშვი თავის ძეს გამოატანა მამასთან. გახარებულმა მშობელმა სტუმარს თავისი ასულის ხელი შესთავაზა და პირობა დაუდო თუ გურიაში დარჩებოდა ზემო გურიის (ჩოხატაურის) ტერიტორიას მისცემდა სათავადოდ და ერისთავობასაც უბოძებდა.

ერისთავებისათვის იალაღები შემოსავლის დიდ წყაროს წარმოადგენდა და მოდავეც არავინ ჰყავდათ. ბახმაროს პოპულარობა თანდათან იზრდებოდა (უნდა აღინიშნოს რომ ამ პერიოდში აგარაკზე ფიქრი არ იყო, მხოლოდ საძოვარი) და ხალხშიც სწრაფად ვრცელდებოდა, ამდენად ხაზინა დაინტერესდა ბახმაროს შემოსავლით. ერთ ზამთარს ადგილობრივმა მეტყვემ ექვსი თვის განმავლობაში თავისი ხალხი ჩააყენა ბახმაროში. ერისთავები სერიოზულად არ მოჰკიდებოდათ საქმეს. დავა სასამართლომდე მივიდა და ერისთავებმა ტერიტორია დაკარგეს. ამ საკითხს თ. სახოკიაც გადმოგვცემს.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ბახმაროს მთის მწვერვალებზე არის ალპური საძოვრები, სადაც კოლხეთის დაბლობიდან მწყემსები ადიოდნენ ზაფხულის განმავლობაში და აჰყავდათ საქონელი, ისტორიულ წყაროებიდან ჩანს XIX საუკუნის დასაწყისიდანვე უკვე იყო მიმოსვლა საზაფხულო იალაღებზე. ბახმაროში გზა ადიოდა ოზურგეთის მხრიდან სოფელ ვაკიჯვრის გავლით და ჩოხატაურიდან. ორივე გზა მიუვალი იყო. ვამბობთ გზა, თორემ ეს იყო ვინრო დაკიდული ბილიკები. მწყემსები ცდილობდნენ მოენახათ მათთვის სასურველი ადგილი საქონლის გამოსაკვებად. მთებში ნაკვები საქონლიდან მიღებული პროდუქტი საკმაოდ ხარისხიანი და კალორიული იყო. მწყემსების მიერ აღმოჩენილი მაღალმთიანი მუდმივი საძოვრები ბახმაროს მიდამოებში იქცა მეტად საინტერესო შემთხვევის შემდეგ აგარაკად.

პირველი მოგზაური ბახმაროში 1896 წელს ავიდა ბატონი თედო სახოკია, რომელიც წერს – „გზა ტყე-ტყე მიდის, რცხილა, წიფელი, ნაბლი, ლეკუხა ერთმანეთშია არეული. ყველას კი წიფელი სჭარბობს. ტყე მდიდარია, მაგრამ ადამიანი ვერ სარგებლობს უგზობის გამო. მხოლოდ თავად მ. ნაკაშიძეს დაუნყია საკასრე მასალების ჭრა, რომელიც ჩალავარდებით ჩააქვს ძირს. **სხვა მასალას აქედან ვერ ჩაიტანს კაცი, რადგან აქაურ საცალღებო გზაზე მარტო ცხენი თუ გაივლის და ისიც გაჭირვებით, თორემ ურემი ვერასვ ზით ვერ მიუდგება აქაურობას. ამდენი სიმდიდრე მუქთადა ლპება და ოხრდება ტყეში. იგივე ითქმის იმ ძვირფას ნაძენარზე, რომლითაც დაფარულია აქაური მთების მაღალი ადგილები.**

ალაგ-ალაგ სულ ვინროვდება, სული ეხუთება გზას, ორ კედელს შუა მოქცეულს. თუ ცხენით შიგ შეხვედით, უკან დაბრუნება არ შეგიძლიათ. თუ წინ ცხენი შემოგხვდათ, გზას ვერ აუქცევთ ერთმანეთს. განსაკუთრებით გასაჭირია ამ ალაგას გავლა, როცა ჯოგს მიერეკებიან. მწყემსებმა და საქონლის პატრონებმა ეს იციან და სათოფეზედ

ყვირილს მიჰყვებიან. ამ ყვირლით წინიდან მიმავალ მგზავრს აფრთხილებენ“ (თ. სახოკია; გვ.123; 1985). თ. სახოკია, როგორც მისი ნაამბობიდან ჩანს ბახმაროში სოფელ ვაკიჯვრიდან ასულა).

უკვე აღვნიშნეთ ბახმაროს აღმომჩენი ხალხია კერძოდ მწყემსები სავარაუდოდ და ჩვენდა გასაკვირად მეგრელი მწყემსები, რაშიც თედო სახოკიასაც შეეპარა ეჭვი და ვარაუდს გამოთქვამს – „ბახმაროში საზაფხულოდ მეგრელი მწყემსები მიერეკებიან ჯოგს, განსაკუთრებით ძროხას. პირველად გამიკვირდა სად გურია და სად მეგრელი მწყემსები მეთქი! საქმე ის გახლავთ, რომ გურულს მწყემსობა სათაკილო ხელობად მიაჩნია, გურულმა რომ ძროხა მონველოს, ესეი იგი სადედაკაცო საქმე, რომ გააკეთოს ყველასგან ყბადასაღები გახდება. ჯოგის უკან დევნა, მეჯოგობა გურულის აზრით სააუგო ხელობაა. ამის გარდა მეჯოგის უზრდელობა ცნობილია. სიტყვა „მეჯოგე“ ლანძღვის სიტყვად არის ქცეული. საზოგადოდ გურიაში საქონელი იმდენი ჰყავთ, რომ ოჯახში საჭიროებისთვის ეყოთ. გასაყიდად საქონელს არ აშენებენ და არც იალაღებზე ადიან. ასე და ამგვარად მწყემსობა აქაურ მთებზედ მეგრელების მონოპოლიად გამდხარა“. (თ. სახოკია; გვ.131; 1985).

გ. ცეცხლაძე თავის ნაშრომებში აღნიშნავს, რომ მინათმოქმედებასთან შედარებით გურიაში მესაქონლეობა ნაკლებად იყო განვითარებული. მიუხედავად ამისა აქ მისდევდნენ, როგორც მსხვილფეხა, ასევე წვრილფეხა საქონლის მოშენებას. მსხვილფეხა საქონელს ორმაგი დანიშნულებისათვის იყენებენ, სარძევე და გამწვევ ძალად. გამწვევი ძალის გარეშე მინათმოქმედების განვითარება შეუძლებელი იყო.

ნაშრომის ავტორის დაკვირვებით, ჩოხატაურის რაიონის მაღალმთიან სოფლებში უფრო მეტად იყო მესაქონლეობა განვითარებული, გურიის სხვა სოფლებში, ხვედრითი წონა მინათმოქმედებასთან შედარებით აქაც საგრძნობლად დაბალი იყო. ამ გარემოებას სწორედ ბახმაროს იალაღებს უკავშირებს და აღნიშნავს – ბახმაროში სამეგრელოს, ზემო აჭარისა და გურიის მოსახლეობის ერთად ყოფნამ განაპირობა გურიაში მესაქონლეობის განვითარება (გ. ცეცხლაძე; გვ 48; 1991).

დღეს, ბახმაროს იალაღებს იყენებენ ზემო აჭარის – ღორჯომისა და ჭვანის ხეობისა და ზემო გურიის სოფლების ჩხაკოურასა და ქვაბლის მოსახლეობა. სოფელ ქვაბლის ნაწილი და მთლიანად სოფელ ჩხაკაურის ტერიტორია დასახლებულია ზემო აჭარიდან გადმოსული მიგრანტებით.

ოზურგეთის მაზრაში იყო ექიმი გვარად დავიდიანცი, რომელსაც სხვადასხვა სახის დაავადებულებს შორის, ტუ-





ბერკულოზით დაავადებულებიც მიმართავდნენ, ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის დროს ექიმმა ავადმყოფებს მალალ მთაზე წასვლა ურჩია, მათ არ ჰქონდათ საშუალება სადმე ცნობილ აგარაკზე წასულიყვნენ და გაჰყვნენ მწყემსებს და ზაფხული გაატარეს ბახმაროს რაიონში. სეზონის ბოლოს ერევნენ ექიმს. ექიმი გააოცა

საოცარმა ცვლილებამ, რაც ავადმყოფთა ფილტვებში ჰაერის გავლენით მომხდარიყო. კარგად გამოჰკითხა სად იყვნენ და როგორც მაზრის ექიმმა, მოსთხოვა მაზრის უფროსს ჩაფხები და გაემგზავრა აღნიშნული ადგილის მოსაძებნად. გაჭირვებით მიაგნო ბახმაროს, პირველად თქვა როგორც ექიმმა აქ უნდა განვითარდეს აგარაკიო. პირველი სახლი აქ მან ააშენა. ადგილმა შემდეგ ხალხის ყურადღება მიიპყრო და დიდი ნდობაც დაიმსახურა (გ. მუჟავეანძე; გვ 3; 1926).

გ. მუჟავეანძემ, როგორც ჩანს არ იცოდა ძმები ქარცივაძეების ისტორია, რომელსაც თ. სახოკიასა და სხვადასხვა ადგილობრივ მკვლევართა ჩანაწერებში ვკითხულობთ, რომ ბახმაროში ზაფხულობით მიმავალ მეგრულ მწყემსებს წაჰყვა სოფელ გურიანთას მცხოვრებ ძმათა ქარცივაძეთაგან ერთ-ერთი „საჰაეროდ“, გურიანთის ციებისაგან განსაკუთრებულად. მთის ჰაერმა და წყალმა თავისი ზეგავლენა იქონია „მოჰაერებზე“, ციებისაგან შვება-მოცემული ჩავიდა ბარად. მეორე წელს ქარცივაძეს ძმა წაუყვანია ახლობლებისთვისაც ურჩევია დასვენება. პიონერებად ქარცივაძეები ითვლებიან, ბახმაროში საკურორტოდ პირველი სახლი ნიკიფორე ქარცივაძემ ააგო. ასე რომ პირველი სახლის ამგები ბახმაროში გურული ძმები ქარცივაძეები ითვლებიან. ძმებს უკვე ნაცადი ჰქონდათ აგარაკი.

ეს რაც შეეხებათ სააგარაკო სახლებს მწყემსების კარვები და საქონლის სადგომი ბინები მრავლად იყო. თანდათან შეემატა მოჰაერეთა ქოხები. მოჰაერები მწყემსებს საზღვრების დაცვას სთხოვდნენ ესე იგი საქონლისათვის ჩიხების გაკეთებას. მწყემსებს შემოსავალი გაუჩნდათ, ყიდდნენ რძის პროდუქტებს. ნელ-ნელა იზრდებოდა სახლების რაოდენობა ბახმაროში. **პატარა ქოხები სააგარაკო ოდა სახლებმა შეცვალა. თ. სახოკიას გადმოცემით 1895 წელს 1 000 მეტი დამსვენებელი იყო აგარაკზე. გაჩნდა სავაჭრო დუქნები, მოენყო პატარა ბაზარი, პირველადი მოხმარებისათვის საგნები და რძის პროდუქტები საკმაოდ ძვირი იყო.**

მწყემსის კარვები და სააგარაკო სახლები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა შიგა ინტერიერის გარდა საცხოვრებელი პერობებით. კარვები მიწური იყო, ირგვლივ ჰქონდა ნარები (ხის სანოლები), ძირითადად აშენებული იყო ხის პატარა მორებისაგან, ენთო შუაცეცხლი. საქონელს სალამობით ბოგაზე არ აბამდნენ, ჩიხში ჰყავდათ,

დილით ერთი მწყემსი წაყვებოდა საქონელს, ერთიც ხბოებს მწყემსავდა, დედა ძროხა ხბოებს რომ არ შეერთებოდა. მწყემსებმა მოაგარაკეთა სახლებს, როცა შეხედეს, მათაც მიაშენეს თავიანთ კარვებს ძელებზე შედგმული საძინებელი ოთახები, დააგეს იატაკი და დაინყეს ცოლ-შვილის ამოყვანა საჰაეროდ.

სააგარაკო სახლები გათლილი ფიცრებისაგან მზადდებოდა, სახლში აუცილებლად აკეთებდნენ ბუხარს. იხურებოდა ყავარით, სახლების ასაშენებლად აჭარელი დურგლები კარგ ფულს შოულობდნენ.

დასასვენებლად ასულ გურულს დროის გასაყვანად გასართობი სხვა არაფერი ჰქონდა და სახალხო თამაშობებს მიმართავდა ეს იყო ბურთაობა, (ლელი). თ. სახოკიაც ადასტურებს მოსაზრებას – „მოაგარაკეთათვის აქ გასართობი ჯერ არაფერია, ანუ უკეთ თავისებური გურული გასართობია, სახელდობრ ყოველ სალამოს ბურთაობა იმართება, რომელშიაც ბანოვანნიც იღებენ მონაწილეობას. რა სიმარტივეა ჩვეულებათა!.. სიმღერა, ფერხული, ლეკური ისეა გამართული, როგორც გურიის რომელიმე სოფელში დღეობის დროს. ერთმა მასწავლებელმა კეგლი გააკეთა და ბუზივით ეხვეოდნენ ქალი თუ კაცი. დიდი პატივია ნარდისა და ქალაღდის თამაში“. (თ. სახოკია; გვ.129; 1985).

**ბახმაროს სახელი ნელა-ნელა მოედო არა მარტო გურიას არამედ დასავლეთ საქართველოს და უფრო შორსაც.**

ყოველწლიურად ბახმაროში თანდათან იზრდებოდა მოაგარაკეთა რიცხვი და შეიქმნა საჭიროება გახსნილიყო ბბლიოთეკა-სამკითხველო და 1898 წელს ეს საქმე დასრულდა. შეგროვდა 63 მანეთი დაემატა შემოწირულობები კერძო პირებიდან თუ სოფლებიდან.

1919 წლის ბახმაროს სურათს ასე გადმოგვცემს მოსე გოგიბერიძე – „ამ წელს ბახმაროში თავი მოეყარა თითქმის უმრავლესობას, ვინც კი იმ დროინდელ საქართველოში საუკეთესონი იყვნენ. ენერგიით და სიცოცხლით სავსე იყო ქვეყანა, ყველას რაღაც უხაროდა, ყველა უკეთესს მოელოდა, ყველას სწამდა ეს უკეთესი მომავალი, დიდი რუსთაველის მაღალი მეტაფორა რომ ვიხმაროთ მუსიკობდა მთელი ქვეყანა. და ეს მომხიბლავი მუსიკა ბახმაროს მაღალი მთებიდან უსასრულო აკორდებდად ქცეულ იდეად და აზრად მიდიოდა საქართველოს ყველა კუთხისაკენ. **ბახმაროში იყო არა მარტო სუფთა და მაცოცხლებელი ჰაერი, არამედ თავისუფლების ჰავაც „(მ. გოგიბერიძე; გვ. 337; 1978).**

ორ რაიონს – ოზურგეთსა და ჩოხატაურს გაუჩნდა პრეტენზია გარკვეულიყო, რომელი რაიონის ტერიტორია ეჭირა კურორტს და რომლის მიმართველობის ქვეშ უნდა შესულიყო. ვინრო და ციცაბო ბილიკები ორივე რაიონის სოფლების გავლით ადიოდა ბახმაროში, გადაუღებელი წვიმების დროს კი ასვლა ჭირდა. ცხენები ღრმა „ლოფოში“ ნელამდე ეფლობდნენ. ჩვილბავშვიან ქალებს უფრო უჭირდათ ასვლა, მაგრამ თავს არ ზოგავდნენ ოღონდ ბახმაროში საჰაეროდ აეყვანათ ბავშვები, გვარდებში ჩასვამდნენ ბავშვებს თითონ კი ფეხით მიყვებოდნენ ცხენებს უკან. გამცილებლები დიდ ფულს იღებდნენ მგზავრების გადაყვანაში. მათ ვინც გზა იცოდა და კარგი ცხენიც ჰყავდა სეზონისათვის ემზადებოდა ფულის საშოვნელად.

დავა ორ რაიონს შორის სეზონის ყოველ მოახლოებაზე უფრო მძაფრდებოდა. შეთანხმებას მიაღწიეს, საკითხს გადაწყვეტდა ერთი მეტად საინტერესო ფაქტი. ბახმარო იქნებოდა იმ რაიონის ვინც პირველად აიყვანდა საზოგადოებრივ ტრანსპორტს კერძოდ ეტლს კურორტის ცენტრში. ეტლები ერთი და იგივე დროს უნდა გასულიყო რაიონების ცენტრებიდან.

დაიწყო ბრძოლა, დიდი სურვილის მიუხედავად XIX საუკუნის 20-იან წლებში პრიმიტიული სამუშაო იარაღებით ძნელი იყო მიზნის მიღწევა. ჩოხატაურში გამოჩნდა კაცი სოფელ ხევის მცხოვრები ლადიკო გლახუნას ძე ულენტი, რომელმაც თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა. 1917 წელს დაიწყო გზის გაყვანა ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე. ლადიკო სოფლიდან წავიდა და დაადიოდა, ხალხს აგროვებდა, თხოვდა დახმარებას, მცირე გასამრჯელოსაც აძლევდა, სადილი ხშირად სახლიდან მიჰქონდა, მისი კუთხის სიყვარული სოფლისადმი ყურადღებაში იხატებოდა. ზრუნავდა სოფელ ხევის სკოლის დაარსებაზე, მალაზიის გახსნაზე და ბევრ სასიკეთო მიზნებით იყო ორიენტირებული.

1922 წელს ბახმარო რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტად გამოცხადდა და „ბრძოლის“ ჟინმა კულმინაციას მიაღწია. ლადიკო არ ჩერდებოდა შოულობდა ასაფეთქებელ ნივთიერებებს, რომელსაც ეკონომიურად და ყაირათიანად ხარჯავდა. 1929 წლის 10 აგვისტოს, ბახმაროში პირველი ეტლი ავიდა, რომელსაც ერმილე გიორგის ძე დოლიძე მართავდა. ოზურგეთელები ედავებოდნენ, ლადიკომ ეტლი დაშლილი აიტანა ბახმაროში და იქ ააწყო, მაგრამ დადასტურდა ყველაფერი, გაზეთი დიდ მადლობას უხდოდა ლადიკოს საშეილიშვილო საქმის წარმატებით დასრულებაში, მას მიანიჭეს თვითნასწავლი ინჟინრის წოდება, გადასცეს მედალი და ფულადი ჯილდო. უნდა აღინიშნოს, რომ ლადიკო ულენტის მიერ გაყვანილ გზაზე, რეკონსტრუქციის შემდეგ არავითარი ცვლილება არ მოხდა, გარდა გაფართოებისა.

ერმილე გიორგის ძე დოლიძეს თან ახლდნენ სოფელ ხევის მცხოვრებლები – ივლიანე ანთიძე, ანდრო ჩანტლაძე, უშანგი და იაკინთე მამალაძეები. ცხენებით მიჰყვებოდნენ სოფლის მომღერალთა გუნდი, რომლებმაც სიხარული გურულ სიმღერით გამოხატეს.

ლადიკო მუდამ ათვალთვლებდა ბახმაროში მიმავალ გზას, ცდილობდა ჩამოშლილი გზა სწრაფად გაენმინდა, რომ დამსვენებლებს შეფერხება არ ჰქონოდათ. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის დროს ლადიკომ გზაზე დიდი ლოდი შენიშნა, მგზავრებს ხელი რომ არ შემლოდათ, ლადიკომ მუშებთან ერთად სცადა ლოდის გადაგორება ლოდი გადაგორეს, თავად ლადიკო კი მუცლის არეში მწვავე ტკივილით სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც გარდაიცვალა.


კურორტ ბახმაროს ყოფა-ცხოვრების ამსახველი მასალები პოპულარობით სარგებლობს პერიოდული გამომცემლობის სტატიებში, ერთ-ერთი მათგანი გაზეთი „კვალი“. ამ ბოლო დროს ბახმაროს სააგარაკომ სახელი გაითქვა თავისი შესანიშნავი ჰავით, რის გამოც ზაფხულობი საკმაოდ დიდი საზოგადოება იყრის აქ თავს. უფრო კი გურიიდან და ახლო-მახლო მდებარე ქალაქებიდან. ბახმაროსთვის აუცილებელი შეიქმნა ნიგნთსაცავი. სამკითხველო, რომელიც ს. ყაჭვიშვილმა დააკმაყოფილა. მან, როგორც ასკანის ნიგნთსაცავის მმართველმა 1898 წ. აქ გახსნა ნიგნთ-საცავის განყოფილება. ამ უკანასკნელის სასარგებლოდ ბახმაროში ხელისმონერით შეგროვდა 62 მან 30 კაპ. მას დამატა სხვადასხვა შემონირულობები კერძო პირებიდან თუ სოფლებიდან და მშვენიერი ნიგნთსაცავი გააკეთეს ბახმაროში („კვალი“; 1900).

1899-1900 წწ. აგებულ იქნა სახალხო სახლი და თეატრი. პირველი წარმოდგენა ალ. ნუნუნავას ხელმძღვანელობით გაიმართა. 1905 წელს აღნიშნული თეატრის შენობა დაიწვა, 1913 წელს კვლავ ააგეს ახალი შენობა (ა. შალიკაძე; 23; 1940).

გაგრძელება ჟურნალის მომდევნო ნომერში

მომზადდა ნათია კალანდაძემ

თქვენი მოვალეობისთვის



„ერის არწივთა ასაფრენი ბუდე ანუ წმინდა წყაროს თვალ“

ამბობენ პედაგოგობა გმირობაა, და ამ „მძიმე ჯვარის“ ტარება მხოლოდ გამორჩეული ადამიანებს ძალუძთ, რადგან სულიერი ფორმირების მესაფუძვლენი არიან ისინი. ნიგნი არსებითი დახმარებას გაუწევს პროფესიულ მოვალეობის შესრულებაში ყველა პროფესიონალ ადამიანს და ცხოველ ინტერესს გამოიწვევს ფართო მკითხველ საზოგადოებაში.

ნიგნის შექმნა შეგიძლიათ შემდეგ მისამართზე:  
ც.დადიანის ქ. №43  
ტელ: 2 96-62-38; 599 17- 63- 07

შ.პ.ს „ჯუ-ნა“  
ტელ: 2 94-69-10; 570 501-454

თქვენი ჯანმრთელობისთვის



საუკუნეების მანძილზე სავაერულო მალამო

„ფლორა“  
Unquentum "FLORA"  
კ უ რ ნ ა ვ ს

მზავე და ქრონიკულ ბუასილს, ანალურ ქაილს და წვას (დაბეტის ფონზე), ჩირქოვან ქროლოებს, გამონაყარებს (ასაკობრივსაც), ტროფიკულ ნეკროზებს, დამსკდარ კერტებს, საშვილოსნოს ყელის ეროზიას, გამოყვლვას (გამონვას), დამსკდარ ქუსლებს, დამწვრობას (მზისგანაც), ნაწილს, მავალს, სასრების ტკივილს (ანთების), ნაღრობს, ძირმავარებს, ღრძილებს, სოკოვან დაავადებებს, უულუსუნზე დაჩირქებულ, ჩაბრუნებულ თმას, რადიკულიტს.

შეიქმნა შუასაბუჯალიან  
ფარმაცეპოს აფთიაქებში  
ტელ: 2 400- 004

შ.პ.ს „ჯუ-ნა“  
ტელ: 2 94-69-10; 570 501-454

თაფლი და ნიორი ვენების გაგანიერების სამკურნალო ვენების ვარიკოზული გაგანიერება ფართოდ გავრცელებული დაავადებაა, რომელსაც უმეტესად ქირურგიულად მკურნალობენ, თუმცა, ზოგ შემთხვევაში მკურნალობა ოპერაციის გარეშეც შეიძლება, თუ ვენების სიგანე კანის უღდაპირზე არ აღემატება 5 მმ-ს, ვენური კვანძების დიამეტრი კი 6-7 მმ-ს.



თაფლისა და ნიორისგან მომზადებული საშუალება აქტიურებს ვენის დრენაჟულ ფუნქციას, რაც უხდება როგორც თავად ვენებს, ისე მთელ ორგანიზმს.

- აიღეთ 250 გრამი გარჩეული, გახეხილი ნიორი და დაასხით 350 გრამი თაფლი, კარგად აურიეთ, დადგით 1 კვირით და მიიღეთ თითო სადილის კოვზი დღეში 3-ჯერ, ჭამამდე 40 წუთით ადრე. მკურნალობის კურსი 2 თვეა.

აძლიერებს და ვენურ ტონუსს ზრდის სვიის გირჩების ნახარშიც:

- 1 სადილის კოვზ დანაწევრებულ გირჩას უნდა დაასხათ 1 ჭიქა ადუღებული წყალი, 5 წუთით გაათბოთ წყლის აბაზანაში და მიიღოთ თითო ჭიქა დღეში 2-ჯერ, ჭამამდე. რაკი სვიას სუსტი ძილის მომგვრელი თვისება აქვს, სასურველია, მეორედ ძილის წინ დალიოთ. შეგიძლიათ, ამავე ნაყენში დასველებული დოლბანდი ვარიკოზულად გაფართოებულ ვენებზე დაიდოთ.

# ვინ შეარქვა ანზორ თალაკვაძეს ასკანელი?


გეოგრაფი, ზღვაოსანი, ფოტოხელოვანი, ოპერატორი, „კინოშნიკი“, ჟურნალისტი, ჩვენი ქალაქის კოლორიცი – ანზორ თალაკვაძე ბათუმელთა იმ კატეგორიას განეკუთვნება, ვინც ახალგაზრდობიდანვე გაიცნო, დააფასა, შეიყვარა მისი კეთილი გულის, გურული იუმორის, კიდევ სხვა არაჩვეულებრივი თვისებების გამო. ბატონ ანზორს სახალხო აკადემიის „შტაბ-ბინაში“, „სტეკლიანკაში“ შევხვდით, რათა კიდევ ერთხელ საჯაროდ მოვეფერებოდით ადამიანს, რომელიც სხვებთან ერთად დამსახურებულად ატარებს ჭეშმარიტი ბათუმელის სახელს.

მშობლები ბათუმში ცხოვრობდნენ, მაგრამ დედამინაზე მოვლენილმა „პირველი ჰაერი“ ოზურგეთის რაიონის სოფელ ასკანაში „ჩაისუნთქა“ (რადგან ქალი მამინ მოსამშობიარებლად მშობლების ოჯახს უნდა წაეყვანა). მას შემდეგ ბათუმში იზრდება – აქ დაამთავრა სკოლა, შემდეგ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტი, მაგრამ თავისი სპეციალობით არ უმუშავია. „გეოგრაფობა“ ზღვაში დაეხმარა, როცა პროფესია შეიცვალა და მესაჭე გახდა. სტუდენტმა ტანკერ „გორზე“ დაიწყო მეზღვაურობა. ყველა ახერხებდა წარმატებული ყოფილიყო. ამიტომაც ახალი ტანკერის „ანაკლის“ ფინეთიდან (ქარხნიდან) ჩამოსაყვანად კაპიტანმა ჯონი პატარიძემ მესაჭეობა მას მიანდო.

აქაც დიდხანს არ დარჩენილა, როცა აჭარაში საქართველოს ტელევიზიის საკორესპონდენტო გაეხსნათ მთავრობაში მომუშავე ხელმძღვანელებმა ალექსანდრე თხილაიშვილმა და ადერკინ კოპლატაძემ არჩევანი ანზორ თალაკვაძეზე შეაჩერეს, რადგან მას უკვე იცნობდნენ, როგორც კარგ „ფოტო-კინოშნიკს“. ფილმი „წვიმა“ (მისივე რეჟორტაჟებზე აგებული) 1962 წელს მოსკოვის კინომოყვარულთა ფილმების მეორე საკავშირო ფესტივალზე რეჟისორული და ოპერატორული ოსტატობისთვის პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა. ის ხშირად მონაწილეობდა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ეგიდით მონყობილ გამოფენებში. ნამუშევრები არაერთგზის აღნიშნა სხვადასხვა სპეციალური პრიზით. საკავშირო ჯილდოც მიიღო „შრომითი მამაკაცობისთვის“ ლ. ბრეჟნევის და მ. გიორგაძის ხელმოწერით.

ბატონი ანზორი ყოველდღიურად ამზადებდა სხვადასხვა სიუჟეტს (იღებდა, ტექსტსაც თავად წერდა) და ყოველ საღამოს თბილისში აგზავნიდა. მამინ, რასაკვირველია, ინტერნეტი არ იყო და ბათუმიდან გაგზავნილი მასალებისთვის თბილისში, რკინიგზის სადგურთან ერთ-ერთ ბოძზე სპეციალური ყუთი საკუთარი ხელით მიაჭედა, რომელიც ჩვენთან, საყოფაცხოვრებო ქარხანაში დაამზადებინა, მერე იმ ადგილს სურათი გადაუღო და ბათუმში ყველას სწორედ ამ სურათით უხსნიდა, თუ სად ჩაეგდოთ „მოამბესათვის“ განკუთვნილი წერილი. მოგვიანებით ამ ყუთში სხვა ქალაქებიდან გაგზავნილ წერილებსაც ათავსებდნენ. საქართველოს ტელევიზიაში მიღებულ ფოსტას ამუშავებდნენ- გაამჟღავნებდნენ, დაამონტაჟებდნენ... სიუჟეტი მეორე დღეს „მოამბეში“ გადიოდა, რომელსაც მთელი საქართველო ნახულობდა.

აჭარიდან მისი გაგზავნილი პირველი სატელევიზიო რეპორტაჟი საპირველმამისო დემონსტრაცია იყო. როგორც ამბობს, მიუხედავად იმისა, რომ საჰონორარო სისტიმით მუშაობდა, ანაზღაურებას არ „უჩიოდა“. ასე განვლო 33 წელმა. ფეხით მოიარა მთელი აჭარა, ამ ხნის მანძილზე



ანზორ თალაკვაძე

არაერთ ცნობილ, საინტერესო ადამიანს შეხვდა. ცეკას მდივნებიდან დაწყებული კოსმონავტიტ დამთავრებული. ერთხელ მოსკოვიდან მაღალი რანგის სტუმრები ჩამოვიდნენ ქობულეთში, შევარდნაძეს უთქვამს: აჭარაში ფეხი ვერ დავდგი, შენ რომ არ შემხვდეთ. უპასუხია, ასე ვიცით ასკანელებმაო. მას შემდეგ „ასკანელს“ ეძახდა.

პირველად მარტო იყო, მერე ასისიტენტი დაუნიშნეს (თბილისიდან) სულიკო კვირიკაძე, მერე სეირან ბაროიანი... ცისფერ ეკრანზე აჭარის სატელევიზიო პროგრამა პირველად 1985 წლის ნოემბერში გავიდა, რომელიც თბილისის პირველი არხის პროგრამაში ირთვებოდა და 45 წუთი ჰქონდა დათმობილი. ამ დროისთვის ბათუმში უკვე იყო სათანადო აპარატურით აღჭურვილი სტუდია, სადაც გადაღება და ჩანერა მიმდინარეობდა.

აჭარის ტელევიზიის ჩამოყალიბება რომ გადანყდა, ყველა ტექნიკურ სამუშაოს ბატონი ანზორი ხელმძღვანელობდა. ყველაფერი მისი დამონტაჟებული იყო. აპარატურაც თავად ჩამოიტანა ალმა-ათადან, მოსკოვიდან... მას დიდი წვლილი მიუძღვის აჭარის ტელევიზიის დაფუძნებაში. 13 წელი აჭარის რადიო დეპარტამენტის დირექტორად იმუშავა (ტექნიკური მხარე ჰქონდა ჩაბარებული). მანამდე საინფორმაციო გადაცემის რედაქტორიც იყო.

მოგვიანებით საკუთარი ტელევიზია „მაცნე“ გახსნა. „რადაც“ არ მოეწონათ... და მიატოვა ტელევიზია.

– ბატონო ანზორ, სად გაიცანით თქვენი მეუღლე?

– ტელევიზიაში მუშაობის დროს ბათუმის №16 სკოლაში ვიყავით გადაღებაზე, სადაც ჩემი მომავალი მეუღლე – ნანა დემეტრაძე მუსიკას ასწავლიდა. გავიცანი, მერე დაქალები „შემომიჩნდნენ“.

**- და „შუამავლობამ“ გაამართლა?**

- კი, ნამდვილად, ჩვენ ერთად მოვდივართ ამდენი წელი, ერთად ვზიდავთ შვილის გარდაცვალებით გამოწვეულ დიდ ტკივილს, სამწუხაროდ, გელა აღარ გვყავს. მამუკა კარგა ხანს გემის კაპიტნად მსახურობდა, ახლა ლოცმანთა სამსახურის უფროსია. მანამდე საზღვაო ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე იყო. კარგი სპეციალისტია. უცხოეთშიც შესთავაზეს მუშაობა, მაგრამ აქ დარჩა...

**- მომავალი მეუღლე კი გაგაცნეს, მაგრამ სიყვარულით ხომ მოიყვანეთ? განსაკუთრებით რას აფასებთ მასში?**

- სიყვარული არ ნელდება, უბრალოდ, რაღაც დონეზე „ჩერდება“. მერე „დაკანონებულს“ მიჰყვები. უნდა გითხრათ, რომ ძალიან ყურადღებიანია, მასში ბევრ რამეს ვაფასებ, ადამიანურ სითბოს, სიყვარულს, სიკოხტავეს, სისუფთავეს. მგონი ყურადღება მისი „მოგონილია“. ახლა აქ რომ ვზივარ, შეუძლია დამირეკოს და სადილობის დრო შემახსენოს. დღემდე ჩემს ჩაცმულობაზე ზრუნავს.

**- ასეთ მეუღლეს შეიძლება კაცმა უღალატოს?**

- ვერ გიპასუხებთ, საიდუმლოდ დარჩეს, „საკითხი ღიად დავტოვოთ“... (ღიმილით მეუბნება)... მთავარია, კაცი ისე არ მოიქცეს, რომ ოჯახი დაანგრეოს.

**- იუმორმა და „აკადემიამ“ ბევრი გადაგატანინათ.**

- „აკადემია ჭკუის სასწავლებელიცაა“. ყველაფერს აქ ვიგებთ ერთმანეთზე, თუმცა არის მომენტი, როცა აქ შემოსვლაც არ მინდა, მაგრამ მერე გულში ვფიქრობ, „სად ჯანდაბაში წვიდე“, კარგი წავალ ქალაქში, „იბოდიანლებ“ და მერე ისე იქ მიდიხარ, სადაც მეგობრები გელოდებიან... ძალიან დაგვწყვიტა გული ლევან ლლონტის გარდაცვალებამ, საერთოდ ყველას გარდაცვალებას განვიცდით. აი სურათს შევცქერი, ბევრი წავიდა ჩვენგან. რაც უნდა ვქნათ, ცხოვრება ასეა, წლები მიფრინავენ, მეგობრები მიდიან... თუმცა ძალიან გაგვიხარდა ჩვენი „ნკენტას“ დაბრუნება.

**- რას ნიშნავს თქვენთვის ბათუმი და ბათუმელობა?**

- ბათუმი ჩემთვის ერთი დიდი ოჯახია, სადაც ყველა ერთმანეთს ვიცნობთ, გამოდიხარ ქუჩაში და მრავალს ესალმები, ეფერები, „სად დეიკარგე ბიჭო“? - ისე მოიკი-

თხავ, თითქოს შენი ოჯახის ნევრია, თუ საჭიროა, გვერდშიც დაუდგები, ამას მოვალეობის მიზნით არ ვაკეთებთ...

**- თქვენთვის რა შეიცვალა ბათუმში?**

- იმიტომ არ გეუბნებით, რომ „აჭარაში“ მუშაობთ. ჩემთვის ძალიან მტკივნეულია, თქვენი გაზეთის შენობა რომ გაყიდეს, იქ არ არის ბანკის ადგილი. ეს შენობა ქალაქის კულტურის ცენტრი იყო. მას სულ სხვა დანიშნულება ჰქონდა. მართლა გული მტკივა ამ შენობაზე და... არა მხოლოდ მე. ამას ბევრი ბათუმელი ამბობს და განიცდის.

**- რას ვერ აპატიებთ ადამიანს?**

- პირფერობას და ღალატს ვერ ვიტან. თუ რამე სათქმელი გაქვს, პირდაპირ მითხარი... შუამავალი არ სჭირდება ამ საქმეს.

**- ვიცი, სოფელი ძალიან გიყვართ...**

- ბავშვობიდან ორი რამ მიყვარს - სოფელი და ბავშვები... ქუჩაში ყველა ბავშვს მინდა მოვეფერო. სოფელში რამდენიმე დღეა არ ვყოფილვარ და ერთი სული მაქვს, როდის ჩავალ.

**- მუშაობაც გიყვართ?**

- იმდენს ვმუშაობ, რომ იქაურ მეზობლებსაც უკვირთ. ყველაფერი მომყავს, რაც ერთ ოჯახს ეყოფა, თანაც ისტორიული სახლ-კარი მაქვს, ჩემს ადგილს ასკანაში „თალაკვაძეების გორას“ ეძახიან. ულამაზისია. ორი წლის წინათ მალალმთიანი აჭარიდან აბულაძეები ჩამოსახლდნენ. კარგი ხალხია, ისე მოეწონათ, ამბობენ, სად ვიყავით ამდენ ხანსო.

**- როგორი წარმოგიდგენიათ ნამდვილი ბათუმელი?**

- პირველ რიგში კარგად უნდა ჰქონდეს შეგნებული, რომ ბათუმელია. ბათუმელობა სხვაგვარი „წოდება“ (სხვას ნამდვილად არ ვაკნინებ), ის ბევრ ისეთ თვისებას აერთიანებს, რაც მას სხვებისგან გამოარჩევს.

სწორედ, ასეთი გამორჩეული თვისებების გამო აფასებენ და უყვართ ბატონი ანზორი. ამ ადამიანთან შეხვედრა ყველას გულით ახარებს.

*გაზეთი „აჭარა“  
მანანა ძიძიშვილი*



ბათუმის ბულვარი

# უპის რაზოსტანსი ჰანგერთალოზის ბარანსი

ფუტკრის პროდუქტებიდან თავლის, დინდგელისა და ცვილის სამკურნალი მიზნით გამოყენებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. უამრავი ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალითაა დადასტურებული, რომ ისინი ჩვენს წელთაღრიცხვამდე იყო ცნობილი.

შემდგომში, როცა დასაბამი მიეცა ფუტკრის ბიოლოგიურ და ეკოლოგიურ საკითხთა შესწავლას, მეცნიერებამ გამოავლინა, რომ ფუტკრის ორგანიზმის მიერ გამოშვებული პროდუქტებიდან, ცვილის გარდა, სადედე რძემ და ფუტკრის შხამმა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო, რათა ისინი უფრო ღრმად ყოფილიყო შესწავლილი რიგ დაავადებათა მიმართ მათი სამკურნალო თვისებების გამოსავლენად.

**საქართველოში ქართველი მედიკოსები აპითერეპიით დაინტერესდნენ, ამ მიმართულებით სამუშაოები დაწყებულია და ვუსურვებთ მათ, სამედიცინო პრაქტიკაში დანერგონ ფუტკრის სასწაულმოქმედი პროდუქტები ადამიანთა კვების რაციონში შეტანით ორგანიზმის რეზისტენტობის გაზრდისა და დაავადებათა პროფილაქტიკისა და სამკურნალო ეფექტის მისაღებად.**

ჩვენს ქვეყანაში სიახლედ ითვლება ფუტკრის ნატურალურ პროდუქტებზე შპს „ახალი ტექნიკა-ლაბორატორიის“ მიერ დამზადებული სტანდარტიზებული და აპრობირებული პროდუქტი – „აპის რეზისტენტი“, რომელმაც თავისი შემადგენლობითა და ეფექტით სამედიცინო სამსახურისა და მოსახლეობის (განსაკუთრებით – სპორტსმენების) დიდი ნაწილის ყურადღება მიიპყრო. ის დიდი მოთხოვნით სარგებლობს და წარმატებით არის დანერგილი როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ – აშშ-ი, უკრაინაში. შპს „ახალი ტექნიკა – ლაბორატორიის დირექტორი შალვა ნადირაშვილი მსოფლიო აპითერაპიის წევრია. „აპის რეზისტენტი“ – ბუნებრივი ვიტამინების კომპლექსი, დამზადებულია თანაბარმნიშვნელოვანი კომპონენტებისგან – აკაციის თავლი და დინდგელისგან (პროპოლისი).

„აპის რეზისტენტი“ თხევადი, გაუმჟვრვალე სიროფია. თავლი, რომლის შემცველობა 74%-ია, მონოფროლურია, ერთი სახის მცენარისგან, კერძოდ, აკაციისგან არის მიღებული, ის მაღალი ხარისხისაა და ძირითადად ფრუქტოზისგან შედგება. არ კრისტალდება და წლების განმავლობაში

ინარჩუნებს თხევად მდგომარეობას. ფრუქტოზის შემცველობის გამო ის ადვილი მოსანელებელია და სხვა დიეტური ფრუქტოზის შემცველ საკვებთან ერთად, როგორც საკვები დანამატი, შეიძლება გამოყენებულ იქნეს შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის.

დადგენილია, რომ თავლს ენერგეტიკული, ბაქტერიოციდული, ფიზიოლოგიურად აქტიური, ფაგოციტოზის ხელშემწყობი, სისხლის წნევის მარეგულირებელი, ნივთიერებათა ცვლის მომწესრიგებელი და დამამშვიდებელი თვისებები აქვს, ამიტომ მას მედიკამენტებთან შედარებით, განსაზღვრული უპირატესობა გააჩნია.

თავლის სამკურნალო თვისებებს მისი შემადგენლობა განაპირობებს: ნახშირწყლები ამარაგებს ადამიანის კუნთოვან სისტემას ენერგიით, ფოსფოროვანი ნაერთები აუმჯობესებს ნერვული სისტემის ფუნქციონირებას, კალციუმის მარილები ავითარებს ძვლებს რკინა და მაგნიუმი ხელს უწყობს საჭმლის მონელებას და ასე შემდეგ. თავლი გამოიყენება გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი, საჭმლის მონელებელი სისტემების ნორმალიზებისთვის, ოფთალმოლოგიური, ონკოლოგიური, დერმატოლოგიური და სხვა დაავადების სამკურნალოდ.

„აპის რეზისტენტი“ 4%-ს სადედე რძე შეადგენს. ის შეიცავს: ნახშირწყლებს, ამინომჟავებს, შაქარს, ცხიმებს, ვიტამინებს და ორგანიზმისთვის საჭირო სხვა ნივთიერებებს. ძველად ფუტკრის სადედე რძეს „სამეფო ჟელეს“ უწოდებენ, რადგან ის საზოგადოების რჩეულ წარმომადგენელთა საკვებად ითვლებოდა, 21-ე საუკუნეში კი მას „ჯადოსნური ნამალი“ დაარქვეს.

ფუტკრის სადედე რძე შემადგენლობით ძლიერ განსხვავდება სამუშე ბარტყის გამოსაზრდელად გამოშვებული რძისგან. როგორც სტიმულატორი, ის დედა ფუტკრის ბიოლოგიური განვითარების ხანმოკლე – 16 დღიან ციკლს უზრუნველყოფს. შედარებისთვის: მუშა ფუტკარი 21 დღეში იჩეკება. დედა ფუტკრის სხეულის მასა 250-300 მილიგრამია, სიგრძე-25 მილიმეტრი (მუშა ფუტკრის წონა 100 მილიგრამი, სიგრძე- 12-15 მილიმეტრი) სადედე რძით გაზრდილი დედა 5-6 წელიწადს ცოცხლობს. (მუშა ფუტკრის სიცოცხლის ხანგრძლივობა აქტიური სეზონის პერიოდში 30-45 დღეა).






სადედე ფუტკრის რძის სასწაულებრივმა თვისებებმა მეცნიერთა ყურადღება მიიპყრო და აქტიურად დაიწყო მისი გამოყენება არა მარტო ადამიანთა ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, არამედ გახანგრძლივებისთვისაც. უკვე დადგენილია ამ კომპონენტის ბაქტერიოციდული მოქმედება 15-ზე მეტი სახის ბაქტერიებზე, გრიპის ვირუსზე, ობის ზოგიერთ სოკოზე. აუმჯობესებს გულ-სისხლძარღვთა და იმუნოსისტემებს, არეგულირებს ლიპიდების ცვლას. მომაკვდინებლად მოქმედებს კიბოს უჯრედებზე, აძლიერებს ლაქტაციას, ამცირებს სისხლში ქოლესტერინის ოდენობას, აჩქარებს ბავშვის ზრდის პროცესს, ხელს უწყობს ჰემოგლობინის ოდენობისა და ორგანიზმის გამძლეობის მატებას.

„აპის რეზისტენის“ მესამე, მაგრამ თანაბარი მნიშვნელობის კომპონენტია დინდგელი (პროპოლისი), რომლის შემცველობაც ამ პროდუქტში 2%-ია. ის უცხო უჯრედებს ანადგურებს, ისე რომ მასპინძლის ფიზიოლოგიურ მიკროფლორას არაფერს ვნებს. ამიტომ მისი გამოყენებისას დისბაქტერიოზი არ ვითარდება. ეს განასხვავებს დინდგელს ანტიბიოტიკისგან. თან მიკროორგანიზმებს მისდამი მდგრადობა არ ახასიათებს. დინდგელის სამკურნალო თვისებები უძველესი დროიდან არის ცნობილი. მას გამოყენების ფართო სპექტრი აქვს – ახასიათებს ბაქტერიოციდული, ბაქტერიოსტატიკური, ფუნგიციდური, ანესთეზიური, ანთების საწინააღმდეგო ეფექტი: ახორციელებს ქრონიკულს, გამოიყენება დერმატოლოგიაში, გინეკოლოგიაში, ზედა სასუნთქი გზების ანთების, ბრონქული ასთმის სამკურნალოდ, სიმსივნის კერების ლოკალიზაციისთვის, აქვეითებს ქოლესტერინის დონეს, ზრდის ჰემოგლობინის რაოდენობას, ანესრიგებს ნაღვლის სეკრეციას, აჩქარებს ოპერაციის შემდგომი ნაწიბურების შეხორცებას, ხელს უწყობს თვალის ბროლის გამჭვირვალობას და მრავალი სხვა დაავადების მიმართ ორგანიზმის მდგრადობას.

**გვახსოვდეს „აპის რეზისტენტი“ წამალი არ არის, იგი**



**კვებითი დანამატია, რომელიც ორგანიზმის რეზისტენტობის ამაღლებასთან ერთად უზრუნველყოფს ამა თუ იმ დაავადების სამკურნალოდ გამოყენებული პრეპარატების მაღალ სამკურნალო ეფექტურობას, მისი მიღება უნდა მოხდეს თანდაართული დარიგების (ინსტრუქციის) შესაბამისად.**

„აპის რეზისტენტში“ კომპონენტების რაოდენობა ისეა შერჩეული, რომ მას მაქსიმალურად ითვისებს ორგანიზმი და რომელიმე კომპონენტის ნაკლებობით, ან მეტობით მიღების შესაძლებლობა გამოორიცხულია.

„აპის რეზისტენტის“ მიღება შეუძლია ყველას, განურჩევლად სქესისა და ასაკისა (ბავშვებში – 5 წლიდან).

**თუ გსურთ იყოთ ჯანმრთელი, სიცოცხლით სავსე და მუდამ ხალისიანი, მიიღეთ „აპის რეზისტენტი“.**

**იყოლება „ავერსის“ საფთვიაქო ქსელში დანვრილებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ქალაქი თბილისი, მცხეთის ქუჩა № 47  
ტელ: 599 77 26 10, 551 79 99 79**

## კურიოზები

ბიჭიკო ასკურავასთან მსახიობი სოფიკო ჭიაურელი მოვიდა, მუხლი ჰქონდა ნაღრძობი.

მომიყვა, ცეკვის დროს როგორ დაიზიანა. ვუთხარი – ჩემი საფენებით შეგიხვევ და დაინახავ უკეთესად იქნები.

მკითხა – ნელნინდა უნდა გავიხადო?

– თუ გინდა ზემოდან შეგიხვევ, მაგრამ წამალს არ ექნება შედეგი.

– უნდა გავიხადო?

– როცა მარჯვენა ფეხზე გაიხადა, ჩემსკენ ორი ნაბიჯი გადმოდგა. ორჯერ გაიმეორა, ეს რა მიყავიო.

– ვკითხე, სოფიკო მე რა გიყავი?

– მამაკაცთან ცხოვრებაში ასე ცალფეხზე გახდილი არ მივსულვარო, ან გახდილი ვხვდები, ან მხდინაო.

\* \* \*

ვერიკო ანჯაფარიძე რუსეთის საპატიო მოქალაქე იყო. ვიდრე ლეონიდ ბრეჟნევი თბილისში ჩამოვიდოდა, ვერიკოს პროფილაქტიკის მიზნით სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარეს. რენდგენის მაგიდაზე უნდა დანოლილიყო, სკამზე ფეხი დაუცდა და სამი ნეკნი ჩაიტეხა. სოფიკოს და ვერიკოს მძლოლი ჩემთან მოვიდნენ, ფიქრის გორაზე წამიყვანეს, როცა გავსწავე, ვერიკოს შეხვევა დავუწყე. ამ დროს სოფიკომ ელექტროქურდიან ცხელი ხაჭაპური გამოიღო.

მითხრა – ბიჭიკო მიირთვი, იმას მაინც იტყვი, ცხოვრებაში სოფიკოს გამომცხვარი ხაჭაპური დავაგემოვნეო. ჯიბეში ხელი ჩავიყავი და ვუპასუხე – იქნებ თქვენ დაიტრახათო, რომ ბიჭიკოს ჩემი გამომცხვარი ხაჭაპური აქვს დაგემოვნებულიო.

პაციენტები მელოდებოდა, თორემ სოფიკოს გამომცხვარ ხაჭაპურზე უარს როგორ ვიტყვოდი.

\* \* \*

ჩემთან ორი კორესპონდენტი მოვიდა.

– მკითხეს, რა არის თქვენი ჰობი?

– ვუპასუხე, ნადირობა.

– რომელ ფრინველზე, ან ცხოველზე ნადირობა გიყვართ?

– მივუგე – ქალებზე.

– ჩუმად ჩაილაპარაკეს, ბიჭიკო რა კარგი კაცი ყოფილაო.

\* \* \*

ტელეფონზე დამირეკეს, მკითხეს 102 წლის ქალბატონს ხომ მოარჩენო?

– ჯერ არც მას ვიცნობ, არ ვიცი მისი რენდგენი. როგორ უნდა გაგცეთ პასუხი? ამიტომ უნდა გავიცნო, მერე სურათი ვნახო და შემდეგ ვუმკურნალებო.

# დათო ხსკურავამ საქართველოს ხსელი ჩაკორდი დაუმყარა



*„ჩვენი წინაპრები აფხაზეთიდან წამოვიდნენ, როცა მებრძოლები გურიაში ჩავიდნენ, თავადმა მაჭუტაძემ ისინი ასე შეაფასა – „ამ ხალხს ასი კუროს ძალა აქვსო“. ერთი ძმა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიანში, მეორე სოფელ შუხუთში დაასახლა. ჩემი ბიძა, პეტრე კოჭლი იყო, თავისი ავადმყოფობის გამო მუდმივად მოტეხილობის მიზეზს იკვლევდა. შემდეგ ძმებმა-პეტრე და დავით ასკურავებმა მალამოს რეცეპტი დაამუშავეს“.*

ასკურავათა გვარი საზოგადოებაში მოტეხილობებთან ასოცირდება. მათი ოჯახი უკვე ორ საუკუნეზე მეტია სასწაულებრივი მალამოს საიდუმლოს ფლობს. ტრადიციულად, მალამოს რეცეპტი აუცილებლად იმ ვაჟს გადაეცემოდა, რომელიც ამ საქმისადმი მიდრეკილებით გამოირჩეოდა. ხუთი დედმამიშვილიდან ასკურავების მალამოს პროფესიულად მხოლოდ ბიჭიკო ასკურავა დაეუფლა.

**– რა არის ასკურავას მალამოს საიდუმლო?**

– ასკურავას მალამოს საფენების შემადგენლობიდან მხოლოდ ერთი კომპონენტი – კვერცხის ცილაა ცნობილი, დანარჩენი საიდუმლოა. საფენები უმტკივნეულოა, აჩქარებს ძვლის შეზრდის პროცესს, კლასიკურ მედიცინას მთელ მსოფლიოში არ გააჩნია მოტეხილობის მკურნალობის უფრო ეფექტური საშუალება. მუშაობის მეთოდი ასეთია – ტრავმირებულ ადგილს თავდაპირველად დასველებულ საფენს შემოვახვევ, შემდეგ ალუმინის საფენებს და ალუმინის ფირფიტას ვადებ, რომელიც ძვლების სისწორეს უზრუნველყოფს და ახდენს ფიქსაციას.

**– ძველი სპორტსმენ ბრძანდებით.**

– ველოსიპედისტი ვიყავი, საბჭოთა კავშირისა და სპარტაკიადის პრიზიორი. არაერთხელ შრომითი რეზერვების ჩემპიონი, საქართველოს ნაკრების წევრი. აქ-

ტიურ სპორტს 27 წლის ასაკში დავანებე თავი, მიზეზი დაოჯახება იყო.

წინაპართა ტრადიციას აგრძელებს და ბაბუის საქმიანობაში უკვე საფუძვლიანად ერკვევა უფროსი შვილიშვილი-დათო ასკურავა. მის კვალს სპორტშიც მიჰყვება. 23 წლის პაუზის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატის ლიცენზიის მოპოვება მხოლოდ მან შეძლო. დათომ საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა. მან თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის „მეტეხი“ სამკურნალო ფაკულტეტი დაამთავრა. ტრავმატოლოგიის დარგი აირჩია.

**– დათო გსურს საზღვარგარეთ გააგრძელო სპორტული კარიერა?**

– ოჯახი მყავს, მეუღლე ირინე ეცადაშვილი და პატარა ირაკლი ასკურავა, მამას სახელი ჰქვია. რთულია, ისინი მივატოვო, ასევე ბაბუას ჩემსავით ვერავინ დაეხმარება.

**– მის საქმიანობას შენ გააგრძელებ?**

– რა თქმა უნდა, სპორტი ასაკობრივია, შემდეგ მეც მკურნალი გავხდები და ასკურავების ტრადიციას გავაგრძელებ.

მისამართი: ქალაქი თბილისი, ივერიის ქუჩა № 5  
ტელ: 298 86 84, 299 96 94, 577 41 19 11

ელ. ფოსტა: [daskurava@hotmail.com](mailto:daskurava@hotmail.com); [Maskurava@yahoo.com](mailto:Maskurava@yahoo.com)

თამარ ბარამიძე



დათო ასკურავა და ირინე ეცადაშვილი ირაკლისთან ერთად

# ლანჩხუთის განსაკუთრებული სპორტი, სტადიონის დაგეგმვის უაღრესი კაპიტალი ჯაბით, გოგონის იტალიური სიხარული

ლანჩხუთის „გურიას“ სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები 2012 წლის სექტემბერში დაიწყო.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან მონოდეზიანი ოფიციალური ინფორმაციით ირკვევა, რომ თავდაპირველად შედგა პროექტი, რომლის ღირებულება 7 მილიონამდე ლარს შეადგენდა. ამ თანხიდან ლანჩხუთის ბიუჯეტს 800 ათასი ლარი ჩაერიცხა.

სარეაბილიტაციო სამუშაოებს სამშენებლო კომპანია „ოქტან მედეა“ აწარმოებდა, რომელთანაც ხელშეკრულება ადგილობრივმა ხელისუფლებამ 2012 წლის ივლისსა და აგვისტოში გააფორმა. ჩამორიცხული 800 ათასი ლარი კი სრულად ათვისებულია.

ოქტომბრის შემდეგ თანხა აღარ ჩაირიცხა და სარეაბილიტაციო სამუშაოებიც შეჩერდა. რაც შეეხება შესრულებულ სამუშაოებს, ჩატარდა სხვადასხვა ტიპის კვლევა, მოსამზადებელი სამუშაოები, შეკეთდა სათადარიგო სტადიონის სველი წერტილები და გასახდლები. ძირითად სტადიონზე მონივრა დასავლეთისა და ჩრდილოეთის ტრიბუნები. აღმოსავლეთ ტრიბუნას ჩაუტარდა კოსმეტიკური რემონტი, გაკეთებულია სამაგრებიც, რომლებზედაც მომავალში ინდივიდუალური სავარძლები უნდა დამაგრდეს.

**ირკვევა ისიც, რომ საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისთვის გადახდილია 60 ათასი ლარი; გეოლოგიური გამოკვლევისთვის – 5 200 ლარი; საინჟინრო-ტექნიკური კვლევა 3 500 ლარი დაჯდა; ტოპო-გეოდეზიური აზომებით ნახაზის მომზადებაში გადახდილია 16 000 ლარი; სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები – 54 999 ლ; სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები – 240 685 ლ; სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები – 419 289 ლარი.**

მოკვლეული მასალებით ირკვევა, რომ სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოებში, რომელიც სამ ეტაპად გახორციელდა, საუბარია სტადიონის სადემონტაჟო სამუშაოების, სარწყავი სისტემის, სატუმბო სადგურისა და მილსადენი სატუმბო სა-

დგურიდან სარწყავ სისტემამდე შესრულებულ სამუშაოებზე, ჯამში 799 673 ლარი დაიხარჯა. თუმცა, დარჩენილია მთელი რიგი სამუშაოები, კერძოდ, მოსაწყობია: აღმოსავლეთ ტრიბუნის ქვემოთ დამხმარე შენობა-ნაგებობები; დასავლეთ ტრიბუნა ვიპ-ლოჯით, პრესსამსახურის და სხვა სათავსოებით, ელექტროფარი, ასევე; დასავლეთ ტრიბუნის ქვემოთ მდებარე გასახდლები, სხვა დამხმარე სათავსოები და დირექციის ოთახი; სანიტარული და ფეკალური კანალიზაცია; წყალმომარაგება; ელექტრომომარაგება, მოედნის განათება, ტრიბუნის ქვემოთა კომუნიკაციების გათბობა – კონდიციონერება, სტადიონის შემოღობ-



ვა, სტადიონის გარშემო ტერიტორიის შემოღობვა, სტადიონის გარშემო ტერიტორიის კეთილმოწყობა.

**ხელშეკრულებაში, რომელიც „ოქტან მედეას“ და ლანჩხუთის გამგეობას შორის 2012 წლის 7 აგვისტოს 240 684.90 ლარზე გაფორმდა, წერია: „მომზადებული იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდვის ობიექტი იქნება სტანდარტებთან შესაბამისობაში... სათადარიგო სტადიონის გასახდლების შეკეთება და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის საგარანტიო ვადაა 5 წელი. შესყიდვის ობიექტს არ უნდა გააჩნდეს უფლებრივი ან/და ნივთობრივი ნაკლი, რომელიც აუარესებს მისი გამოყენების მაჩვენებელს.“**

ამ ხელშეკრულებას ხელს იმ დროისათვის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ნუგზარ ღლონტი და „ოქტან მედეას“ დირექტორი სოსო მამულაიშვილი აწერენ.

**მეორე ხელშეკრულება ამ ორ მხარე**

**რეს შორის უკვე 2012 წლის 17 სექტემბერს გაფორმდა 419 289 ლარზე და მასში საუბარია ისევ სათადარიგო სტადიონის გასახდლების შეკეთებასა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობაზე(!). მეორე ხელშეკრულებას უკვე გამგებლის მოვალეობის სხვა შემსრულებელი, ყოფილი გამგებლის კიდევ ერთი ყოფილი მოადგილე, კახა ასკურავა და ისევ სოსო მამულაიშვილი აწერენ ხელს.**

**ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება-ჩაბარების აქტი გამგეობის მიერ ორჯერ შედგა – გასული წლის 7 და 24 სექტემბერს. ორივე შემთხვევაში აქტში აღნიშნულია, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ექს- თავმჯდომარის, რევაზ ჩიტაიძის 2011 წლის 2 მარტის №29 ბრძანებით, დაინიშნა ინსპექტირების ჯგუფი. „გურიას“ ძირითად სტადიონს ექსპერტიზა ი/მ ექსპერტ – კონსტრუქტორმა თ. ლაზარიაშვილმა ჩაუტარა. დასკვნაში აღნიშნულია, რომ „ნაგებობა იმყოფება არასაკმარისი მდგრადობის პირობებში და საჭიროებს გაძლიერებითი ღონისძიებების ჩატარებას.“**

**გაჩნდა კითხვა – აღნიშნული დასკვნის საფუძველზე, აუცილებელი იყო თუ არა სტადიონის დემონტაჟი?**

შეგახსენებთ, რომ სტადიონის მშენებლობა ისევ დაიწყო და დასრულდა კიდევ. სტადიონის სამშენებლო სამუშაოებს საქველმოქმედო კომპანია „ატუ“ აწარმოებდა. როგორც მთავარმა საქმის მწარმოებელმა სოსო ბოლქვაძემ გვითხრა, საერთო თანხა სავარაუდოდ 450 ათასი ლარი იყო გამოყოფილი, თუმცა საბოლოო ანგარიში ჯერ ცნობილი არ არის, რადგან ძირითად სარეკონსტრუქციო სამუშაოებს დაემატა ინვენტარის და სხვა გაუთვალისწინებელი სამუშაოების ხარჯები. სამუშაოები გასული წლის მარტში დაიწყო და ამჟამად დასრულებულია. რაც შეეხება შესრულებულ სამუშაოებს, დამონტაჟდა სკამები, შეიღობა მოედანი, სრულად აღსდგა და დამონტაჟდა საქვაბე და წყალგაყვანილობის სისტემა, მოხდა ადმინისტრაციული შენობის გამაგრება

და აღდგენა, მოენყო ახალი ტიპის გასახდლები, მსაჯთა ოთახი თავისი შხაპით, მოსასვენებელი და ექიმთა ოთახი, საპრესკონფერენციო დარბაზი, საჩუქრად გადმოცემული იქნა ლოჯისა და ფეხბურთელთა გამოსასვლელი გვირაბის სახურავი, – გვითხრა სოსო ბოლქვაძემ.

ყოფილი გამგებლის ყოფილი მოადგილე კახა ასკურავა აცხადებს, რომ პროექტი გაიყო სამ ნაწილად – პირველ ნაწილში შედიოდა სტადიონის დემონტაჟი. იმ პროექტშივე გათვალისწინებულია, რომ ტრიბუნის დასავლეთ ნაწილი დარჩენილიყო და უნდა აგებულიყო აღმოსავლეთ ტრიბუნა. დემონტაჟის პროექტი ორ ნაწილად გაიყო. მისი აზრით სტადიონის დემონტაჟი აუცილებელი იყო, მაგრამ აქ მთავარი პრობლემაა, რომ გამქრალია დიდი რაოდენობით ჯართი.



– იმ პროექტის მიხედვით, რომელიც დამტკიცებული იყო, დემონტაჟი აუცილებელი იყო, რადგან რეაბილიტაციას არ ექვემდებარებოდა, ამის დასკვნაც არსებობს. ეს პროექტი მაქვს ნანახი, მაგრამ მის ნაწილში არ ჩავრეულვარ, როცა ვასრულებდი გამგებლის მოვალეობას, ეს პროექტი გამზადებული დამხვდა. რა ეტაპმაც ჩემს ხელში გაიარა, ის ეტაპი შესრულებულია. მაქვს ერთადერთი პრობლემა და გამიჩნდა კითხვა – როცა მოხდა არსებულის დემონტაჟი, აღმოჩნდა რკინა-ბეტონში არმატურა. ხელშეკრულებაში წერია, რომ სამშენებლო ნაგავი დემონტაჟის ადგილიდან 5 კილომეტრში უნდა გადაყრილიყო. ამის შემდეგ შევხვდი შპს-ს ხელმძღვანელს და პასუხი მოვთხოვე – თქვენ რატომ გაიტანეთ ჯართი, არ გკონდათ უფლება გამოგეყენებინათ, შპს-ს

ხელმძღვანელი აქეთ შემომედავა, სამშენებლო ნაგავი ჩემი გადასაყრელი იყო. როცა გურიის ფედერაციის პრეზიდენტმა, კახა ებრალიძემ წერილი მომწერა, ვუთხარი, რომ ჩემს კომპეტენციას ეს სცილდება და მიმართე შესაბამის სამსახურებს. ჩემი წერილის საფუძველზე ებრალიძემ შეიტანა საჩივარი პროკურატურაში.

**დარჩენილია შემდგომი ეტაპი, რასაც სტადიონის აშენება ჰქვია. თუ პოლიტიკურ ჭრილში ამის გადაყვანა სურთ, ნებისმიერ საკითხზე შეიძლება გამოგვედავონ, მაგრამ აქ მთავარი პრობლემაა, რომ გატანილია დიდი რაოდენობით ჯართი. აქ ამ დემონტაჟს კი არ უნდა მისდევდნენ, არამედ იმას, რომ დიდი რაოდენობით რკინა გატანილი. ეს საქმეც ჩემი წერილის საფუძველზე დაიძრა – ამბობს ასკურავა.**

აღნიშნულ საქმეს მართლაც იძიებს პროკურატურა და დაკითხვაზე ყოფილი გამგებელი გიორგი გოგუაძეც იყო დაბარებული. თუმცა ბოლო პერიოდში ისევ კახა ასკურავა, რომელიც ამჯერად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელია, ხშირად ამბობს, რომ განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში პროკურატურის მხრიდან იწყება დაკითხვების სერია და ექსგამგებელ გია გოგუაძის მიმართ. თუმცა რა ეტაპზეა გამოძიება, გამოიკვეთა თუ არა ახალი დეტალები საქმის ირგვლივ, ცნობილი არ არის, რამდენჯერმე ვცადეთ, დაკავშირებოდი რაიონის პროკურორს, მამუკა ნადირაძეს, თუმცა მან ჩვენს ზარებს არ უპასუხა.

თამარ მღვინიშვილი

# ტრიო „შალვა ჩემო“ ლიტვავი გაემგზავრა

გურული ფოლკლორული ტრიო „შალვა ჩემო“ 30 ივნისს ლიტვაში გაემგზავრა. ტრიო მონაწილეობას მიიღებს ფესტივალ „ბალტიკა 2014“-ში. კულტურის ცენტრის დირექტორი, კობა ბანძელაძე ამ ვიზიტის შესახებ გვესაუბრა.

– ლიტვაში იმართება ფესტივალი „ბალტიკა 2014“, სადაც მინვეულია ტრიო „შალვა ჩემო“. ეს ფესტივალი იმართება ვილნიუსში. უნდა წარმოვადგინოთ ფოლკლორი და ქართული ტრადიციული კერძები. გარდა ამისა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი დამეგობრებულია ლიტვის ქალაქ კროკოპიკიშთან და იგეგმება მეორე კონცერტი – იქნება შეხვედრები ოფიციალურ სტუმრებთან და შესაძლებელია შედგეს შეხვედრა ლიტვის პრეზიდენტთან. ტრიოსთან ერთად ლიტვაში მეც მივემგზავრები“.

„გურია REGION“-ის რედაქცია წარმატებებს უსურვებს მათ და მომდევნო ნომერში მათ შთაბეჭდილებებზე მოგიხსნათ.

თათია სამსონიძე



# ანსამბლი „დაბლაციხე“

გურამ კოროშინაძემ, რომელიც ხალხური სიმღერის ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელი და მოტრფიალეა 2001 წელს თავის მშობლიურ სოფელ დაბლაციხეში შეკრიბა ხალხური სიმღერის მოყვარული მომღერლები და ჩამოაყალიბა ანსამბლი „დაბლაციხე“.

ეს ანსამბლი დაარსებიდანვე სისტემატურად მონაწილეობს, როგორც ადგილობრივ, ასევე რეგიონალურ ღონისძიებებსა თუ ფესტივალებში და მსმენელის დიდ მოწონებას იმსახურებს. მათ წარმატება მოიპოვეს 2005 წელს ოზურგეთში ხალხური სიმღერის რეგიონალურ დათვალიერებაზე, რომელსაც საქართველოს კულტურის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. კულტურის სამინისტროს დახმარებით ანსამბლის წევრებს შეუკერეს ნაციონალური ფორმები. ანსამბლის წევრები არიან: როლანდ ჯინჭარაძე, ვაჟა ჯიქია, ავთო ოსეფაიშვილი, გრიშა ჯინჭარაძე, კახა კოროშინაძე, ლაშა ცინცაძე, მედეა ჯინჭარაძე, ნელი კალანდაძე, ლალი მიქელაძე, მანანა თედორაძე, ციცო ბერიძე და ზინა ბუკია. ანსამბლის რეპერტუარში მრავალი გურიული და საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერებია. ფოლკლორული ანსამბლის ხელმძღვანელი და მისი წევრები ნაყოფიერად მოღვაწეობენ, მათ მიერ მოპოვებულია ისეთი სიმღერები, რომლებიც ჯერ არ აუღერებულა.

როგორც ანსამბლის ხელმძღვანელმა გურამ კოროშინაძემ გვითხრა, მათ ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი გეგმა აქვთ. „დაბლაციხე“ ემზადება ექსპედიციების მოწყობისთვის როგორც გურიის რეგიონში, ასევე აღმოსავლეთ საქართველოშიც, რაც ხელს შეუწყობს ანსამბლის რეპერტუარის მრავალფეროვნებას. ანსამბლ „დაბლაციხეს“ შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ.

*ქეთევან კუკულავა*



# ლვანდომოსიდი



გატსხიანი სიხარულიძე

სიხარული მირჩენია სიყვარულსო. ასე იწყებდა თითქმის ყველა შეხვედრას შეუდარებელი, კოლორიტული პიროვნება სპორტის (და განსაკუთრებით ფეხბურთის), მუსიკის (იგი თითქმის 50 წლის წინ ოპერის თეატრსა თუ კონსერვატორიის დიდ დარბაზში გავიცანო) და ლიტერატურის „გიჟი“ მოყვარული, ცნობილი ისტორიკოსი გოგი დემეტრადე. მართლაც, სიხარულის მსახურია სიყვარული, ბავშვის გაჩენა, სამშობლოს მთა-ბარის მონახულება, მაღალი დონის ლხინი და ამ ლხინის დროს მოსმენილი საოცარი ქართული წამოკრული სიმღერები და ლილინები. ამის გამო მიყვარს თქვენი გვარიო, რადგან მე სიხარულის კაცი ვარ და „დინამოს“ გამარჯვებით მოტანილ სიხარულს, ერთადერთი, სუფრასთან შესრულებული კარგი სიმღერა თუ შეედრებაო და ორივე ერთად ხომ დიდი სიხარულიაო. სიხარულით იწყებოდა და სიხარულით მთავრდებოდა ყველა ჩვენი შეხვედრა. ასე გამოდგა თურმე ბოლო შეხვედრაც. მესამე „ხმა“ გოგი ლორთქიფანიძე იყო. იგი გაცეცხლებული უსმენდა ჩვენს „დუეტს“...

სიხარული მამაკაცის უძველესი სახელია ჩვენში. „ტბეთის სულთა მატთანეში“ იგი მოხსენიებულია 12 საუკუნის შემწირველთა შორის. ტისორეთი, გიორგი და სიხარული. ისიც ცნობილია, რომ საკუთარი სახელებიდან შექმნილი უამრავი გვარი. გიორგი-გიორგადე, სიხარული-სიხარულიძე, დავითი-დავითიძე, თამარი-თამარაშვილი და კიდევ მრავალი

... იგივე წყაროში უკვე 14 საუკუნეში მოხსენიებულია ჩამოყალიბებული სახლობა, ოჯახი-სიხარულიძე დიმიტრი, მეუღლე ნათელა.

ასეთი უძველესი გვარის ერთ-ერთ წარმომადგენელზე მინდა გესაუბროთ ამჟამად. აქვე უნდა ითქვას, რომ ყოველი ათი სიხარულიძიდან შვიდი-რვა მღერის, ხოლო ამათგან ორი-სამი კარგი მომღერალია. ჩემი ნათქვამის დასტურად მინდა მოვიყვანო არტემ ერქომაიშვილის რეპერტუარის სანოტო კრებული, სადაც ჩამოთვლილ მომღერალ გვარებს შორის, ვისთვისაც ბატონ არტემს უმღერია, ყველაზე ბევრი-ცხრა სიხარულიძეა, ხოლო პროფესორ იური სიხარულიძის წიგნში „ჩოხატაური“, მოხსენიებულ გურულ მოკრიმანჭულებში ოცზე მეტი სიხარულიძეა (დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ ეს სია არასრულია). ბატონი არტემის ზემოთ ხსენებულ შემხმობართა შორის ერთ-ერთი შესანიშნავი მომღერალი გარსევან სიხარულიძე გახლდათ. იგი დაიბადა 1907 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ გოგოლესუბანში (ამ სოფელს ხშირად „მუსიკალური გოგოლეთის“ სახელითაც მოიხსენიებენ), ცნობილი მომღერლის ანდრია სიხარულიძის ოჯახში. ბიძა სამსონი და უახლოესი სახლიკაცები, განთქმული მომღერ-

მომღერლებთან ერთად სიმღერა. ნიჭიერმა ყმანვილმა ეს ოცნება მალე აისრულა, ამას უმადლოდა ვახტანგ სიხარულიძეს, რომლის ხელმძღვანელობითაც იგი მალე პროფესიონალ მომღერლად ჩამოყალიბდა.

ფართო ასპარეზზე გარსევან სიხარულიძემ პირველი ნაბიჯები ქალაქ სოხუმში გადადგა. 1930 წელს ვახტანგ სიხარულიძემ ქართულ-აფხაზური სახელმწიფო ანსამბლის სოლისტად მიიწვია, სადაც ბატონი ვახტანგი გურული ფრთის მასწავლებელი იყო. აქ გარსევან სიხარულიძემ ოთხი წელი დაჰყო. 1935 წელს კი თბილისში გამოიყვანეს „დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ გუნდში“, რომელსაც კ. პაჭკორია ხელმძღვანელობდა. აქ კიდევ უფრო დაიხვეწა მისი ოსტატობა. შემდეგ, როდესაც დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული გუნდები გაერთიანდა ერთ „საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლად“, გარსევანი მეოთხედ საუკუნეზე მეტი ამ გუნდის უცვლელი სოლისტი გახლდათ. იმავედროულად იგი წლების განმავლობაში მღეროდა საქართველოს რადიოს ეთნოგრაფიულ გუნდში, რომელსაც ცნობილი ოსტატი ა. მეგრელიძე ხელმძღვანელობდა. **სახელმწიფო ანსამბლის შემადგენლობაში გარსევან სიხარულიძემ თითქმის მთელი საბჭოთა კავშირი მოიარა.**



ვლადიმერ და ოთაკ ნიჭიანიშვილები

**ბოლოს იყო თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების გუნდის სოლისტი. მისი სასიმღერო-შემოქმედებითი მოღვაწეობის მწვერვალი ლადიმე და ოთარ ბერძენიშვილებთან ერთად შესრულებული გურული ლილინების სტუდიური ჩანაწერებია, რომლებიც ზოგადად ადამიანის მუსიკალური აზროვნების ძნელადმისაღწევ სიმალედ შეიძლება ჩაითვალოს. განსაკუთრებით „ჩვენ მშვიდობა“, სადაც**

ვირტუოზი შემსრულებლები „ჯერარს-მენილი“ და „არგაგონილი“ სასიმღერო ხმის ფლობას და თავისუფალი იმპროვიზირების ბრწყინვალე მაგალითს წარმოგვიდგენენ.

ცალკე უნდა აღვნიშნო გარსევან სიხარულიძის „მუსიკალური ოჯახი“ – მეუღლე, ნატო ერმილეს ასული – ცნობილი მომღერლების-ევეგენი, მი-

ხეილ და ანა კოროშინაძეების და გახლდათ, მან და-ძმასთან ერთად დიდი წვლილი დასდო ეროვნული მუსიკის პოპულარიზაციას. ორი სახელოვანი მუსიკალური ოჯახის კვალს გჰყვამათი ერთადერთი ქალიშვილი მედაც.

ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაციისა და ხელოვნების სარბიელზე ხანგრძლივი მოღვაწეობისათვის გარსევან სიხარულიძე დაჯილდოებული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სიგელებითა და მედლებით.

განსაკუთრებით მინდა გავიხსენო ბატონი გარსევანის სტუმრობა ჩვენს ოჯახში. სახელმწიფო ანსამბლი თი-

თქმის ყოველ წელს ჩამოდიოდა კონცერტებით ქალაქ ქუთაისში და ჩემი მშობლები-გიორგი სიხარულიძე და მარიამ მდინარაძე თავს ვალდებულად თვლიდნენ, მოეწყოთ ოჯახური შეხვედრა ანსამბლის წევრებთან.

მამა მოწვეულ სტუმრებს ახვედრებდა ქუთაისში მოღვაწე გურული სიმღერების ბრწყინვალე შემსრულებლებს, ძმებს – კონია და ვალიკო რამიშვილებს, მათთან ერთად ჩემი დედ-მამა მღეროდა. შეხვედრები ტრადიციული ლხინის ბოლოს, საოცარი კონცერტის სახეს იღებდა, რომლის მონაწილეებიც იყვნენ-აკაკი კოვზირიძე, ილია ზაქაიძე, გარსევან სიხარულიძე, დიმიტრი ჩავლეიშვილი, სიმონ

მეგრელიშვილი, ანანია ერქომაიშვილი, ძმები კონია და ვალიკო რამიშვილები და ჩემი დედ-მამა. გამოგიტყდებით და სტუმრების თხოვნით მე და ჩემი ძმა, ვიტალიც ვბედავდით მათ გვერდით სიმღერას. ასეთი ლხინი-კონცერტები ხშირად იმართებოდა ჩვენთან სხვადასხვა ცნობილი და ღვაწლმოსილი ოჯახების (არტემ ერქომაიშვილი, ამირან თოიძე) მონაწილეობით.

სიმღერის ძალა გვაერთიანებდა ყველას და ეს იყო დიდი სიხარული.

იხაროს შენმა სულმა გარსევან სიხარულიძე!

საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის უურუნალი „მუსიკა“ გომარ სიხარულიძე

# ჩაუთოე უნდა ეოჭირიუჟნენ ჩუსეთის მუჟიშვილუი მხოლოდ თათჩეჟი?

XV საუკუნის შუა ხანებში მოსკოვის მთავრები თავიანთ თავს გირეის უმცროს ძმად მიიჩნევდნენ, ხოლო ყირიმის ხანებს თავიანთ მეფეებად.

XVI საუკუნის დასაწყისში, როცა ყირიმი ოსმალეთის ხალიფატის ვალიაეთი გახდა, მოსკოვიც ითვლებოდა სტამბულის ქვეშევრდომად. თუმცა მას კვლავ ყირიმის ხანები მართავდნენ.

ცნობილია, რომ ივანე მესამე (ივანე მრისხანეს ბაბუა) ყირიმის ხანის ვასალის ნიშანს ატარებდა, ხოლო გირეები ჩინგიზ ყაენის შთამომავლებად მიაჩნდა, ასეთი „ნესრიგი“ 1700 წლამდე გრძელდებოდა და მოსკოვი ზეიმობდა ყირიმის სახანოს სუვერენობას და ბატონობას ამ მხარეში.

ამას მიუთითებს ცნობილი რუსი ისტორიკოსი სოლოვიოვი ნიგნში „მოთხრობები და ნარკვევები რუსეთის ისტორიის შესახებ“.

მოსკოვი ივანე მრისხანეს დროსაც უხდოდა ხარკს ყირიმს, როგორც ოქროს ურდოს მეფეს. უნდა ითქვას, რომ ყირიმის ხანები მუდმივად ეხმარებოდნენ მოსკოვს საომარ და სხვა პოლიტიკურ ვითარებებში. ასევე ცნობილ ლივონიის ომშიც. ამიტომ იყო ივანე მრისხანეს ჯარები ერთმანეთზე მიყოლებით რომ იგებდნენ ომებს.

1563 წლიდან რუსეთსა და ყირიმს შორის ურთიერთობა შეიცვალა. 1570 წელს კი ოსმალეთის სულთანმა სულეიმან კანუნიმ მოსკოვის ავტონომიის გაუქმების შესახებ განაცხადა.

აი, რას წერს ისტორიკოსი ვალიშევსკი თავის ნიგნში „ივანე მრისხანე“.

„1563 წლიდან 1570 წლამდე ივანე მრისხანე ელჩს ელჩზე აგზავნიდა სათათრეთში. მისი ელჩები ნაგოი და რჟევსკი წარუმატებლად აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს ხანთან – კვლავ მშვიდობა და თანხმობა ყოფილიყო. მოსკოვთან და ამაოდ აგზავნიდა ძვირფას საჩუქრებსაც... მაგრამ რაში იყო სიუზერენებს შორის უთანხმოების მიზეზი? 1561 წელს მოსკოვმა მიიღო მნიშვნელოვანი ფალსიფიცირებული სიგელი კონსტანტინეპოლის პატრიარქისგან, სადაც ივანე მრისხანე პირდაპირ აღიარებული იყო ბიზანტიის იმპერატორების შთამომავლად. ცხადია, სიგელი გარკვეული თანხის საფასურად შედგა, ეს ცრუ სიგელი მოსკოვის საეკლესიო პირების მიერ იქნა შედგენილი და ტიტული ივანე მეოთხეს ის თავის ქვეშევრდომად თვლიდა.

ეშმაკობამ ივანე მეოთხეს მაინც ვერ უშველა. ხანმა დევლეთ გირეიმ გადაწყვიტა, ჭკუა ესწავლებინა თვითმარქვიისთვის, რომელიც იბრალებდა ბიზანტიის იმპერატორობას. 1571 წელს ყირიმის ხანის ჯარები მოსკოვს მიადგნენ. მოსკოვის და მისი შემოგარენის მთავრები შეეგებნენ ყირიმის ჯარებს მდინარე ოკას ნაპირებთან, მაგრამ ყირიმის ხანმა გვერდი აუარა და პირდაპირ მოსკოვს მიადგა. მოსკოვის მთავარი გაიქცა და იაროსლავის ტყეს შეაფარა თავი, შემდეგ



ივანე მრისხანე

კი მოლაპარაკებები დაიწყო „კეთილ ძმასთან“.

აი, როგორ აღწერს ამ მოვლენებს კარამზინი ნიგნში „რუსეთის სახელმწიფო ისტორია“ – „15 ივნისს იგი (ივანე მეოთხე) მიუახლოვდა მოსკოვს და გაჩერდა ბრატოვჩინასთან, სადაც მას შეხვდა დევლეთ გირეის ორი მსტოვარი, რომლებსაც მოლაპარაკება სურდათ ივანე მეოთხესთან. „ასე ამბობს ჩვენი მეფე, ჩვენ ყველგან გეძებთ, სერპუხოვშიც და თვით მოსკოვშიც. მსურდა, გვირგვინი დამეღდა შენს თავზე, მაგრამ შენ გაიქეცი სერპუხოვიდან, მოსკოვიდანაც, დათმე შენი სამეფო დიდებულება, დაკარგე ვაჟკაცობა და სირცხვილის გრძნობაც. კიდევ გეუბნები, თუ არ გააკეთებ იმას, რასაც გთხოვ და არ მომცემ ფიცის სიგელს, შენი შვი-

ლუბის და შვილიშვილების მხრიდან, საქმე კარგად არ წავივალ“.

რუსი ისტორიკოსები წერენ, რომ ეს „ველური თათარი ბარბაროსები“ მოდიოდნენ მოსკოვზე და მოჰქონდათ ძარცვა-გლეჯა და უსამართლობა. ივანე მრისხანეს სხვა გზა არ დარჩენოდა და დადო „ფიცის სიგელი თავისი, შვილების და შვილიშვილების მხრიდანაც“. ასეთ ფიცს დებდნენ მისი წინაპრებიც. დევლეთ გირეიმ დატოვა მოსკოვი, წაიღო სიგელი და გაემართა ყირიმისკენ იმ პირობით, თუ მსგავსი კიდევ გამეორდებოდა, კვლავ ჯარით გამოჩნდებოდა. ივანე მეოთხემ კარ-

გად იცოდა, რომ ყირიმის თათართა ჯარის მეორედ თავდასხმას მოსკოვი ველარ გაუძლებდა, ამიტომ მან იძულებითი ნაბიჯი გადადგა. 1575 წელს სახალხოდ დათმო ბიზანტიის იმპერატორის ტიტული, უარი თქვა ტახტზე, კასიმის ხანის – საინ-ბულატის სასარგებლოდ და რამდენიმე წლით ალექსანდროვსკოეში გადავიდა.

საინ-ბულატმა მიიღო სამეფო ტიტული. ხოლო ივანე მეოთხემ დაკარგა ბიზანტიის იმპერატორის შთამომავლის ფალსიფიცირებული ტიტული და დარჩა, როგორც მისი წინაპრები-მოსკოვის მთავარი. ამით ივანე მე-

ოთხემ გააკეთა განაცხადი, ყირიმის ხანის და ოსმალეთის ხალიფატის წინაშე, რომ სამეფო ტახტზე აღარ აცხადებდა პრეტენზიას.

მოსკოვის რიურიკების შტო აღიარებდა თავის უძველეს ნათესაურ კავშირებს ჩინგიზიდებთან. გირეი ივანე მეოთხეს ამ დინასტიაში ათავსებდა. ამის წინააღმდეგი არც ივანე მეოთხე იყო, მაგრამ დღეს რატომღაც არ სურთ ისაუბრონ ამ თემაზე და ტყუილ-მართალს ერთმანეთში ურევენ.

მომზადა ანა ვადაჭკორიაძე



# ტაეკვონ-დო კორეული საბრძოლო ხელოვნების უმაღლესი მწვერვალი

კორეის ომის შემდეგ (1950-1953 წ) საზოგადოებაში გაჩნდა იდეა ერთიანი ეროვნული საბრძოლო ხელოვნების შექმნის შესახებ, რომელიც ერის სულის სიმბოლოდ უნდა ქცეულიყო. 1955 წელს გენერალმა ჩოი ხონგ ხიმ ჩამოაყალიბა ტაეკვონ-დო, რომელიც 9 სკოლას აერთიანებს. ტაე-ხელის, კვონ-ფეხის, დო-გზა. ტაეკვონ-დო კორეული საბრძოლო ხელოვნების მწვერვალად ითვლება, ხოლო წარსულში არსებული ყველა სტილი მის დაბალ საფეხურად.

გენერალი ჩოი ხონგ ხი – ტაეკვონ-დოს დამაარსებელი (1918-2002 წ.).

ჩემი სამშობლოს ტრაგიკულმა ბედმა მიჩვენა გზა, რათა მე დამეარსებინა ტაეკვონ-დო. ჯერ მე ავითვისე ტაეკვონ-დო, ამის გარდა 36 წლის განმავლობაში, როდესაც

კორეა იყო ოკუპირებული იაპონიის მიერ, მე საშუალება მომეცა შემესწავლა კარატე იაპონიაში.

1954 წელს, კორეის განთავისუფლების შემდეგ მე, როგორც სამხედრო არმიის ერთ-ერთი დამაარსებელი, მომეცა საშუალება რათა ტაეკვონ-დო დამენერგა სამხრეთ კორეის არმიაში, მიუხედავად ამისა, რომ მე მომიწია დიდი წინააღმდეგობის განწევა და მათი დაძლევა ტაეკვონ-დო მოკლე დროში გახდა საერთაშორისო მნიშვნელობის სპორტი. ტაეკვონ-დოში ვარჯიშმა მე შესაძლებლობა მომცა შემენარჩუნებინა ღმერთის მიერ ბოძებული ჯანმრთელობა. მე დავიბადე სუსტი აღნაგობის, ტაეკვონ-დოში ვარჯიში ჩემმა კალიგრაფიის მასწავლებელმა მიჩინა, მაშინ 15 წლის ვიყავი. იაპონიაში ცხოვრებისას მე გავხდები შავი ქამრის მფლობელი კარატეში. კორეაში დაბრუნებისას მე სათავეში ჩავუდექი ჩემი ქვეყნის ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას, რისთვისაც დამაპატიმრეს და ჩამსვევს ციხეში, იქ 7 წელი გავატარე. ყველაფერს ვაკეთებდი იმისთვის, რომ ტაეკვონ-დო ყოფილიყო №1 სპორტად კორეაში. 1955 წლის ბოლოს მე დავამთავრე ჩემი იდეების რეალიზება და ტაეკვონ-დო საზო-

გადობის წინაშე წარსდგა იმ სახით, რა სახითაც მას დღეს იცნობენ მთელს მსოფლიოში. 1955 წლის 11 აპრილს ამ საბრძოლო ხელოვნებას ოფიციალურად დაერქვა ტაეკვონ-დო. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მორალური სიმაღლე არ აღემატებოდა 1.50 სმ. ვამაყობ იმით, რომ შევძლე მეცხოვრა ჩემი მორალური მრწამსით. ვცდილობდი, მებრძოლა სამართლიანობის მხარეს, არ მქონდა შიშის გრძნობა, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ყველაფერს ამას მივაღწეე ტაეკვონ-დოს წყალობით.

გენერალმა ჩოი ხონგ ხიმ 1966 წელს დააფუძნა ტაეკვონ-დოს საერთაშორისო ფედერაცია ITF, მაგრამ რამდენიმე წელიწადში ხელისუფლებასთან უთანხმოების გამო გენერალი ემიგრანტად წავიდა კანადაში. პარალელურად ტორონტოში დააფუძნა საერთაშორისო ფედერაციის ცენტრიც. ამჟამად ITF-ის შტაბბინა მდებარეობს ვენაში (ავსტრია). შემდეგ ქვეყნის ჩრდილოეთში დარჩენილმა ოსტატებმა უერთგულეს სეულის ხელმძღვანელობას და 1973 წლის 28 მაისს დააარსეს ტაეკვონ-დოს მსოფლიო ფედერაცია VTF, რომელსაც სათავეში ჩაუდგა უენგ კიმი. ამ ფედერაციის შტაბბინა განთავსებულია სეულში ტაეკვონ-დოს



საერთაშორისო აკადემიის (კუკიკონ-ნას) სასახლეში.

1980 წლის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 83-ე გენერალურ ასამბლეაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ VTF ტაეკვონ-დო, როგორც სადემონსტრაციო სპორტის სახეობა, შესულიყო 1988 წლის სეულის ოლიმპიური თამაშების და 1992 წლის ბარსელონას ოლიმპიურ პროგრამაში. 2000 წელს სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ტაეკვონ-დო პროგრამაში ჩაერთო.

ამჟამად, მსოფლიოში არსებობს ტაეკვონ-დოს რამდენიმე ფედერაცია, მაგრამ მსოფლიო აღიარებს ორ ფედერაციას, ესენია VTF და ITFi.

**რა არის ტაეკვონ-დო?**

უბრალოდ, რომ ვთქვათ ეს არის თავდაცვის ხელოვნება უიარალოდ, რომელსაც არა ჰყავს მოწინააღმდეგე ანალოგი თავისი სიძლიერითა და ტექნიკის მრავალფეროვნებით. ტექნიკა და სულიერი წრთობა წარმოადგენს სამართლიანობას, - სიმტკიცეს და გამარჯვებას. ეს არის კორეული საბრძოლო ხელოვნება, რომელიც კორეული ხალხის ეროვნული სული და გულია. როცა კორეა იყო ოკუპირებული იაპონიის მიერ მათ გააერთიანეს ქვეყანაში ყველა საბრძოლო ხელოვნება და შექმნეს ტაეკვონ-დო. ტაეკვონ-დოში განვრთნილ ოსტატს თავისუფლად უნდა შეძლებოდა მხედრის ჩამოგდება ცხენიდან, ჰაერში ნახტომში და ტრიალში ფეხის დარტყმით ისე, რომ მხედარი ქარქაშიდან მახვილის ამოღებას ვერ მოასწრებდა. ის ასრულებდა ზემოთ ურთულეს დარტყმების სერიას ფეხით. ტაეკვონ-დოში ყველა ქამარს თავისი ახსნა აქვს. 1. თეთრი ქამარი - სისუფთავე სუფთა ოთახი. 2. ყვითელი ქამარი - შესვლა ტაეკვონ-დოს სამყაროში. 3. მწვანე ქამარი - ზრდა მცენარეებისა, ზრდა მოსწავლეებისა. 4. ლურჯი ქამარი - ზრდა სიმალისკენ ცისკენ. 5. წითელი ქამარი - აფრთხილებს მოსწავლეს მისი ძალა ზედმეტად არ გამოიყენოს. 6. შავი ქამარი - სრულყოფილი ოსტატი. ტაეკვონ-დოში რიტუალებს, ზრდილობას, ეთიკას, მორალს და კულტურას

უფრო დიდი ყურადღება ექცევა ვიდრე ბრძოლას. ტაეკვონ-დოს თავისი ალთქმა აქვს.

1. მე დავიცავ ტაეკვონ-დოს პრინციპებს.
2. მე პატივს ვცემ ასაკით უფროსებსა და ინსტრუქტორებს.
3. მე არასოდეს გამოვიყენებ ტაეკვონ-დოს არასამართლიანი მიზნების მისაღწევად.
4. მე ვიქნები სამართლიანობის და თავისუფლების ნიმუში.
5. მე ავაშენებ უფრო სრულყოფილ სამყაროს.

სულიერი მედიტაცია, განმარტოება და დიდი შინაგანი ძალა ქმნის და ანვითარებს გონებას და სხეულს, თანაბრად აძლევს მათ დიდ თვითრწმენას. სუსტ ადამიანს ტაეკვონ-დო აძლევს საშუალებას გახდეს ძლიერი, ხოლო ძლიერს აძლევს საშუალებას გახდეს უძლიერესი.

**სამედისინო  
სამაქურნალო თვისებები**

ტაეკვონ-დო შეიპიზგია, აერობიკა, აკრობატიკა, იოგა და მთელი სატრენაჟორო დარბაზი. ცელულიტი ქრება, წნევა ისეთი ხდება, როგორც კოსმონავტებს აქვთ. კარგია გულით დაავადებულთათვის. აღსანიშნავია, რომ ტაეკვონ-დოს მსოფლიოში ქალების 1/3 მისდევს, ქრება გინეკოლოგიური დაავადებები, რათქმა უნდა არსებობს ტრავმების ალბათობა, მაგრამ ქალები ამბობენ, რომ მათი არ ეშინიათ. ტაეკვონ-დოს მისდევს ისეთი ცნობილი მსახიობები, როგორცაა ნიკოლ კიდმანი, ჩაკნორისი და ფილიპ ლი.

მსოფლიოს 45 ქვეყანაში ტაეკვონ-დო პოპულარობით ფეხბურთის შემდეგ მეორე ადგილზეა. დღესდღეობით მსოფლიოში ტაეკვონ-დოს 199 მილიონი ადამიანი ვარჯიშობს. მსოფლიო გინესის რეკორდი ტაეკვონ-დოში დამყარდა კორეაში 2007 წელს, კორეელმა ოსტატმა სამურაის მახვილზე წამოცმული ვაშლი 3 მეტრ და 3 სანტიმეტრზე ნახტომში ფეხით ჩამოხსნა დაზიანების გარეშე. ტაეკვონ-დოში არის შეჯიბრი სპარინგში, თულში, სიმალლეზე ხტომაში, და ტამეშივარიში. (კრამიტების და მძი-



მე საგნების მსხვერველ) ტაეკვონ-დო უწყობს ხელს გამოსწორვით და დაარეგულიროთ სწორი სუნთქვა, ვისაც ანუხებს ჭარბი წონა და სიმძიმე ტაეკვონ-დო აძლევს საშუალებას ამსუბუქდეს და ამჩატდეს, მასში ძლიან დიდია სუნთქვითი ვარჯიშები და ენერგეტიკა. საბრძოლო ხელოვნების 7-8 სხვადასხვა სახეობაში ვვარჯიშობდი, მაგრამ ტაეკვონ-დო სულ სხვაა, აქ ბრძოლას ტექნიკა და გონება იგებს და არა ძალა და ფიზიკური მომზადება. მსოფლიოში აღიარებულია ხელის კლასიკა - (ხელი) კრივი და ფეხის ტექნიკად კლასად - ტაეკვონ-დო.

ტაეკვონ-დოში 70% ფეხია და 30% ხელი და მაინც ტაეკვონ-დოს სინქრონი და სილამაზე განუმეორებელია. აკრიფეთ გოგლეში TAEKVON-DO I.T.F. KOREA და ამაში დაწინამდებით ყველა.

ტაეკვონ-დოში 24 თულია (კატა) რაც ნიშნავს 24 საათი მზადყოფნას და ვარჯიშს შედით ამ სამყაროში და იგრძენით სულის, სხეულის და აზროვნების ჰარმონია. ტაეკვონ-დოს პრინციპი აგებულია მეცნიერულ ბაზაზე სახელდობრ ნიუტონის კანონზე, რომელიც ითვალისწინებს როგორ უნდა გამოვავლინოთ მაქსიმალური სიძლიერე...

*ირაკლი ტულუში გინესის მსოფლიო რეკორდსმენი, ოსტატი შავი ქამარი III-დანი ტაეკვონდოში, შავი ქამარი III-დანი საიოკანში (სრული კონტაქტური კარატე) გურიის რეგიონში ტაეკვონ-დოს ფედერაციის პრეზიდენტი. საქართველოს ტაეკვონ-დოს ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი, გურიის რეგიონში ტაეკვონ-დოს ოფიციალური წარმომადგენელი...*

# უკეთესი რუჯის მისაღებად ბუნებრივი საშუალებები



მზის რუჯზე პასუხისმგებელია პიგმენტი-მელანინი, რომელიც გამოიყოფა, როცა ჩვენი ორგანიზმი მავნე მზის ზემოქმედებისაგან იცავს თავს.

### სტაფილოს წვენი

სტაფილოში შემავალი ბეტა-კაროტინი კანს რუჯის ფერს ანიჭებს და ამასთან მას სიმკვრივეს უნარჩუნებს. პლაჟზე გასვლამდე კარგი იქნება, თუ დაღვეთ ერთ ჭიქა ახალგამონჭრულ სტაფილოს წვენს, რომელშიც ცოტაოდენი ნაღები იქნება დამატებული-ასე უკეთ შეითვისება ორგანიზმის მიერ სტაფილოში შემავალი ვიტამინები.



### აბაში და გარგარი

ამ ხილშიც არის ბეტა-კაროტინი, ასევე ფოსფორი, რკინა B კატეგორიის ვიტამინები და სხვა ისეთი ნივთიერებები, რომელიც აჩქარებს გარუჯვის პროცესს და ამასთან, ორგანიზმს იცავს მზის მავნე ზემოქმედებისაგან. საკმარისია 200 გრამი ამ ხილის მიღება, იმისთვის რომ რუჯი ოქროსფერი გახდეს.



### პომიდორი

პომიდორი შეიცავს ნივთიერება ლიკოპინს – ძლიერ ანტიოქსიდანტს. გაკოპინის კიდევ უფრო მეტი რაოდენობა მიიღება ტომატის თერმოდამუშავებისას. ამ ბოსტნეულის მიღება უმჯობესია კარაქთან ერთად. ასე სასარგებლო ნივთიერებები ბევრად კარგად შეითვისება ორგანიზმის მიერ.



### ბადრიჯანი

ოქროსფერი რუჯის მისაღებად უკეთესი იქნება, თუ ბადრიჯანს კანიანად მოამზადებთ. რა თქმა უნდა, შეკმაზეთ, როგორც გნებავთ თქვენი გემოვნებით.



## ანექდოტები

☺☺☺

– მამა, აი შენ იძახი, რომ ოჯახი პატარა სახელმწიფოა. შენ ვინ ხარ?  
– მე პრეზიდენტი ვარ, მამი...  
– დედა?  
– დედა ძალაუფლებაა.  
– ბებო?  
– ბებო დაზვერვის სამსახური.  
– და მე მამი?  
– შენ შვილო ხალხი ხარ.  
ერთ საათში შვილი მამას სამსახურში ურეკავს.

„ბატონო პრეზიდენტო, ძალაუფლება ხელთ სხვა პრეზიდენტმა იგდო. აზვერვის სამსახურს სძინავს, ხალხი, კი, აღელვებულია.“

☺☺☺

გურული კაცის პანაშვიდზე, რომელიც უცხოურ კომპანიაში მუშაობდა, უცხოელები მივიდნენ.

გურულმა ცოლმა უცხოელების დანახვაზე ქმარს ინგლისურად დაატყობდა.

– სტენდ აფ კოლიაა... ოფენ იორ

აის კოლიაა... იუ არნეტ დაიდ კოლიაა... (ადექი კოლიაა... გაახილე თვალები კოლიაა... შენ არ მომკვდარხარ კოლიაა...)

☺☺☺

გურულს ჰკითხეს, რომელი მთავრობა უფრო მოგწონს – სააკაშვილის, თუ ივანიშვილისო?

- სამივეს ვინწუნებ.
- კი მაგრამ მესამე სად არისო?
- არ მოვა თუ?!

☺☺☺

საქართველო სიღარიბის გარეშე-ნიეკითხა გურულმა და სინანულით თქვა – აი, ერთი დამრჩა და ამასაც მართუმენ?

☺☺☺

გურულმა თქვა მილიარდელი ავირიე და ღარიბაშვილი შემრჩაო.

კაცს ასამართლებენ, მაგრამ რა სასჯელიც დაუპირეს, თანხმობა ვერცერთზე ვერ მიიღეს – ცოტაა ეს სასჯელი მისთვისო.

ბოლოს ერთმა მოიფიქრა, მოდი


გურული ცოლი შევრთოთო...

– კაი ახლა, მაგდენიც არაფერი დაუშავებიაო. შეეცოდათ კაცი.



# კვირთაში „ზანთაში“





ՀԱՆՐԱՆՔՄԱՍԻ ԳԻՆ ԶԲՆԱՆԻՇՄԱՆ ԽՐՈՋ-ՁՄԻՈՒՄ ԸՆԾԸՄԹԳԵՂ ԺԱՆՎ ԳՈՒՄՄԱՆԵ  
ԼԱՅԻՆԻՇՄԱՆ-ԳԵՂՄ ԼՅԱՆԵՄՈՒՄ ՁԵՆԻՇՄՈՒ. ԼՅԱԳԻՆԸՄՈՒՄՆ ԵՅՈՒՄՈՒՄ ԵՄԸՄՄԱ  
ՉԻՆԱԺԱԸՄՈՒ. ՁԱԼՉՈՒ ԲԱՅԸՄՆԵՆՆԱ ՁՐՈՆԱՆԻ ԳՈՒՐՄԱՆՈՒ, ԵՄԸՄՈՒ ԶԱՄՈՂԸՐՈՆԵՆՆԱ  
ՎԱՅՆԱԻՇՅԱՆԱ. ԳԻՆ ՉԻՐՈՒՄ ԺՈՒԵՆՄՈՒՄ ԴԻՄՅԵՂԸՈՒ ՅԱՆՎՈՒՄ ՉՉԱՅԸՆԵՄՈՒՄՈՒ.

ISSN 2346-7606



9 772346 760009